მღვდელმონაზონი ანტონი (მთაწმინდელი)

მღვდელსქიმმონაზვნის ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარკვევები

წმიდა სამების მონასტერი
ჯორდანვილი, ნიუიორკი
1985 წ.

თბილისი 1993 წ.

მთარგმნელისაგან

მღვდელმონაზონი ანტონი, ავტორი წიგნისა "მღვდელსქიმმონაზვნის ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარკვევები", ცხოვრობს ათონის მთაზე. ფრიად განათლებულია, შესანიშნავად იცის რამდენიმე ენა. აქვს მიმოწერა ქართველ ბერებთან. იგი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას და დიდად აფასებს ქართველთა ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ კეთილმორწმუნეობას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ ბოლომდე სარწმუნოებრივ საქმიანობაში ქართველთა ღვაწლს. სწორედ ამას ადასტურებს ცხოვრება საკვირველმოქმედი ბერის ილარიონ ქართველისა, რომელსაც წიგნის ენით რომ ვთქვათ, ათონზე მოძღვართა მოძღვარს ეძახდნენ. მის შესახებ ჩვენში არანაირი ცნობა არ არის მოძიებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექსტის თანახმად, ათონის მთაზე XIX საუკუნეში საკმაოდ ყოფილან ქართველი ბერები.

ნარკვევებში მოთხრობილია იმერეთის მეფის, სოლომონ II -ის ცხოვრება და აღსასრული, ასევე გაშუქებულია მაღალი საფეხურის ასკეტის საკითხები. ილარიონ ბერის ცხოვრება შესანიშნავი პასუხია დღეს ფრიად აქტუალურ, სხვადასხვა კონფესიებთან ერთიერთობის ირგვლივ წამოჭრილ კითხვებზე.

მოსაძიებელია ტექსტში მოხსენიებული, მამა ილარიონის მიერ შედგენილი თორმეტ-ტომეული "ყვავილნარის" სახელწოდებით, რომელიც (ავტორის ვინაობის მიუთითებლად) მისი ათონზე ცხოვრების დროს რუსეთში გამოეცა ქართულ ენაზე.

წიგნი "მღვდელსქიმმონაზვნის ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარკვევები" თვით ავტორმა გამოგზავნა შიომღვიმის მონასტერში. სწორედ ამ მონასტერში ცხოვრებისას მომეცა საშუალება გავცნობოდი ნაშრომს და მეთარგმნა ღვთის შეწევნითა და მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ იოანეს კურთხევით.

დავით დადიანი

1991 წ.

"ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა;
და უკუეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიცა მისნი.
(რომ 11.18).

წინასიტყვაობა

ქართველი ბერის, მღვდელსქიმმონაზვნის, ილარიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობების შეგროვება მისი გარდაცვალებისთანავე დაიწყო (+1864). ამ საქმეშიგანსაკუთრებით დაშვრა რუსი მონაზონი პანტელეიმონი, რომელიც, შემდეგში არქიმანდრიტი, ციმბირში ირკუტსკის ეპარქიაში ტროიცე-კირენსკის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. აღესრულა 1888 წელს.

მამა პანტელეიმონი სარგებლობდა მოგონებებით მრავალი პირისა, რომლებთანაც ახლო სულიერი ურთიერთობა ჰქონდა. მათ შორის იყვნენ ქართველი მონაზონი გაბრიელი, რომელსაც რუსიკის მონასტრის მოძღვრის, მამა იერონიმეს თხოვნით მამა ილარიონმა დაწვრილებით მოუთხრო თავისი ცხოვრება ბერად აღკვეცამდე; აგრეთვე ბერის მოწაფე მოძღვარი მამა საბა, ზოგრაფელი მეუდაბნოე ვასილი და მღვიმელი ხარიტონი, ბერი ჰაჯი-გიორგი, მონაზონი ბესარიონ ქართველი, მღვიმელი დანიელი, ბერი თეოფილაქტე, მოძღვარი მამა დანიელი, ბერები: ნიკოდიმე ბულგარელი და თეოფილე "აგიაფსიქი". მოგვიანებით ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა რუსმა მონაზონმა დენასიმ. მამა პანტელეიმონმა წამოიწყო ილარიონ ქართველის მოღვაწეობის აღწერა და იმ ადგილამდე მიიყვანა, როცა მომავალი ბერი საერო ცხოვრებას განეშორა. დანარჩენი კი საუკუნეზე მეტ ხანს შთებოდა ცალკეული ჩანაწერების სახით. აწღა დადგა უამი ყოველივე ამის ერთად შეკრებისა და ღვთისმოსავი მკითხველისათვის მოწოდებისა.

.თუკი ჯერ კიდევ მამა ილარიონის სიცოცხლეში მისი მართლმადიდებლური მოღვაწეობის მაღალზნეობრივი მაგალითი აღაფრთოვანებდა და მოძღვრავდა მრავალთ, გვწამს, რომ მით უმეტეს ჩვენთვის, რომელნიც ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა საღვთო შური ფრიად განელებულია, სასარგებლო იქნება მასთან გაცნობა.

მღვდელმონაზონი ანტონი.

ურმოგბა

მარად ნეტარხსენებული ბერი, მღვდელსქიმმონაზონი ილარიონი წარმოშობით იმერეთიდან გახლდათ. იგი დაიბადა 1776 წელს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ ლოსიათხევში. მისი მშობლები ხახული და მარიამ ყანჩავლები, რომელნიც ძველი აზნაურული გვარიდან წარმომავლობდნენ, ფრიად ღვთისმოსავნი იყვნენ. განსაკუთრებულ გულმდგინეობას იჩენდნენ წმიდა დიდმოწამე გიორგის თაყვანისცემაში. ასეთი კეთილმოსურნეობისათვის ღმერთმა ცოლ-ქმარი პირველშობილი ურმით დააჯილდოვა, რომელიც წმიდა ნათლისღებისას სახელდეს იესედ. უმაწვილს ექვსი წელი რომ შეუსრულდა, ბიძამისმა (დედის ძმამ), ტაბაკინის წმიდა გიორგის მონასტრის იეროდიაკონმა სტეფანემ იგი წაიყვანა მშობლების სახლიდან და თავის სიკვდილამდე თორმეტი წლის განმავლობაში უდაბურ მთაზე ზრდიდა.

იეროდიაკონი სტეფანე, ერისკაცობაში სვიმონი, აზნაურთაგანი, ურმობის ასაკიდანვე ღვთისმოშიშად იზრდებოდა და წმიდა წერილი მშობლიურ ოჯახში ჰქონდა შესწავლილი, შემდეგ სამეფო კარზე მიიყვანეს და მეფის ბადრაგში ჩაწერეს. იქ თავად გიორგი წერეთლის განმგებლობაში იმყოფებოდა, რომელიც სამეფო კარის მმართველი იყო. სასახლეში სვიმონი მკაცრად თავშეკავებულ ცხოვრებას მისდევდა. ნიადაგ ლოცულობდა და ცდილობდა მეტწილად სასულიერო პირებთან ჰქონოდა კავშირი, რომელთაც რჩევისათვის მიმართავდა ხოლმე.

სასახლეში ყველა პატივით ეპყრობოდა. ამის გამო ეძნელებოდა მეფის სამსახურის დატოვება და ბერად აღკვეცა, მაგრამ როდესაც თანამდებობრივ კიბეზე ასისთავობას მიაღწია, თავისი მფარველის, თავად წერეთლის შუამავლობით სამეფო სამსახურიდან დაითხოვეს.

მიიღო რა თავისუფლება, დაუყოვნებლივ გაიძრო სამხედრო ფარაჯა, უგულებელყო მთელი ამსოფლიური დიდება და ტაბაკინის მონასტერში ღვთის სამსახურში ჩადგა. სხვადასხვა მორჩილებაში სამწლიანი გამოცდის შემდეგ იგი სტეფანეს სახელით ბერად აღიკვეცა. ამ დროს მონასტერს განაგებდა ბერი, არქიმანდრიტი გერმანე, კაცი სათნო, საღვთო მადლით უხვად დავანებული, რომელსაც ლოცვით წვიმები მოჰყავდა და სნეულთ ჰკურნავდა. მას ცისკარზე წესად ჰქონდა წმიდანთა კანონების თავად კითხვა და ამ დროს თვალთაგან ღვარად სდიოდა ცრემლი. მამა ილარიონს შემდგომში ძლიერ უკვირდა, როგორ არ უშლიდა ხელს საკვირველმოქმედებაში ბორცის ჯამა მამა გერმანეს.

მონასტერში ცხოვრების სამი წლის თავზე ქუთაისის მიტროპოლიტმა დოსითეოსმა სტეფანეს ხელი დაასხა და ეიროდიაკვნად აკურთხა. სულ მალე სასულიერო წოდების მიღების შემდეგ მამა სტეფანემ არქიმანდრიტს განმარტოებული ცხოვრების დაწყების დიდი ხნის სურვილი გაუმხილა. ბერმა გერმანემ, გამოცდილმა კაცმა, რომელსაც თავისი ხანგრძლივი მომლოცაობის მანძილზე პალესტინასა თუ სინას მთის წმიდა მიწაზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და ათონის წმიდა მთაზე მრავალი მოსაგრე ჰყავდა ნანახი, ყველა ღონე იხმარა, სტეფანესთვის განზრახვა შეეცვლევინებინა, რათა ეშმაკის მახეში, ხიბლში არ მოხვედრილიყო. მაგრამ როცა მისი გადაწყვეტილების სიმტკიცეში დარწმუნდა, დათანხმდა. ოღონდ არა მაშინათვე, არამედ წინასწარი, სხვადასხვა მორჩილებაში სამწლიანი მკაცრი გამოცდის შემდეგ. ყოველი მესამედის განსრულებისას მას ჩააბარებდნენ ხოლმე რომელიმე ბერს თანამესენაკედ. ასე განვლო კიდევ სამმა წელმა. მან მონასტერში სულ ცხრა წელი იცხოვრა. როცა ეს ხანიც გამოხდა, არქიმანდრიტმა გერმანემ მონასტრის ბერებისაგან შემდგარი სასულიერო კრება მოიწვია. კრებას მამა სტეფანეც დაესწრო. მოძღვარმა კიდევ ჰკითხა მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. რაზეც კვლავინდებურად მტკიცე პასუხი გაისმა. მაშინ ბერებმა ჰკითხეს, სად სურდა განმარტოება. ურმობიდან ღვთის ნებასა და უფროსთა განმგებლობას მინდობილმა მამა სტეფანემ ეს ბერების განსჯას მიანდო და მათი რჩევით მთებსა და ულრან ტყეში, სადაც ადრე მრავალი მეუდაბნოე ცხოვრობდა, მონასტრიდან ექვსი კილომეტრით დაშორებული ადგილი აირჩია.

მისი განდეგილობა კვლავ გამოცდასთან იყო დაკავშირებული, რომელმაც ხუთ წელიწადს გასტანა. პირველ წელს ებრძანა ლიტურგიის შემდეგ მონასტრიდან წაელო ჭკადი, წყალი, ბოსტნეული და გზის გაყვანის მიზნით ტყე გაეკაფა იმ ანგარიშით, რომ მწუხრის ლოცვისათვის სავანეში დაბრუნებულიყო. პირველი წლის მიწურულისთვის ხის სენაკი აიშენა. მეორე წლისთვის მონასტრიდან კურთხევა აიღო, ღამე სენაკში გაეთია, ცისკრის ლოცვისათვის კი სავანეში დაბრუნებულიყო და იქ მამებთან დაეყო. ამ გამოცდის შემდეგ, მესამე წელს, მას ნება მიეცა ბოსტანი გაეშენებინა და ორი ღამე უდაბნოში გაეთენებინა, ხოლო მესამე დღეს სავანეში უნდა გამოცხადებულიყო. მეოთხე წელს ნება დართეს სენაკში ოთხი დღე გაეტარებინა, მეხუთე დღეს კი სავანეში გამოცხადებულიყო და იმ დღის ბოლომდე, შაბათსა და კვირას იქ დარჩენილიყო. მეხუთე წელს მარტოდ ყოფნისათვის ხუთი დღე მიეცა. შაბათ-კვირას კი მონასტერში უნდა ყოფილიყო.

როცა მამა სტეფანე ღვთის მადლით განემტკიცა მოსაგრეობაში, ბერებმა მისი განმარტოების ურყევი წადილი ირწმუნეს და სრულ მდუმარებაში განდგომის ლოცვა-კურთხევა მისცეს. სამი წელი სრულიად ეულად იცხოვრა. მერე კი ვინმეს მეუდაბნოური სულისკვეთებით აღზრდის საღვთო შურით აღიძრა, დიდი ხნის განსჯის შემდეგ სოფელ ლოსიათხევს გაემართა და თავის დას, მარიამ ყანჩაველსა და სიძეს შესთავაზა თავიანთი პირველშობილი ძე ღვთისათვის მიეძღვნათ. მშობლები დიდხანს მერყეობდნენ, მაგრამ როცა ბერმა ღვთის ნებისადმი გაძალიანებისათვის ყრმის სიკვდილი და შემდგომში შვილთასხმის აღკვეთა უწინასწარმეტყველა, მაშინ კი იჩქარეს გაეყოლებინათ ბიჭი, რომელიც იმ დროს ექვსი წლისა იყო.

ბერმა თან წაიყვანა იესე და თორმეტი წლის მანძილზე ნორჩი ყლორტივით ზრდიდა, ასწავლიდა დუმილს, თავშეკავებას, ლოცვასა და წმიდა წერილის კითხვას. იშვიათად თუ დართავდა ნებას მოენახულებინა მშობლები ან მონასტერი. ეგზომ ნორჩ ასაკში გახდა რა მეუდაბნოე, მამა ილარიონმა ადრევე გამოსცადა სიავე ეშმაკთა, რომელთაც ყველაზე მეტად განდეგილები სძულთ. უფალმა უწყის, რამდენი თავდასხმა განიცადა სიკეთისმოძულე ეშმაკისაგან. დემონები მრავალ ხრიკს მიმართავდნენ, რათა ბავშვი ან ჭკუიდან შეეშალათ, ანდა თვითმკვლელობამდე მიეყვანათ. ღამღამობით თავს ესხმოდნენ ყაჩაღებად გარდასახულნი, ზოგჯერ დედის ხმით უხმობდნენ, რითაც მიტოვებულ სახლს აგონებდნენ. დღისით კი დათვებისა და სხვა მხეცების სახით ესხმოდნენ თავს და მის შეშინებას ლამობდნენ.

ასეთ მძაფრ ბრძოლაში განვლო მამა ილარიონის ახალგაზდულმა წლებმა, როდესაც იგი სრულიად მოწყვეტილი იყო ამა სოფელს. ბერი სტეფანეს ცხოვრების ბოლო წლებში მათთან მივიდა თავად აბაშიძისაგან გამოქცეული ყმა, სახელად ლავრენტი, რომელიც სამწლიანი გამოცდის შემდეგ ბერად აღიკვეცა. შემდგომში მან მოილოცა წმიდა ადგილები და იერუსალიმში ხელი დაასხეს მღვდელმონაზვნად. მას შემდეგ, რაც უფლის საფლავზე მრავალი ღვაწლი გასწია, იერუსალიმის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ათონის მთაზე ივერიის მონასტერში დასახლდა, სადაც გაასრულა კიდეც თავისი ამქვეყნიური ცხოვრება. მამა ილარიონი ყვებოდა, რომ იგი აღსავსე ყოფილა ღვთის სიყვარულითა და სულის სიმდაბლით. მამა ბენედიქტე, რომლის თანდასწრებითაც განუტევა მან სული, ამბობდა, მამა ლავრენტის აღსასრული ნეტარი იყო, რამეთუ ანთებული სანთლით ხელაპყრობილმა მიაბარა სული უფალსო.

მამა სტეფანემ თავისი გარდაცვალების ჟამი წინასწარ შეიტყო და იესეს უანდერძა, როცა ყოველივე ეს აღსრულდებოდა, მაშინვე დაეტო-

ვებინა მათი განმარტოების ადგილი. რათა უმოძღვროდ ლარჩენილს თავი ეშმაკის მახეში არ ამოეყო. შემდეგ ბერი მონასტერში წავიდა, გამოემშვიდობა და უკანასკნელად ეამბორა ძმებს. მერე დაბრუნდა თავის სენაკში და რამდენიმე დღის ავადმყოფობის თავზე მიიქცა ნეტარ მარადისობაში.

გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო არა მარტო მონასტრის ძმობისთვის, არამედ მრავალი ერისკაცისთვისაც. მისი სახით ბევრს მოაკლდა მლოცველი, დამრიგებელი და ნუგეშისმცემელი. მამა ილარიონმა დაადასტურა, რომ მამა სტეფანე იყო ბერ-მონაზვნური წესების მკაცრი დამცველი და აღმსრულებელი, რომელმაც მიაღწია უმაღლეს სულიერ საგანთა განსჯის ხარისხს. მთელი კვირების განმავლობაში მხოლოდ მჭადით, მარილითა და წყლით საზრდოობდა. და ხანდახან თუ იგემებდა მცირეოდენ ბოსტნეულს. დიდმარხვაში შვიდეულის სამ დღეს სრულიად იკავებდა თავს საკვების მიღებისაგან. რჩევისათვის მასთან მრავალნი მიდიოდნენ. ერთი ერისკაცის შეკითხვაზე, რომელიც მონაზვნობას ესწრაფვოდა, მან უპასუხა: "თუ გსურს მონაზვნობა, უველა ჟინისა და ამსოფლიურ მიდრეკილებათა ნახევარი ჯერ კიდევ ბერად აღკვეცამდე უნდა მოიკვეთო. შემდეგ კი იღვაწო, რათა შენში ქვეყნიერი ცხოვრების კვალიც კი საბოლოოდ აღმოფხვრა".

ბერი სტეფანეს სიკვდილის შემდეგ იესე ტაბაკინის მონასტერში გადავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ უცხოვრია, რამეთუ მძლავრი საღვთო შური ჰქონდა სწავლის გაგრძელებისა. და როცა შეიტყო თბილისში სასულიერო სასწავლებელი გაიხსნაო, უველას გაუფრთხილებლად ქართლს მოაშურა. გზად, გორის მაზრის სოფელ ნიქოზში სამღვდელო პირთა მიმართ ჩვეული მოწიწების გამო, ლოცვა-კურთხევის მისაღებად ნიქოზის ეპისკოპოს ათანასესთან შეიარა. ამ წმიდა კაცმა ღამის გასათევად თავისთან დაიტოვა. მისი ცხოვრება გამოჰკითხა. ხოლო შემდეგ ძველ მამათა წესის თანახმად ლოცვის ერთად აღსრულება სთხოვა. იესემ წარმოსთქვა ლოცვა ქართული ლოცვანის მიხედვით. მისი ლოცვით ფრიად დამტკბარმა მღვდელმთავარმა მიმართა უკვე როგორც დამრიგებელმა და მრჩეველმა: "შვილო ჩემო, შენ სასწავლებელში ისეთს ვერაფერს გასწავლიან, რაც უდაბნოში გისწავლია. ასე რომ, დაბრუნდი შენს სახლში, უფალი ღმერთი, რომელმაც ლოცვა გასწავლა, აგრეთვე შენი ბერის ლოცვები, ისეთ მდგომარეობაში მოგიყვანენ, როცა ღვთის ეკლესიისა და შენი ერისათვის სასარგებლო იქნები". და იესეც ღვთის კაცის ლოცვა-კურთხევით დაბა ლოსიათხევში მშობლიურ სახლს დაუბრუნდა.

მალე მამამ ქუთაისში სასახლეში წაიყვანა და მეფეს მსხვერპლივით მსახურებისათვის შესწირა. მეფემ იესე განსასწავლად თავის დაახლოე-

ბულ პირს. თავად გიორგი წერეთელს მიაბარა. ხოლო მან, იხილა რა აღსაზრდელში სულიერი საგნებისადმი ძლიერი სწრაფვა. ცოდნის გასაღრმავებლად ჯრუჭის წმიდა გიორგის მონასტერში მცხოვრებ არქიმანდრიტ გერონტის, ერისკაცობაში თავად სოლოღაშვილს მიანდო. მამა გერონტი ცდილობდა თავის მოწაფეში უმეტესად ლოცვის სიყვარული გაეღრმავებინა და მას მკაცრი მონაზვნური სულისკვეთებით ზრდიდა. ასე რომ, შემდგომში მამა ილარიონი გაოცებით იხსენებდა, როგორ იდგა ბერი ღამისთევის ლოცვაზე მწუხრიდან მზის ამოსვლამდე და მასაც აიძულებდა იგივე ეკეთებინა. ასე ატარებდნენ ისინი ღამეებს ფსალმუნთ გალობაში და ქართული ლოცვანიდან ლოცვების კითხვაში. ბერის სრულ მორჩილებაში იესე მოსაგრეობრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთხელ ზამთარში, მამა გერონტიმ დაავალა ქუთაისში მის მეგობართან წერილი წაეღო და თოვლში ფეხშიშველი გაგზავნა. როცა წერილი მიიტანა, იესეს ჩაცმულობით გაოგნებულმა მასპინძელმა ორი პიასტრი მისცა და უბრძანა ქალამნები ეყიდა. ბერმა ფეხშემოსილი რომ დაინახა, მოუთმენლობისა და სულმოკლეობისათვის მკაცრად უსაყვედურა. ყველაფერთან ერთად ბერი თავის მოწაფეს თავშეკავებას ასწავლიდა, ოღონდ არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით და სათნოების კიბის საფეხურიდან საფეხურზე აჰყავდა. თავდაპირველად იესეს ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით მზის ჩასვლამდე საზრდელის მიღება აუკრძალა. შემდეგ კი ამ დღეებში ჭამას სრულიად გადააჩვია. ამასთანავე საერო მეცნიერებებსაც ასწავლიდა: სუფთა წერას, გრამატიკას, არითმეტიკასა და სხვ. ასეთ დაუცხრომელ, მღვიძარე ღვაწლში იესემ სამწელიწად-ნახევარი დაჰყო მამა გერონტისთან. როცა ბერი დარწმუნდა, უმაწვილმა ამ მოკლე ხანში ყველა მეცნიერება აითვისაო, დააბრუნა თავად წერეთელთან სხვა საერო მეცნიერებათა დასაუფლებლად. თავადს იესე მუდამ გვერდით ჰყავდა, და სადაც წავიდოდა, თან დაჰყავდა.

ერთი წლის შემდეგ თავადმა იესეს თავისი ამალის ფულადი შემოსავალ-გასავლისათვის თვალყურის დევნება დაავალა. აგრეთვე თავისი სახელით ბრძანებების წერა მიანდო, რისთვისაც თავისი სახელობითი ბეჭედი მისცა.

სამეფო სამსახური და მღვდლობა

ორი წლის შემდეგ თავადმა წერეთელმა იესე სასახლეში წარადგინა და მეფე სოლომონ II-მ საგანგიოს მოხელედ გაამწესა. აქ მან ორ-ნახევარი

წელი იმსახურა. ვადის გასვლის შემდეგ იესეს ცოლის შერთვა და მღვდლობა შესთავაზა. ამ დროისათვის მეფესთან დაახლოებულ პირთა და ქვეყნის დიდგვაროვანთა შორის დიდი მღელვარება სუფევდა. ერთობ შფოთიანი დრო იყო. ერთნი რუსეთთან შეერთებას ემხრობოდნენ, მეორენი კი წინააღმდეგნი იყვნენ. ამიტომ, ხედავდა რა იესეს სისპეტაკესა და ლვთისმოშიშობას, მეფემ საჭიროდ ჩათვალა მისთვის სამღვდელო წოდების მინიჭება.

შემდგომში მამა ილარიონი იხსენებდა, რომ მეფეს ჯარის მთავარსარდლის წერეთლისა და რამდენიმე ერთგული მოსამსახურის გარდა საკუთარ წრეში არც ერთი სანდო პირი არ ჰყავდა. იგი ძლიერ დაანაღვლიანა თავდადებული კარისკაცის, თავად ქაიხოსრო წერეთლის გარდაცვალებამ. ომასთან დაკავშირებით, რომ მეფეს აღარ დარჩა ისეთი კაცი, რომელსაც ფულისნადებს გაუზიარებდა, გადაწყვიტა, სასულიერო წოდება იესესთვის მიენიჭებინა, რათა ჰყოლოდა მოძღვარი და მრჩეველი სახელმწიფო საკითხებში.

მეფის მორჩილმა იესემ ცოლად შეირთო თავადის ასული, სახელად მარიამი. მან სულ ორი კვირა დაჰყო ცოლის მშობლების სახლში, შემდეგ კი ქუთაისში გადავიდა, სადაც ხელი დაასხეს ჯერ დიაკვნად, მერე პრესვიტერად, ბოლოს კი კარის ეკლესიის პროტოპრესვიტერად.

მეფე სოლომონი გვერდიდან არ იშორებდა მამა იესეს და ავალებდა მამულის გაყოფის დროს თავადთა უთანხმოების მოგვარებას. შემრიგებლის მოვალეობა დიდ ტაქტს, თავშეკავებასა და დროს ითხოვდა, რის გამოც იგი ცოლს იშვიათად ხვდებოდა. ეს ძლიერ ანაღვლიანებდა მარიამს. ერთხელ შეიტყო რა, მამა იესე თავადი აბაშიძეებისგან დაბრუნების შემდეგ მეუღლის უნახავად პირდაპირ ქუთაისს გაემგზავრაო, დარდით ჯანმრთელობა შეერყა და ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. მათი ცოლ-ქმრული ცხოვრება მხოლოდ ორ წელიწადს გაგრძელდა.

რაკი მამა იესეს ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება იმერეთის იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებას, უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ მისი მონათხრობი იმერეთის სახელმწიფოს ბოლო დღეებისა და სოლომონ მეფის ხვედრის შესახებ. ეს ყველაფერი მამა იესემ გაბრიელ ქართველს უამბო. ხოლო ამ უკანასკნელისაგან ათონის მთის პანტელეიმონის მონასტრის რუსმა მოძღვარმა, მამა პანტელეიმონმა ჩაიწერა.

იმერეთის სახელმწიფოს დასასრული და სოლომონ მეფის გაქცევა

მას შემდეგ, რაც 1801 წელს საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, რუსეთის მთავრობამ იმერეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე იმერეთის მეფესთან დაიწყო მიმოწერა. მეფე სოლომონ II-მ მოიწვია დიდებულთა საბჭო და დაადგინეს: "რადგან მეფეს არ გააჩნია ტახტის მემკვიდრე, იმერეთი მის სიკვდილამდე ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და ერთმორწმუნე რუსეთთან ძმურ ურთიერთობაშია. რუსეთის ჯარს შეუძლია თურქეთის საზღვრებისაკენ თავისუფალი გადაადგილება. იმერეთის ჯარი კი ვალდებულია აღმოუჩინოს მას დახმარება. დაე, ამ ორი ქვეყნის ერთიერთობა სამუდამოდ და შეურყევლად განმტკიცდეს იმ პირობით, რომელიც დამახასიათებელია განუყოფელი სულიერი კავშირით გაერთიანებული ღვთივკურთხეული ქრისტიანებისათვის. მეფის სიკვდილის შემდეგ კი იმერეთში უნდა იმოქმედოს იმპერიის კანონმდებლობამ". საბჭოს თათბირის ოქმი გაეგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს თბილისში იმპერატორ ალექსანდრე I-სათვის გადასაცემად.

თუმცა ეს გადაწყვეტილებები მეფის ყველა ქვეშევრდომმა მოიწონა, ერთ-ერთი დიდებულის, თავად ზურაბ წერეთლის გონებაში სხვა აზრი მწიფდებოდა. თავადმა ზურაბმა, რომელიც სოლომონ I-ს პეტერბურგში ახლდა, ეკატერინე II-ისგან გენერალ-მაიორის წოდება მიიღო და ამის გამო საკუთარ თავზე ძალზე დიდი წარმოდგენისა იყო. სიმდიდრემ და დიდებამ თავბრუ დაახვია. მისი სასახლე საჩხერეში ფუფუნებით მეფისას აღემატებოდა. იმ აზნაურთა გარემოცვაში ცხოვრობდა, რომელთაც კანონიერ ხელმწიფეს უღალატეს და მის სამსახურში ჩადგნენ. თავად ზურაბს იმერეთის, ქართლ-კახეთის, სამეგრელოს და გურიის ყველა წარჩინებულ გვართან ნათესაური კავშირი ჰქონდა. სრული თავისუფლებისა და შეუზღუდავი უფლებების მქონე ფეოდალური ხანის რაინდივით ცხოვრობდა. რუსეთის ფარისევლური ერთგულებით მეფისა და მასთან დაახლოებულ პირთა ნდობას იმსახურებდა. რუსეთთან საბოლოოდ შეერთების თაობაზე დიდებულთა საერთო გადაწყვეტილებას მეორემ მოაწერა ხელი. სინამდვილეში სოლომონ მეფის ჩამოგდება და მისი ტახტის დაუფლება ჰქონდა ჩაფიქრებული. ყველა გზით ცდილობდა მეფისა და იმპერატორის მეგობრული ურთიერთობის გაწყვეტას. სოლომონ II-ის მოწინააღმდეგე გრიგოლ დადიანს იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი მეფის ცილისმწამებლური წერილების დასაწერად აგულიანებდა. ხოლო თვით მეფეს ურჩევდა

სამეგრელოდან ქართლ-კახეთში მიმავალი რუსული ჯარი იმერეთზე არ გაეტარებინა, როგორც თვითონ ამბობდა, რუსების მიერ მეფის სიკვდილამდე იმერეთის დაპყრობის საშიშროების გამო.

გულმართალი და მშვიდობისმოყვარე მეფე ყურს არ უგდებდა თავადის მზაკვრულ რჩევებს, რადგან უყვარდა ერთმორწმუნე რუსები.

როდესაც ორ მონარქს შორის ზემოაღნიშნული გზით შუღლის ჩამოგდება ვერ შეძლო, სხვა ხერხს მიმართა. თავდაპირველად წერილობითი ურთიერთობა დაამყარა კავკასიის მეფისნაცვალთან. შემდეგ კი რამდენჯერმე პირადად ეწვია მას, რათა დაერწმუნებინა, მეფის იმერეთში ყოფნა ხელს უშლისო კავკასიის დაშოშმინებას. მეფის ამალას ვერაგ. თავნება, საეჭვო ხალხად იხსენიებდა, ხოლო თვით მეფეს უჭკუოდ, რომელსაც არ ძალუძდა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა.

მრავალი ხრიკის შემდეგ გაუმართლა. გენერალ-ადიუტანტმა ტორმასოვმა იმპერატორს, თავად ზურაბ წერეთლის ცილისწამებაზე დაფუძნებული პატაკი წარუდგინა. ირწმუნა რა ცილისწამება, იმპერატორმა ბრძანა როგორმე სოლომონ მეფე თბილისში შეეტყუებინათ, იქიდან კი მუდმივ საცხოვრებლად სანქტ-პეტერბურგში გაეგზავნათ.

ამ ბრძანების ძალით გენერალმა ტორმასოვმა თავად წერეთელთან საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ მეფესა და დარბაზს მისწერა, სურამში ჩამობრძანებულიყვნენ, იმერეთისა და საქართველოს საზღვარზე მასთან პირადად შესახვედრად, რათა მეფისთვის იმპერატორის სიტყვიერი ბრძანება გადაეცა. მეფე სოლომონმა მაშინვე იეჭვა და გენერლისათვის პასუხის მისაწერად დარბაზი მოიწვია. დარბაზმა ადრე მიღებული გადაწყვეტილებები დაადასტურა, ხოლო გენერალს უპასუხა, აღარ შეეწუხებინა თავი მეფისა და ხალხის შეურაცხმყოფელი წინადადებებით. თათბირის ბოლოს თავადი წერეთელი წინ აღუდგა ამ საერთო გადაწყვეტილებას. მეფეზე ზრუნვით შენიღბა რა თავისი გადაწყვეტილება, ამტკიცებდა, რომ შეუწყნარებელი იყო იმპერატორისთვის ასეთი უკმეხი პასუხის გაცემა, რადგან ეს ყველაფერი შეიძლება ომითა და მეფის განდევნით დამთავრებულიყო. ამავე დროს მეფეს ურჩევდა გენერალ ტორმასოვს სურამში სეირნობის ან ნადირობის მიზეზით შეხვედრობა და ამით თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი უბედურება. პროტოპრესვიტერი იესე მიუხვდა თავად ზურაბს ბოროტ განზრახვას, ბრალი დასდო მეფის ღალატში და ამხილა, როგორც სახელმწიფოში ყველა არეულობის მოთავე, ვერაგი, ძალაუფლების მოყვარე დამნაშავე. ამგვარად მამა იესემ ბაგე დაუხშო ზვიად თავადს, რომელმაც თავლაფდასხმულმა დატოვა სასახლე.

მოითხოვა ცხენი და საჩხერისკენ გაქუსლა. თან თავის მამხილებელს ლანძღავდა. მოხსენიებული წერილი თბილისს გაიგზავნა. რამოდენიმე დღის შემდეგ კი მამა იესემ სახლიდან ცოლის დაღუპვის ცნობა მიიღო.

მისი არყოფნისას სათათბიროში უთანხმოება დაიწყო. ერთნი წერილის დაწერას ნანობდნენ, მეორენი პირდაპირ მხარს უჭერდნენ თავად წერეთლის მოსაზრებებს. მესამენი კი არწმუნებდნენ მეფეს პროტოპრესვიტერის რჩევას დაჰყოლოდა და მოძღვრის ორმოცდღიანი გლოვის დამთავრებამდე ქუთაისი არ დაეტოვებინა. მეფემ არ იცოდა ვისთვის დაეჯერებინა. საუბედუროდ, თავად წერეთლის მზაკვრულმა გეგმამ სძლია, რის წინააღმდეგაც მამა იესე ასე შეუპოვრად ილაშქრებდა. მეფე სოლომონი სამასი მეომრის თანხლებით, ვითომ სასეირნოდ, ქუთაისიდან სურამს გაემგზავრა.

გენერალმა ტორმასოვმა, შეიტყო რა მეფე მობრძანდებაო, ყველასათვის მოულოდნელად დატოვა სურამი და გორს მიაშურა. თან ერთ-ერთ მოხელეს დაუბარა, გადაეცათ მეფისთვის, რომ საგანგებო საქმეები გორში მის აუცილებელ ყოფნას მოითხოვდა. ამასთანავე მის უმაღლესობას (მამა გაბრიელის თქმით, იმერეთის მეფეებს უწოდებდნენ უმაღლესობას და არა უდიდებულესობას) გორში ჩაბრძანებას სთხოვდა. იმავე მოხელეს ტორმასოვმა უბრძანა უარის შემთხვევაში ჩასაფრებული ჯარისა და არტილერიის მეშვეობით მეფე ძალით ჩაეყვანათ იქ. სურამში ჩასული მეფე სოლომონ II დიდი ზარზეიმით მიიღეს. მაგრამ როცა გენერლის ეშმაკური მოქმედება შეიტყო, თავისდამი ასეთმა უღირსმა დამოკიდებულებამ ძლიერ დააღონა. ყველაზე მეტად იმერეთის ბედი აწუხებდა. რა მოელოდა მას, თუ რუსეთიდან ასეთ უსინდისო ხალხს გამოუგზავნიდნენ. რა უბედურ მდგომარეობამდე მიიყვანდნენ მის ქვეყანას. იგი დარწმუნებული ამბობდა: "ნუთუ რუსეთის კეთილგონიერ იმპერატორს შეუძლია დანიშნოს ხალხი, რომელიც სრულიად არ იმსახურებს ნდობას?", და აქვითინდა მეფე სოლომონი თავისი ქვეყნის ბედზე, ქვეყნისა, რომელსაც ოცდახუთი წლის მანძილზე დაუცხრომლად იცავდა და ცდილობდა ხალხში სახარების წმიდა სულისკვეთება შეენარჩუნებინა. გენერალ ტორმასოვის მოხელეთა სათნო მოპყრობამ მეფეს ვერ გაუქარწყლა პირველი ცნობით მიყენებული ტკივილი. იგი დამწუხრებული ამბობდა. გენერლის უღირსი მოქმედება მასთან ანგარიშის დაუყოვნებლივ გასწორებას მოითხოვს, რათა მსახური არ გადიდგულდეს და ბოროტად არ გამოიყენოს ნდობაო. ამალამ მეფეს ქალაქის გადაწვა და შინ დაბრუნება შესთავაზა. მაგრამ იგი არ დათანხმდა. მიენდო კაცთა მოდგმის საქმეთა წარმმართველ ღვთის შეუცნობელ ნებას და გორს გაემგზავრა. მაგრამ გენერალმა ტორმასოვმა თბილისისკენ გასწია. გორში კი ჩასაფრებული ხალხი დატოვა. თავის მოხელეს მეფისთვის

გადასაცემად დაუბარა. სასწრაფო საქმეებმა ჩემი თბილისს გამგზავრება მოითხოვესო, და უმორჩილესად სთხოვდა მის უმაღლესობას იქ შეხვედრას. შეურაცხმყოფელმა ტყუილმა მეფე აღაშფოთა და გაბრაზებულმა წამოიძახა: "ნუთუ სახელმწიფო უსინდისო გენერლებს ეყრდნობა და თვით იმპერატორი ისეთ ხალხს ენდობა, რომელთაც არც სარწმუნოებისთვის, არც მეფისა და ქვეყნისთვის არანაირი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია?" მან სამჯერ გადააფურთხა, მიუძღვნა რა ეს გენერალ ტორმასოვს, და დაუყოვნებლივ თბილისს გაემგზავრა.

თბილისში მეფეს დიდი პატივით შეხვდნენ და, ვითომ საპატიო ყარაულის სახით, მრავალრიცხოვანი დაცვით გარშემორტყმულ საუკეთესო ოთახებში მოათავსეს. როცა მის წინაშე გენერალი ტორმასოვი წარსდგა, მეფემ სიტყვის თქმა არ დააცალა და განრისხებულმა შესძახა: "ვინ ხარ შენ? რა წარმომავლობისა და დამსახურებისათვის მიიღე ესოდენ მაღალი თანამდებობა?" როცა გენერალმა აუხსნა, ძველი თავადური წარმოშობის გვარს ვეკუთვნიო, პასუხად შემდეგი სიტყვები მიიღო: "უანგაროდ რომ მიგეღწია ამ წოდებისთვის, ხოლო წარმომავლობა შენს ნათქვამს შეესაბამებოდეს, ვერასდროს მისცემდი თავს უფლებას ასეთი უღირსი საქციელით შეურაცხყოფა მოგეყენებინა ჩემთვის. და ხელმწიფისათვის უსიამო ახსნა-განმარტების მიცემას არ მაიძულებდი. მაგრამ შენი საქციელი მდაბიურია და არ შეესაბამება არც შენს წოდებას, არც შენს გვარს. მე შემიძლია თავხედობისთვის ახლავე გაგისწორდე, მაგრამ მეფეთათვის დამახასიათებელი სულგრძელობისა და შენი სახელმწიფოს - ჩვენი ძმის ღირსების გამო არ ვიზამ ამას". გენერალი ძლიერ შერცხვენილი დარჩა. შინ მისვლისთანავე გამოიძახა ქართველი თავადები: დავით ჯამბაკურ-ორბელიანი, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრან ბატონი, დავით თარხან-მოურავი, აჩვენა მათ იმპერატორის ბრძანება და თავის მართლებას მოჰყვა. თავისი დანაშაულის თავად ზურაბ წერეთლისთვის გადაბრალება სცადა და ყველაფერს მას აბრალებდა. თავადებს კი იმერეთის მეფესთან შუამავლობას სთხოვდა, რათა მას მრისხანება მოწყალებით შეეცვალა. თავის მხრივ პპირდებოდა მიეწერა იმპერატორისთვის. სანქტ-პეტერბურგში მეფე შესაფერისი პატივით მიეღოთ, თანაც ამის შემდეგ შეასუსტა დაცვა და მნახველთა თავისუფალი მიღების ნება დართო.

თავადებმა გენერალთან საუბარი მეფეს გადასცეს, მაგრამ მისი მჭუნვარებიდან გამოყვანა ვერ შესძლეს. ვერც ბოდიშები და ვერც გულითადი მიღების დაპირებები მის გულს ვერ ახარებდა.

ერთგული ხალხის შეკრებაზე მეფემ თავადი ზურაბ წერეთელი დაწყევლა: "ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა იავარჰყოს სახლი მისი ამ ზრახვების

სამაგიეროდ, რადგან იმერეთმა უდროოდ დაკარგა მეფე და მმართველი". იქ მყოფთა შორის თავად ზურაბ წერეთლის შვილი სვიმონიც იყო. ღვთის მირონცხებულისაგან ასეთი შემზარავი წყევლის გაგონებაზე შიშით შეძრწუნებული მეფის ფერხთით დაემხო და ცრემლით, აღელვებისაგან სუნთქვაშეკრული შეევედრა: "ხელმწიფეო! აგვაცილე ეს წყევლა მე და ჩემს ძმას, მიტროპოლიტ დავითს, რადგან მამაჩემისა და ძმის, გიორგის არავითარ ზრახვებში მონაწილეობა არ მიგვიღია". მაშინ მეფემ ბრძანა: "ნუ გეშინია ამ წყევლის, რადგან ღმერთი დამნაშავეს მოჰკითხავს, უცოდველთ კი არ შეეხება".

გენერალ ტორმასოვის ელჩმა მეფეს აუწყა სანქტ-პეტერბურგიდან მიღებული ცნობით თქვენთვის სასახლე მზად არის, ხოლო ამალის სარჩენად საკმაოდ დიდი ფულია გამოყოფილი. იმპერატორს მთელი სულითა და გულით სურს თავის გვერდზე ასეთი სახელოვანი თანამოძმის ხილვა, და რუსეთში გასამგზავრებლად ორი თვის ვადას გაძლევთო. მეფემ ამავე ელჩების საშუალებით უპასუხა გენერალს: "იმერეთი ღვთიური სამოთხეა და ერთადერთი სასახლე მისი მეფისთვის, ამიტომ თქვენი პეტერბურგის დარბაზები მე ვერ მომხიბლავს. იმერეთის მეფის ქვეშევრდომთა ძღვნით შემკული ზომიერი სუფრა სასახლეში ერთადერთი ფუფუნებაა. თანაც ამ სუფრიდან შეექცეოდნენ დიდებულნი და გლახაკნი, მწირნი და უპოვარნი და ყველანი ჰმადლობდნენ უფალს. ასეთი დიდი ხარჯი ფრიად ზედმეტია ჩემთვის და დაე, ხელმწიფე ნუ დაამძიმებს ამით სახელმწიფო ხაზინას, რაც შეეხება გულთბილი შეხვედრისა და ჩემდამი ძმური მოპყრობის დაპირებას, ასრულდება, თუკი ღვთის ნება იქნება, გენერალი კი დროზე ადრე არ შეწუხდეს. ვამცნობ, ამ ორ თვეს ლოცვას ვუთმობ, რადგან ჩემთვის უცნობ ქვეყანაში მივემგზავრები".

ელჩების წასვლის შემდეგ მეფე მხურვალე ლოცვას მიეცა. შემდეგ შეაგროვა თავისი ხალხი და მიმართა: "ძმანო, თქვენ ყველა ჩემთან ხართ აღზრდილნი. დღევანდელ დღემდე ვიმყოფებოდით რა სამშობლოში, ვცხოვრობდით ღვთის განგებაზე დაყრდნობით. როგორც მე, თქვენი მამა, ასევე თქვენ, საყვარელო ძმებო, ცხადია, რომ ჩემი ოცდახუთწლიანი მბრძანებლობის განმავლობაში კმაყოფილი ვიყავი მსახურებით და არ მქონია თქვენი ერთგულების შემოწმების საჭიროება, რადგან სამსახური თავისთავად ადასტურებდა ამას. ხშირად გიწევდათ ოჯახებთან განშორება და მათთან იშვიათ შეხვედრებს სჯერდებოდით. დღეს კი ღმერთმა ინება ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლა და სიკვდილამდე უცხო მხარეში უნდა გადავიხვეწოთ. მე მსურს გკითხოთ: "ვინ რჩება ჩემი ჭეშმარიტი ერთგული? ეს საქმე იოლი არ გეგონოთ, იგი ადამიანის ძალას აღემატება. ვის სურს

ჩემს თავს დატრიალებული უბედურების გაზიარება?" ყველამ იქვე ერთხმად გამოხატა მეფის ერთგულება. დაივიწყეს რა თავისი მამულებისა და ოჯახების ინტერესები. აღუთქვეს გაეზიარებინათ მისი ჭირიცა და ლხინიც. ამის დასტურად მოატანინეს ჯვარი ცხოველი და მის წინაშე ფიცი დადეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მეფემ თავის ერთგულ მსახურს ქაიხოსრო წერეთელს უხმო და სანქტ-პეტერბურგში გადასვლის შესახებ აზრები გააცნო. თქვა, რომ რუს იმპერატორს მისი გვერდში ამოყენება სურდა, რათა დიდებით გარდამეტებულიყო, აშკარად თუ არა, გულში თავი მეფეთა მეფედ წარმოედგინა. ეს იმდენად მოუშუშებელი და დამამცირებელი იარა იქნებოდა, რომ უჯობდა სიკვდილის მწარე თასი შეესვა. ვიდრე მისი წმიდა დინასტიის პატივის აყრის მიზეზი გამხდარიყო. ამგვარად გადაუშალა რა გული, სთხოვა ამაზე ეფიქრა და მეგობრული რჩევა მიეცა.

მთელი თავისი კეთილშობილი ბუნებით ბავშვობიდან მეფის ერთგულმა ქაიხოსრო წერეთელმა სასწრაფოდ სთხოვა: "კარგად მოგეხსენებათ, რომ სულითა და გულით მზად ვარ დაგიმტკიცოთ ჩემი სიყვარული. გთხოვთ გამაცნოთ თქვენი ზრახვანი". მაშინ მეფემ უამბო, რომ მზად იყო თურქეთს გასაქცევად, ან ბერად აღსაკვეცად. მწირივით ყველაფრის მოსათმენად, ოღონდ პეტერბურგს არ წასულიყო და იმპერატორისთვის არ მიეცა ტრაბახის საშუალება, რომ ის მეფეთა მეფე იყო.

თავადმა ქაიხოსრომ ყველაფერში დახმარება აღუთქვა და იმავე საღამოს ამალის ყველა თავადს შეატყობინა მეფის გეგმები. მათ კიდევ ერთხელ დადეს ერთგულების ფიცი. თავადმა ქაიხოსრომ თავისთან მოიხმო ერთი მცირე მამულის მქონე აზნაური და ჰკითხა: "როგორც მეფის ქვეშევრდომს, მის აღზრდილსა და კეთილყოფილს, რაოდენ გიყვარს შენი ხელმწიფე?" მან უპასუხა, მეფის გულისთვის მზად ვარ ოჯახისა და მშობლების სიყვარული დავივიწყო. ყველა გაჭირვებას გავუძლოო. მაშინ თავადმი ჰკითხა: "თუ ვითარება მოითხოვს მეფისთვის შენს სიკვდილს, იქნება ეს ხმლით გაკვეთა, სახრჩობელა თუ ნაწილ-ნაწილ აჩეხვა, მზად ხარ გაუძლო ამას?" შემცბარმა აზნაურმა თქვა, რომ არ შეეძლო. წარმოუდგენლად ეჩვენებოდა და სისუსტისა და სულმოკლეობისათვის შენდობა ითხოვა. თავადმა გულახდილობისათვის მადლობა გადაუხადა, თან ფულით, სამოსითა და იარაღით დააჯილდოვა. შემდეგ იგი მეფეს წარუდგინეს, რომელმაც დაავალა ქუთაისს გამგზავრებულიყო. ეამბნა დედოფლისთვის ყველაფერი, ეთხოვნა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო გურიის მთავართან. იქიდან ქობულეთის სანჯაყში თურქეთის მიდამოებში და იქ დალოდებოდა მეფეს კონსტანტინეპოლში გასამგზავრებლად. მეო-

რე დღეს სადილის შემდეგ თავადმა ქაიხოსრომ ერთი ახალგაზრდა თავადიშვილი იხმო, რომელიც პატარაობიდანვე სასახლეში იზრდებოდა, მეფეს სუფრის დროს ღვინოსა და წყალს აწვდიდა და ჰკითხა: "შენ ძმაო, ასე ახლოს რომ ხარ მეფესთან და თან ასე გმფარველობს, რამდენად ერთგული ხარ შენი კეთილისმყოფლისა?" მან უპასუხა, რომ მზად იყო მეფისთვის ყველაფერი გაეწირა. თვით სიცოცხლეც კი და სთხოვდა უფალს მისთვის ასეთი შესაძლებლობა მიეცა, რათა საქმით დაემტკიცებინა ეს. თავადმა ჰკითხა: "მაშ, მზად ხარ თავდადებისთვის, რათა მეფეს ტყვეობა ააცილო?" მან აღფრთოვანებით უპასუხა: "გმადლობ შენ, უფალო, რათა ღირს მყავ საკუთარი სისხლით ვემსახურო მეფეს". მაშინ თავადმა ვაუმხილა მეფის ჩანაფიქრი და თავისი გეგმა გააცნო: "შემდეგ საღამოს მეფეს ტანსაცმელს გაუცვლი და მის ლოგინში ჩაწვები. მსახურის ტანსაცმელში გადაცმული მეფე კი თავის თავადებთან ერთად სასახლიდან ვითომ აბანოში წავა". ყმაწვილმა სიხარულით აღუთქვა ყველაფრის შესრულება და სიკვდილისთვის მზადებას შეუდგა.

თავადმა ქაიხოსრომ თავადებს შესთავაზა დაცვის თვალწინ რუსეთში წასვლასთან დაკავშირებული განხეთქილების სცენა გაეთამაშებინათ, რაც მათ ოსტატურად შეასრულეს. ატყდა ხმაური, ყვირილი და კამათი. თვით გენერალი ტორმასოვი მოვიდა და აჩოჩქოლებული თავადების დაწყნარება სცადა. მაგრამ ამაოდ დაშვრა. თითქმის ყველა ყვიროდა სანქტ-პეტერბურგში გამგზავრება არ გვსურსო. ამ ხმაურზე მეფე სოლომონი გამოვიდა და განაცხადა, ვისაც ჩემთან ერთად გამგზავრება არ გსურთ, შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთო. თითქმის მთელმა ამალამ, ექვსი თავადის გამოკლებით, დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ამავე საღამოს თავადებმა ცხენები შეკაზმეს, გავიდნენ თბილისიდან და ქალაქიდან შვიდი კილომეტრის მოშორებით გაჩერდნენ. სადაც მომავალი მგზავრობისთვის საგზლის მზადებას შეუდგნენ.

შებინდებისას მეფემ გაუცვალა ტანსაცმელი თავის ერთგულ მსახურს. ხელში კოკა აიღო და დარჩენილ ამალასთან ერთად გამოვიდა. ერგულმა მსახურმა კი ჩარაზა კარი და თავისი ხელმწიფის საწოლში ჩაწვა. თავადმა ქაიხოსრომ მორიგე დაცვას უთხრა, არავის შეეწუხებინა მეფე მათი აბანოდან დაბრუნებამდე.

სასახლიდან აბანოს შესასვლელისაკენ გაემართნენ, გზად კი ლავაშის საყიდლად ერთ იმერელ ხაბაზთან შეიარეს. იმერელი დაჟინებით მიაშტერდა გადაცმულ მეფეს და იკითხა: "ვინ არის ეს კეთილშობილი კაცი? მსახურის ჩაცმულობის მიუხედავად სახეზე ეტყობა, წარჩინებული წარმომავლობისა უნდა იყოს". თავადმა სვიმონ წერეთელმა თავის კუთ-

ვნილ ვაჭარს განრისხებულმა მიუგო: "დიდი ხანია, რაც ასეთი რიტორი შეიქენ და სხვის საქმეში განურჩევლად ერევი? თავხედობისათვის თავად კიკნაძეს მიგყიდი!" ეს თავადი ყმების მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდა. მუქარით შეშინებულმა ვაჭარმა შეუმჩნევლად დატოვა დუქანი და გაიქცა. თავადებმა რამდენიმე თბილი ლავაში აიღეს, მისცეს მეფეს სატარებლად და გზა განაგრძეს. ბაზარს გვერდი აუარეს. აბანოებს მიუახლოვდნენ. ერთ სირაჯთან შეუხვიეს. იყიდეს დოქით ღვინო და ესეც მეფეს მისცეს წამოსაღებად. აბანოებსა და ბაღებს ჩაუარეს და სპარსეთის კარისკენ აღმართს აუყვნენ. რომელიც სეიდაბადის უბანში იყო. გზად ორი სომეხი შემოხვდათ. ერთმა რომელიც აღმართზე ამოსულთ ათვალიერებდა. მეფეს მიაქცია ყურადღება და მისი სილამაზით, მოხდენილობითა და სიმაღლით გაკვირვებულმა თანამგზავრს ქართულად გადაულაპარაკა: "ერთი ამ კაცს შეხედე. რა მშვენიერია". ამ აღტაცებამ იქვე მდგომი კიდევ რამდენიმე სომხის ყურადღება მიიპყრო. ერთ-ერთმა თქვა: "მგონი იმერლები უნდა იყვნენ". მეორემ კი დაუმატა: "ეს ლამაზი კაცი კი, ალბათ, მათი მეფეა". ამ სიტყვებმა მეფე სოლომონზე ისე იმოქმედა, რომ უეცრად წაიქცა და მთელი ღვინო დაღვარა. თავადებმა, ქაიხოსრომ და სვიმონმა, სასწრაფოდ წამოაყენეს. პირველმა კი დატუქსვა დაუწყო: "მისმინე, ყმაწვილო, დღეს ასე უკვე რამდენჯერმე იხუმრე. რა ქარაგმებით ლაპარაკობ. მთვრალი ხარ თუ ეშმაკი გაცდუნებს? ასეთი ხუმრობისათვის ისეთ ჭკუას გასწავლი, რომ დიდხანს დაგამახსოვრდება!" ამ სიტყვებმა გონებამიხდილი მეფე მდგომარეობიდან გამოიყვანა და რაზმმა გზა განაგრძო. ქალაქიდან გასვლისას თავადმა ქაიხოსრომ მეფე მფრთხალობისა და სულმოკლეობისათვის გაკიცხა. მეფე იმდენად დაასუსტა განცდებმა, რომ გზა ვეღარ განაგრძო. იგი ხელში აიყვანეს, მხრებზე შეისვეს და ასე გასწიეს. ჩქარა უფალმა მას მდგომარეობა შეუმსუბუქა. გზად თბილისში მიმავალ თავად ბარათაშვილს (ტექსტში ბარატოშვილი წერია) შეხვდნენ. უამბეს მეფის ბედუკუღმართობის ამბავი და სთხოვეს მისთვის ცხენი დაეთმო. კეთილშობილმა თავადმა სასწრაფოდ დაუთმო ცხენიც, მთელი თავისი საგზალიც, რომელიც მეორე ცხენით მის მსახურს მიჰქონდა და გზა დაულოცა.

მალე დათქმულ ადგილას მივიდნენ. შეუერთდნენ ამალის დანარჩენ წევრებს და თრიალეთის ქედით ახალციხის გზას დაადგნენ. მესამე დღეს ქალაქს მიუახლოვდნენ. წინ კი ფაშასთვის მეფის მოახლოებისა და კონსტანტინეპოლში მისი სულთან მუჰამედთან გამგზავრების განზრახვის შესატყობინებლად მალემსრბოლი აფრინეს.

მეფის თურქეთში ცხოვრება და აღსასრული

შეტყობინების მიღებისთანავე ახალციხის ფაშამ საპატიო ცხენოსანი რაზმი გაგზავნა მეფის დასახვედრად. თვითონ კი ამალით ქალაქგარეთ გაემგზავრა და თურქული ტრადიციისამებრ ძვირფასი სტუმრის მისაღებად საცხენოსნო აღლუმი გამართა. ფაშამ მეფე დიდი სიხარულით მიიღო, ქალაქში კი ნამდვილი ზეიმი მოეწყო. განსაკუთრებით დევნილი ქრისტიანებისათვის. განსასვენებლად დიდებული სავანე უბოძა, ხაზინიდან მის შესანახად დიდძალი თანხა გამოყო. თვითონ კი ყოველ საღამოს ნახულობდა, ანუგეშებდა და აიმედებდა, რომ იმერეთის სამეფოს დაბრუნებას შეძლებდა. ამასთან ერთად კონსტანტინეპოლში სულთან მუჰამედს მოხელე გაუგზავნა და იმერეთის მეფის საფაშოში გადასვლა ამცნო, თან უბედური ხელმწიფისათვის დახმარების გაწევაში შუამავლობდა. ამ ქარაგმით სულთანს სიტყვა გადაუკრა, ჯარი გაეგზავნა იმერელი მეამბოხეების დასასჯელად. რომლებმაც მზაკვრობითა და ღალატით ამდენი უბედურება დაატეხეს თავს მეფეს.

ახალციხის ფაშას შეტყობინება რომ მიიღო, სულთანმა შემდეგი შინაარსის ფირმანი გაუგზავნა: "ოსმალეთის მთავრობა იღებს იმერეთის მეფეს, ჰპირდება მფარველობას, სრულ თავისუფლებასა და უსაფრთხოებას თავისი სამეფოს დაბრუნებამდე. არზრუმსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ქალაქებში უცხოური საქონლით ნავაჭრი შემოსავლიდან, აგრეთვე ხორბლის, ქერის, შინაური ფრინველის, ცხვარ-ძროხის ნაათევის შემოსავლიდან გამოიყოს სახსრები მეფისა და მისი ამალის შესანახად". სულთანთან შეხვედრაზე მეფეს უარი უთხრეს. მეამბოხეთა დასაშოშმინებლად ჯარის გაგზავნაზე ფაშას სულთნისგან არავითარი მითითება არ მიუღია, მაგრამ იმაზე არაფერს წერდა, რომ იმერეთში მოხალისეები (ბაშიბუზუკები) არ გაეგზავნათ. მეფისთვის ტახტის დაბრუნების თაობაზე ბრძანა დაეცხდათ რუსეთისა და ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გამწვავებამდე. ხოლო მანამდე საცხოვრებლად არზრუმი დაუდგინა.

როდესაც მეფე სოლომონმა ასეთი გულითადი რესკრიპტი მიიღო, სევდა იმედით ეცვალა. გადაწყვიტა გაელაშქრა თავის ვერაგ ქვეშევრდომებზე იმერეთიდან რუსის ჯარის განსადევნად. ფაშას თანხმობით თურქული იარაღის პატივისა და დიდების მოსურნე მოხალისეთა შეკრება გამოცხადდა. შედეგად ქრისტიანთა სისხლის დაღვრასა და ძარცვას მოწყურე-

ბულ მოხალისეთა რაოდენობა მეფისთვის რეალურ დამხმარეთა რაოდენობაზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა.

გასაკვირია, როგორ შეეძლო ხელმწიფეს ასეთი უღვთო საქმის ჩადენა. ხალხის ასაკანყებლად მთელ იმერეთში მეფის ერთგული მსახურები გაიგზავნენ. ერში განხეთქილება მოხდა. ერთნი მეფეს მიემხრნენ. მეორენი რუსის ჯარს, და მეფეს მისწერეს, არ გვსურს შენი ხილვა იმერეთის ტახტზეო, თან სთხოვეს, განშორებოდა ქვეყნის საზღვრებს. მაგრამ მეფემ არ შეისმინა გონიერი რჩევა და ომი დაიწყო. თურქეთის ჯარში ჭირი გავრცელდა და იმერეთს ეპიდემია მოედო, რომელმაც უამრავი მშვიდობიანი მცხოვრები შეიწირა. ომი უიღბლო გამოდგა. იგი დამარცხდა რუსულ ჯართან და იძულებული გახდა ახალციხეს დაბრუნებულიყო.

მეფისათვის ამ მძიმე დროს პროტოპრესვიტერმა იესე ყანჩაველმა მიატოვა სამშობლო და არზრუმს გაემგზავრა.

არზრუმის ფაშამ ვაამე-ემინმა სიხარულით მიიღო მეფე და კარგი შენობა გამოუყო საცხოვრებლად შესაბამისი პირობებით, მაგრამ სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გენერალ ტორმასოვის საჩუქრებით გაზულუქებულმა ანგარებისმოყვარე თურქმა აუტანელ პირობებში მოაქცია მეფე. იგი ძველ ყაზარმებში გადაიყვანა. სადაც რამდენიმე წელი აცხოვრა, ხოლო თვითონ მეფეს კუთვნილი სახსრების ნახევარს უკავებდა. მალე მეფემ მოთმინება დაკარგა, შეკაზმა ცხენი, საომარი საჭურვლით შეიმოსა და სიტყვის უთქმელად ტრაპიზონს გაემგზავრა. ფაშამ გამგზავრების მიზეზის ასახსნელად იანიჩარი დაადევნა. მეფემ კი უპასუხა, ჩემთვის შეუფერებელი და აუტანელი პირობების გამო საფაშოში დარჩენა აღარ შემიძლია და ტრაპიზონს მივალ. რათა ყოველივე სულთანს ვაუწყოო. ფაშა შეედავა. სულთნის უნებართვოდ არზრუმის დატოვების უფლება არა გაქვსო. და დასამშვიდებლად უკეთეს მოპყრობას დაპირდა. მეფე იძულებული გახდა დამორჩილებოდა და უკეთესი შემთხვევის მოლოდინში უკან დაბრუნდა.

ამ დღემაც არ დააყოვნა. 1812 წლის მაისში რამაზანის დროს, როცა თურქები ღამის გართობის შემდეგ ძილს მიეცნენ. მეფემ თავისი ხალხი მოაგროვა, ცხენი შეკაზმა და არზრუმიდან საჩქაროდ გაემგზავრა. როცა ბაიბურთის სანჯაყის საზღვარს მიაღწიეს, შეიტყეს, რომ იანიჩართა რაზმი დასდევნებოდა. მეფემ გადაწყვიტა აღარ გაქცეულიყო და შებმოდა.

ამ დროს კონსტანტინეპოლიდან წარჩინებულმა მოხელემ გამოიარა, მეფეს მიესალმა და გზა განაგრძო. როცა იანიჩრებს გაუსწორდა, სწრაფი ჰენების მიზეზი ჰკითხა. მათ აუხსნეს. ვაამე-ემინ ფაშამ იმერეთის მეფის

დასატყვევებლად გამოგვგზავნაო. მოხელემ ჩვეულებრივი თურქული ირონიით აღნიშნა: "აქლსზლარნნ აქლ საბილაჰ ეიმიშლაჰ", რაც ნიშნავს: "უჰკუოებმა მოხარშეს, ჭკვიანებმა კი მიირთვესო". შემდეგ რაზმის უფროსს მიმართა: "ჰო, ძმაო! გეტყობა ფაშას ერთგული მსახური ხარ და არა სულთნისა. მერედა, რას გამორჩები შენს ფაშას? ალბათ დაიჭერ მეფეს. მაგრამ მისი შეურაცხყოფისათვის დაისჯები. თუ შეებმები, ისინი ისე არიან შეიარაღებული, რომ შეუძლიათ მთელ ჯარს გაუსწორდნენ. შენი შრომა ამაო აღმაჩნდება, გარდა იმისა, რომ თავებს საზამთროებივით დაგაყრევინებენ! ფაშა სულთნის რისხვისაგან ვერ დაგიცავს. მას თვითონ მოუხდება საკუთარ თავზე ფიქრი. გიჯობს უკან დაბრუნდე!"

ამასობაში მეფემ მეორე დღეს ქალაქ ბაიბურთს მიაღწია. მუსელიმმა (ქალაქის თავმა) გულითადად მიიღო, ორ დღეს უმასპინძლა, მესამე დღეს კი გიმიშხანაში გაემგზავრნენ, სადაც ბერძენ მართმადიდებელ სამღვდელოებას შეხვდნენ და ორ დღეს დარჩნენ.

იქიდან ორი დღის მგზავრობის შემდეგ ტრაპიზონს მიაღწიეს. ამ ქალაქის ფაშა, ოსმან-ხაზი-ნაზარ-ოღლი, ქართველი თავადის შთამომავალი იყო, სიხარულით ცას ეწია და არაფერი დაზოგა. ოღონდ იმერეთის მეფეს პატივი არ მოჰკლებოდა. ამიტომ მოიწვია უცხო ქვეყნის კონსულები, მართლმადიდებელი სამღვდელოება და ქალაქგარეთ გავიდა დასახვედრად. მიღება იმდენად გულითადი იყო, რომ მეფე დამშვიდდა. შემდეგ ფაშამ კონსტანტინეპოლში შეატყობინა იმერეთის მეფის ამალითურთ ჩამოსვლა და მითითებებს დაელოდა. თავის მხრივ მეფე სოლომონმა სულთანს თავად იოანე ლიონიძის ხელით უსტარი აახლა, რომლშიც მთელს თავის უბედობასა და შევიწროებას აღწერდა. თავად ლიონიძის თქმით, ამის წამკითხველ სულთანს მღელვარებით თვალთ ცრემლი მოადგა. შემდეგ დიდხანს იფიქრა და ბოლოს ლომივით დაიღრიალა: "ამან, ჯალათ!" ჯალათის გამოჩენის შემდეგ დაწერა პატარა წერილი და ბეჭედი დაჭკრა. ჯალათს უბრძანა ჩასულიყო არზრუმში. ვაამე-ემინ ფაშისთვის თავი მოეკვეთა. ქონება ჩამოერთვა და ცოლ-შვილი მონობაში გადაეცა. ოცი დღის შემდეგ კი ტრაპიზონის გავლით, ისე, რომ მეფისთვის მოკვეთილი თავი ეჩვენებინა, კონსტანტინეპოლს დაბრუნებულიყო.

არზრუმში ჩასული ჯალათი ფაშას სახლის წინ გაჩნდა და შიგ არც კი შესულა, ისე გამოიძახა ქუჩაში. ფაშას ყვირილზე თითქმის მთელი ქალაქი შეგროვდა. ჯალათმა ყველას გასაგონად სულთნის ბრძანება წაიკითხა. საცოდავ ფაშას ხელი სტაცეს, დააჩოქეს და თავი მოჰკვეთეს. ტრაპიზონში ჯალათმა თავი მეფეს მიართვა. ამის დანახვაზე მან კინაღამ გრძნობა დაკარგა და ბრძანა, ეს ნადავლი სასწრაფოდ მოეშორებინათ.

ამასობაში კონსტანტინეპოლში სულთანთან შეყოვნებულმა თავადმა ლიონიძემ მეფის სახელზე სახელმწიფო ხაზინიდან ძვირფასი საჩუქრები მიიღო. როცა მეფისადმი სულთნის ასეთი კეთილმოსურნეობა შენიშნეს, თურქმა დიდებულებმა, განსკუთრებით კი თურქებთან მომსახურე ქართველმა ფაშებმა, იგივე გაიმეორეს. ასე რომ, თავადი ლიონიძე მეფესთან საჩუქრებით დატვირთული გემით დაბრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ სულთანმა მუჰამედმა მეფეს მისწერა, ნაპოლეონთან მეომარი რუსეთი წინ ვერ აღუდგებაო შენს გამეფებას. და არზრუმის ჯარებთან გაერთიანება შესთავაზა. ამ შეტყობინებას მეფისთვის სიხარული არ მოუტანია და ნაღვლიანმა წამოიძახა: "რად ჩავისახე დედის საშოში, თუ ქრისტიანულ მხარეს ამდენ უბედურებას მოვუტანდი!". მან მადლობა გადაუხადა სულთანს და სთხოვა თავისი ავადმყოფობისა და ფოთის ცუდი ბუნებრივი პირობების გამო სამი თვით გადაედო ეს საქმე. შემდეგ თავისიანები შეჰყარა და ტრაპიზონიდან ზღვით ყირიმში, იქიდან კი სანქტ-პეტერბურგში იმპერატორთან შესარიგებლად ჩუმად გადასვლა შესთავაზა.

მაგრამ გავიდა დათქმული დრო და იძულებული გახდნენ ფოთში წასულიყვნენ. როცა თურქეთის ჯართან ერთად მეფეც ჩავიდა, ქუთაისიდან, სამეგრელოდან და ქართლ-კახეთიდან თავადებმა მისწერეს, შეიარაღებული თურქების ხელით იმერეთის ტახტზე დაბრუნებას ნუღარ ეცდებიო.

აქ თავდება რუსიკის მონასტრის წინამძღვრის, მამა იერონიმეს თხოვნით გაბრიელ ქართველის მონათხრობით შედგენილი ჩანაწერი. მამა გაბრიელმა დაწვრილებით იცოდა ილარიონ ბერის ცხოვრება. მაგრამ აღარ დასცალდა. მძიმედ დასნეულებული 1865 წლის 27 ოქტომბერს გარდაიცვალა.

მეფე სოლომონ II კი თურქეთს დაბრუნდა და 1814 წელს ტრაპიზონში აღესრულა.

რუსეთში გადასვლა და მოსკოვში ცხოვრება

სოლომონ მეფის ამალაში ექვსასი იმერელი იყო. ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ პროტოპრესვიტერმა იესემ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, რუსეთში გადასულიყო. რაც მეფის კარის ყველა წარმომადგენელს აცნობა და ურჩია, მისი მაგალითისათვის მიებაძათ. ბევრი ამ წინადადებას სიხარულით დათანხმდა. მაგრამ იმპერატორის რისხვის ში-

შით განხორციელება ვერ ხერხდებოდა. მამა იესე ყველას ამშკიდებდა და შუამდგომლობას კისრულობდა. მან თავადებისა და დანარჩენი ამალის სახელით დაწერა თხოვნა და იმპერატორს გაუგზავნა. იმპერატორმა მოწყალებით მიიღო თხოვნა და არა მარტო აპატია, ყველას დაუბრუნა ადრინდელი წოდება და მამული. ამალაში სამოცდათექვსმეტი თავადი იყო.

1814 წლის მაისში, სოლომონის გარდაცვალებიდან სამი თვის შემდეგ, მამა იესე დანარჩენებთან ერთად იმერეთში დაბრუნდა და მშობლების სახლში დასახლდა. მეფის მოძღვრობისა და ტყვეობისაგან გათავისუფლებული მდუმარე ცხოვრებისათვის მოსახერხებელი ადგილის ძებნას შეუდგა საკუთარი სოფლის ან ტაბაკინის მონასტრის მახლობლად, სადაც თავისი ახალგაზრდობის პირველი წლები გაატარა. უდაბნოში ფიქრობდა დასახლებას, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებიდან შვიდ თვესაც არ გაევლო, რომ იმერეთის დედოფალმა მარიამმა მოსკოვში თავისთან იხმო, სადაც მეფე სოლომონის თურქეთში გაქცევის შემდეგ ჩაიყვანეს. მამა იესეს, როგორც მეფის მოძღვარს, შეეძლო ქმრის უკანასკნელი დღეების შესახებ ეამბნა მისთვის. თავისი ვალის ერთგულმა არ დააყოვნა დედოფალთან გამოცხადება და ყოველივე მომხდარი წვრილად უამბო.

რაკი მოძღვრად უცხო ქვეყნის წარმომადგენელი არ სურდა და ამასთან ერთად ქმრისადმი მამა იესეს ერთგულებას აფასებდა, დედოფალმა იგი თავისთან დატოვა. მამა იესემ უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიტანა თან, რომელიც მეფე სოლომონის საკუთრება იყო, და დედოფალმა მარიამმა სასახლის ეკლესიაში მოათავსა.

არავინ იცის რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ ამალა რუსეთს დაუქვემდებარა და ამით მამა იესემ იმპერატორის გული მოიგო, ან იქნებ მარიამ დედოფლის წარდგინებით და შუამდგომლობით. მაგრამ ასე იყო თუ ისე, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მამა იესეს დედაქალაქის მღვდელმთავრად დაწინაურება ისურვა. მაღალმა წოდებამ ვერ მოხიბლა განდეგილობის წყურვილით შეპყრობილი მოძღვარი, რომელიც განმარტოებას ესწრაფვოდა.

სასახლეში დასახლებულმა სწრაფად დაინახა მეფის კარის რელიგიური და ზნეობრივი ცხოვრების დიდი სულიერი დაკნინება. ყოველივე ამასთან იმერეთის მეფისა და ხალხის სიწმინდის შედარებაც კი არ შეიძლებოდა. მან შეატყო, რომ დედოფალი და მისი ამალა ივიწყებდნენ ქრისტიანულ მოვალეობას და აქაური მაღალი წრისათვის დამახასიათებლად ერთობოდნენ, ოთხშაბათობითა და პარასკეობით მარხვის გატეხვა, გაუთავებელი ღრეობები. შემდეგ კი გარყვნილება, რომლის მაგალითს სატრფოს გაჩენით

თვით დედოფალი იძლეოდა, მამა იესეს, როგორც სულიერ მოძღვარს და ბავშვობიდან უფლის მცნებებით მცხოვრებ მკაცრ ქრისტიანს, უკიდურესად ამძიმებდა.

საკუთარი თავისადმი სიმკაცრის მიუხედავად, მამა იესემ შენიშნა, რომ მისი მკაცრი ასკეტიზმით აღსავსე ცხოვრებაშიც მოხდა საგრძნობი ცვლილებები. ნებსით თუ უნებლიეთ დედაქალაქის ცხოვრებას ემორჩილებოდა. მისი სუფრა სიუხვით გამოირჩეოდა, ღვინოს ბევრს სვამდა და ბუმბულის ქვეშაგებზე ეძინა. მაგრამ ყველაფერ ამას უფრო ახალი და სერიოზული დაცემის საფრთხე ემატებოდა საფრთხე ღრმა და მძიმე დაცემისა. მამა იესე გარეგნობით გამოირჩეოდა. მაღალი, მხარბეჭიანი, ტანადი, ლამაზი კაცი იყო. მისი სულის სიმაღლით გასხივოსნებული სახე უნებლიედ მრავალთა მზერას იპყრობდა. წმინდა ადამიანთა გულში იგი პატივისცემას იმსახურებდა. უწმინდურ, ვნებიან ადამიანებში კი სიბილწის სურვილს აღძრავდა. მეფის კარის ქალთა და ქალიშვილთა მხრიდან ოდინდელი სასტიკი მტრის თავდასხმის გამოცდა მოუხდა. მათმა მოურიდებელმა შემოტევებმა იმდენად შეავიწროვა მამა იესეს მოკრძალებული სული, რომ მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გასცლოდა სასახლეს, რადგან ამ ქალების მოშორების სხვა გზას ვერ ხედავდა. ამასთან ერთად ესმოდა, რომ სასახლის წესების გარდაქმნა მარტოს ვერ ხელეწიფებოდა.

ყველგან შევიწროებულმა მამა იესემ მრავალჯერ სთხოვა დედოფალს მისთვის სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთო, მაგრამ მას გაგონებაც არ სურდა და ხან ხუმრობით, და ხან კი გადაჭრით უარს ეუბნებოდა. თავის მხრივ მამა იესემაც არაერთხელ განუცხადა, თუ ნებას არ დამრთავთ, გავიპარებიო. ამაზე დედოფალმა ხუმრობით შენიშნა, რომ ეს იმერეთი არ იყო და გაქცევას ვერ მოახერხებდა. მას პირველივე ქალაქში შეიპყრობდა პოლიცია და ეტაპით უკან დააბრუნებდა. ამ მუქარის მიუხედავად, მამა იესემ მტკიცედ განაცხადა, სასახლიდან მაინც წავალო. ასე გაიარა სამწელნახევარმა, რომელიც გაცილებით დიდი გამოცდა იყო მისი წმინდა სულისთვის, ვიდრე მეფე სოლომონთან ერთად უცხო მხარეში შვიდწლიანი ხეტიალი.

ამ უბედური მდგომარეობიდან ნუგეშს მხლოდ უფლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი ლოცვაში ნახულობდა. ამოთქვამდა რა თავის გასაჭირს, უდაბნოში განდგომის სურვილის აღსრულებას ევედრებოდა. შესთხოვდა დახმარებას დიდმოწამე გიორგისაც, რომლის გარსაკუთრებული რწმენა სულ პატარამ მშობლის სახლში შეიძინა და რომლისგანაც ცხოვრებაში ბევრჯერ მიიღო დახმარება.

მალე მამა იესემ ნიკოლაევის მონასტერში მცხოვრები ათონის ივერთა მონასტრის არქიმანდრიტი გაიცნო. საბოლოოდ მან გაუმხილა მთაწმინდელებს, ვინ იყო სინამდვილეში მამა იესე, რადგან ათონზე იმალებოდა, როგორც უბრალო გლახაკი გლეხი.

დრო გადიოდა, მამა იესეს მწუხარება კი დღითი დღე მატულობდა. ერთხელ დედოფალ მარიამის კამერდინერს, რომელიც მისი დიდი ერთგულებით გამოირჩეოდა, საუბრისას თავისი სანუკვარი სურვილი გაუმხილა. მან მოიწონა გადაწყვეტილება და დახმარებას დაჰპირდა. გეგმა შეადგინა და მამა იესეს გააცნო. წინასწარი ლოცვის შემდეგ, მიტროპოლიტ სერაფიმესთან გაემართნენ. კამერდინერმა მიტროპოლიტს სთხოვა მამა იესეს იმერეთში დროებით გამგზავრების გამო მის სახელზე პასპორტი გაეცა. მიტროპოლიტს ეჭვი არაფერში შეპარვია და ბრძანა გაეცათ პასპორტი, რომელიც მალე მიიღეს კიდეც.

სურვილის აღსრულების იმედით ფრთაშესხმული მამა იესე დედოფალთან გამოცხადდა, და ძველებურად წასვლაზე საუბარს შეუდგა. დედოფალს სიცილადაც არ ეყო, მაგრამ როცა პასპორტის მიღების შესახებ ამცნო, განაცხადა, ჩემი ბრძანების გარეშე ვერავინ გასცემს და ამას არასოდეს დავიჯერებო. სიტყვებით "მშვიდობით, მე მივემგზავრები!" მამა იესემ დატოვა დედოფალი და იმ საღამოსვე გაემგზავრა. იგი საქართველოში არ წასულა, რადგან იცოდა, დედოფალი ადვილად მონახავდა და კვლავ თავისთან გამოიძახებდა. ამიტომ პირდაპირ ოდესისკენ გასწია, და ისე, რომ არსად არ გაჩერებულა, კონსტანტინეპოლში ჩავიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა პალესტინა და სინა მოენახულებინა, თან სადმე იმ ადგილებში დასახლებულიყო, სადაც ძველად ქართველები მოღვაწეობდნენ, ათონის შესახებ კი თითქმის არაფერი იცოდა.

კონსტანტინეპოლში სულთმოფენობისას ჩავიდა და იერუსალიმში გამგზავრების შესახებ მოსალაპარაკებლად იერუსალიმის პატრიარქთან გაემართა. პატრიარქმა განუმარტა, თუ აღდგომის შეხვედრას იერუსალიმში აპირებდა, მთელი წელი მოუწევდა ცხოვრება. ამიტომ, რომ არ მოეწყინა, ურჩია, ათონზე გამგზავრებულიყო. ზამთრამდე დაეცადა, იქიდან კი დიდი მარხვისთვის იერუსალიმში ჩასულიყო. მამა იესემ კეთილი რჩევისათვის პატრიარქს მადლობა გადაუხადა და ერთმანეთს დაშორდნენ.

თავისთავად ცხადია, მამა იესეს ათონის მთაზე ბერების გარემოცვაში დარჩენა და დასახლება უნდა გასჩენოდა აზრად. მან თავისი აბრეშუმის ტანსაცმელი გლახაკის ძონძებით შეიცვალა, რითაც თავისი ძველი მიწი-

ერი დიდების დაფარვა, სრული თავგანწირვით ღვთის მსახურება და უცნობად დარჩენა ისურვა.

მამა იესემ ათონისაკენ მიმავალი გემი იპოვა. დატოვა კონსტანტინეპოლი და 1819 წელს წმიდა მთაზე ჩავიდა.

დიონისეს მონასტერში შესვლა

ათონზე ჩასული მამა იესე ივერიის მონასტერში დასახლდა. მან იქ ვერც ერთი ქართველი ვერ ნახა და ბერძნულის უცოდინარობის გამო ძმებთან თურქულად საუბრობდა. რადგან თურქულის მცოდნეც ბევრი არ აღმოჩნდა, მამა იესე მეტ დროს მდუმარებაში ატარებდა. მონასტრის ძმობას აუხსნა, ღარიბი ქართველი ვარო, რაზეც მისი დაკონკილი და ჭუჭყიანი ტანსაცმელიც მეტყველებდა. ათონზე კი დასათვალიერებლად და სიწმიდეთა თაყვანსაცემად ჩამოვედიო. იგი წესისამებრ არქონდარიკში (სტუმრების მისაღები) მოათავსეს, სადაც საეკლესიო სამსახურზე დასწრებასა და მონასტრული ცხოვრების გაცნობაში ერთი კვირა დაჰყო.

მის მიმართ განსაკუთრებულ უურადღებას არავინ იჩენდა. მამა იესე სავანეში ჩუმად დადიოდა და იდიორითმული მონასტრის ცხოვრებას გულდასმით აკვირდებოდა. მაგრამ იდიორითმი არ მოეწონა და თავისთვის თქვა: "ეს მონასტერი ჩვენი კი არის. მაგრამ ჩემი ადგილი არ არის აქ". ერთ დილას მონასტრის კარიდან ჩაფიქრებული გამოვიდა და შენიშნა, რომ რამდენიმე თოფრაგადაკიდებული ძმა სადღაც მიემართებოდა. კითხვაზე, საით მიდიხართო, უპასუხეს, დიონისეს მონასტერში წმიდა იოანე ნათლისმცემლის დაბადების აღსანიშნავ საეკლესიო დღესასწაულზეო. მამა იესემ წასვლა მოინდომა. მათ კი მიუგეს, თუ გსურს წამოდიო და ერთად გაემართნენ მონასტრისაკენ.

იქაური წესით, დღესასწაულის უველა დამსწრე მიდიოდა არქონდარიკში და შეთავაზებულ ადგილს იკავებდა. იქ მათ ერთი სირჩა რახით, ფინჯანი ყავითა და ცივი წყლით უმასპინძლდებოდნენ. შემდეგ სატრაპეზოში მიემართებოდნენ დასანაყრებლად. ამის მერე კი ღამისთევის ლოცვაზე. მაგრამ მამა იესეს ასეთი რამ შეემთხვა: მონასტერში შესვლისას თავისი თანამგზავრები დაკარგა და კართან შეჩერდა. ძმებმა კი, დაავიწყდათ რა, რომ მამა იესე ადგილობრივ წესებს არ იცნობდა, ძებნა აღარ დაუწყეს. მას კი დილიდან არაფერი ეჭამა და ძლიერ მოშივდა. დაპატიჟებისთვის არ დაუცდია. და როცა მწუხრის ლოცვის დაწყების მაუწყებელი ზარების რეკვა მოესმა, სხვებთან ერთად ეკლესიისაკენ გაემართა. თან

გადაწყვიტა. დიდი წინასწარმეტყველის, იოანე ნათლისმცემლის ხსოვნის პატივსაცემად ეს დღე მარხვის დღედ არის გამოცხადებული და ძმები არაფერს მიირთმევენო.

ლოცვის ხანგრძლივობამ გააკვირვა, რადგან მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა და მზის ამოსვლიდან ორი საათის შემდეგ დამთავრდა. მამა იესე დაფიქრდა, აკმევდნენ თუ მარხვას გააგრძელებდნენ, მაგრამ წირვა დაიწყო, ამის შემდეგ ყველა სატრაპეზოში წავიდა და მათთან ერთად მამა იესეც. დღესასწაულმა სულიერად ძლიერ დაამშვიდა. მსახურების თანმიმდევრობა, ბერების ცხოვრების წესი, სიმკაცრე და ღვთისმოსაობა ყველაფერში ისე მოეწონა, რომ სავანის დატოვება აღარ ისურვა.

მესამე დღეს არქონდარიუსმა დარჩენის მიზეზი ჰკითხა, მამა იესემ მიუგო, მონასტერში ცხოვრება და მისი ტიპიკონის გაცნობა მსურს, რადგან აქ დიდ სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობო. არქონდარიუსმა მონასტრის კანონის მიხედვით იღუმენისგან ლოცვა-კურთხევის აღება ურჩია. იღუმენმა თურქული კარგად იცოდა და მამა იესემ აუხსნა, ძლიერ მომეწონა მონასტრის მკაცრი კანონები. მსურს ვიცხოვრო და ვნახო, რა საქმეზე შემიძლია ლოცვა-კურთხევის აღება, ხოლო თუ თქვენ ისურვებთ, სამუდამოდ დავრჩებიო. იღუმენმა სტეფანემ შენიშნა მისი ფიზიკური საჯანსაღე. მიღებაზე დათანხმდა, უთხრა, მუშახელი მჭირდებაო და სამზარეულოში გაამწესა.

დიონისეს მონასტერში მამა იესემ თავისი ძველი ქართველი მეგობარი მამა ბენედიქტე იპოვა, რომელიც იმ დროს მონასტრის ახლოს უდაბნოში ცხოვრობდა. 1821 წელს დიდი მარხვისას ისინი ერთად აღიკვეცნენ დიდი სქემის ბერებად. აღკვეცისას მამა იესემ სახელად ილარიონი მიიღო და რაკი იგი პირველი აღკვეცეს, ბერობაში მამა ბენედიქტეს უფროსი ძმა გახდა. მაგრამ მამა ილარიონი ყოველთვის მამა ბენედიქტეს თვლიდა უფროსად, განსაკუთრებით მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რაც შემდეგში ცხოვრების აღწერისას გამოჩნდება. აღკვეცისას მათ ახალი ტანსაცმელი მოუმზადეს, მაგრამ მამა ილარიონმა იუარა და ითხოვა ისევ დაკონკილი ძონძებით შეემოსათ.

იგი სხვადასხვა სახის მორჩილებაში იყო, სამზარეულოსა და სატრაპეზოს გარდა ყველა მძიმე სამუშაოს ასრულებდა. მონოქსილიტზე, ათონის საზღვართან ახლოს, მონასტრის ვენახებშიც მუშაობდა. უპირატესად ყველაზე მძიმე და ძნელ საქმეს ამჯობინებდა. ვენახში დიდ ჭიგოს ისე ღრმად არჭობდა და ამაგრებდა მიწაში, რომ ვერავინ შეედრებოდა. მონასტერშიც ასევე დაუშრომლად ასრულებდა ყველა დავალებას, რადგან ღვთისაგან

ჯანის სიმრთელითა და ღვაწლის დიდი მოსურნეობით იყო დაჯილდოებული. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული არ ოცოდა, ძმობამ სამაგალითო გარჯისათვის, მორჩილებისა და მოსაგრეობრივი ცხოვრებისათვის ძლიერ შეიყვარა. დიონისეს მონასტერში უბრალო უპოვარი ქართველის სახელით ცხოვრებისას სენაკს არასოდეს კეტავდა.

ერთხელ მამა ილარიონის არყოფნისას, ერთი ძმა შევიდა მის სენაკში. თუნუქის ქილა დაინახა და დაინტერესდა, რა იდო შიგ. ძლიერ გაკვირვებული დარჩა, როცა ქილაში რუსული პასპორტი და თურქული ფირმანი იპოვა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მისი მფლობელი მღვდელია. მან დაუყოვნებლივ უამბო იღუმენს ეს ამბავი. იღუმენმა თავისთან იხმო მამა ილარიონი და ჰკითხა, რა ინახებოდა თუნუქის ქილაში. მამა ილარიონმა უპასუხა ქილაში ჩემი პასპორტებიაო. მაშინ იღუმენმა უბრძანა, მიეტანა და ეჩვენებინა. დარწმუნებულმა მამა ილარიონმა, რომ არავის შეეძლო რუსულად და თურქულად კითხვა, პასპორტები იღუმენს მიუტანა. საუბედუროდ, ერთმა ბერმა შეძლო ფირმანის თურქულად წაკითხვა, ყველამ გაიგო, რომ იგი მღვდელი იყო. მამა ილარიონმა სთხოვა, ძმობას ეს ამბავი არავისთვის ეთქვათ, ბერძნებთან ხშირად ხდება, რომ საერო მღვდელი მსახურებაზე არ დაიშვება და სხვა უბრალო ბერებთან ერთად ეზიარება.

დაახლოებით ორი წელი გაატარა მამა ილარიონმა მძიმე მორჩილებაში და ყველაფერს სიყვარულითა და თავგანწირვით ასრულებლა. მას მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ბერძნულის უცოდინრობის გამო ღვთის სიტყვის სმენას მოკლებული იყო. ამიტომ გადაწყვიტა იღუმენისგან ქართული წიგნების გამოსათხოვნად ივერში წასვლის კურთხევა მიეღო. ივერში შემჩნეული ჰქონდა ქართული წიგნების სიმრავლე. იღუმენმა დალოცა და მამა ილარიონი თავისი დაკონკილი ტანსაცმლით ივერისაკენ გაემართა.

ივერის მონასტერს რომ მოუახლოვდა, სალოცავად ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის წინ შეჩერდა, რომელიც მონასტრის ჭიშკრის ზემოთ იყო მოთავსებული. საღამო ხანი იყო და ძმები პორტიკში ისხდნენ. მათ შორის კი ის არქიმანდრიტი, რომელიც მამა ილარიონმა ჯერ კიდევ მოსკოვში გაიცნო. მხოლოდ მან დაინახა მამა ილარიონი. მაშინვე იცნო, ყველას გასაოცრად მოვარდა, მხრებსა და ხელებზე ეამბორა, თან გაიძახოდა: "ბრე! ბრე! პაპა იესეე, პაპა იესეე! არია პრევმატიკე! პრევმატიკე ვასილიკოს! (ეჰეჰე! მამა იესე! მამა იესე! წმინდა მოძღვარი! მეფის მოძღვარი! ბერძ.) უჩვეულო მისალმებით გაოცებულნი წამოდგნენ და მიეახლნენ. არქიმანდრიტმა კი, რომელსაც მამა ილარიონისათვის ხელი ჰქონდა ჩაკიდებული და თავის მამებს აცნობდა, თქვა: "ეს მამა იესეა, მეფის მოძღვარი, რომელიც, მქონდა ბედნიერება და მოსკოვში იმერეთის

დედოფლის სასახლეში გავიცანი!" გაკვირვებულმა ბერებმა მონასტერში შეიყვანეს, სადაც ყველა გაოცდა აღმოჩენით, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებმაც სავანეში ორი წლის წინ გაიცნეს, როგორც უპოვარი გლახა. არქიმანდრიტი ასეთი დიდებული კაცის გაშვებისათვის საყვედურობდა მათ, ძმები კი შეძლებისდაგვარად თავს იმართლებდნენ. არქიმანდრიტმა მამა ილარიონი თავის სავანეში შეიყვანა და სამი დღე გვერდიდან არ მოუშორებია, თან ეხვეწებოდა. მონასტერში დარჩენილიყო. საცხოვრებლად საუკეთესო სენაკები, მონასტრის კმაყოფაზე ყოფნა და მოსამსახურე შესთავაზა, მაგრამ როცა დარწმუნდა მამა ილარიონის გადაწყვეტილების სიმტკიცეში, მისცა ქართული წიგნები და დიდი სინანულით გაისტუმრა. დიონისეს მონასტერში თოფრაგადაკიდებული დაბრუნდა. თან ეგონა არავინ არაფერი იცისო, მაგრამ ხმები, მონასტერში უბრალო ბერის სახით მეფის მოძღვარი იმალებაო, ელვის სისწრაფით მოედო ათონს. შესვლისას მეკარემ მდაბლად დაუკრა თავი, მიესალმა, როგორც ბერს, და იღუმენს შეატყობინა. იღუმენი ხელგაშლილი შეეგება და უსაყვედურა, თავი რად არ გამაცანიო. ასეთი შეხვედრით შეწუხებულმა მამა ილარიონმა თქვა: "არ მარგო ივერონში წასვლამ, სჯობდა არ წავსულიყავი, რადგან წმიდა მთაზე ცოდვათა გამოსატირებლად მოვედი. უცხოდ დარჩენილი გაცილებით მშვიდად ვიყავი, ვიდრე ახლა!" წინამძღვარმა აღარ ისურვა ძველ მორჩილებაში ჰყოლოდა, და სთხოვა მღვდელი გამხდარიყო. მაგრამ მამა ილარიონმა მტკიცედ იუარა, დაყინებით ითხოვა, მორჩილად დარჩენის საშუალება მიეცათ და მსწრაფლ სამზარეულოში გაემართა. იქ დიდხანს ვერ გაჩერდა. რადგან საერთო პატივისცემა უკვე ყველგან თან სდევდა. ძმები ადრინდელი, მისთვის ძლიერ საყვარელი მძიმე საქმის კეთებას აღარ ანებებდნენ. ცდილობდნენ ყველაფერში, ტვირთის აწევაში, წყლისა და შეშის ტარებაში, გაფრთხილებოდნენ მას. ეს კი იმით დამთავრდა, რომ მამა ილარიონმა დატოვა სამზარეულო და მონასტრის ახლოს უდაბნოში მდებარე სენაკში გადასახლდა.

აღმსარებლობა

ამ დროს (1821 წ.) ბერძენთა აჯანყების გამო ყველგან სასამართლოები და დასჯა წარმოებდა. ქრისტიანთა სისხლი მდინარედ მიედინებოდა. თურქებს იარაღის ძალით სურდათ აჯნყების ჩახშობა. მეამბოხეების დაშოშმინება, და რადგან ათონიც ჩარეული იყო ამ აჯანყებაში, ომის მძიმე შედეგები იქაც გამომჟღავნდა. აბდულ-რობუტ-ფაშა მრავალრიცხოვანი

ლაშქრით კასანდრიდან ათონისაკენ დაიძრა და ბანაკი ათონის საზღვართან, კუმიცაზე დასცა.

ეს მოხდა 1822 წლის დამდეგს. ფაშამ მრისხანე ბრძანება გასცა. ყველა მონასტრის წინამძღვარი ხლებოდა და მისთვის თაყვანი ეცათ, თორემ ათონის მთას დავიპყრობ და მონასტრებს გავანადგურებო. იღუმენებმა იცოდნენ რა თურქების დაუნდობლობა და ფანატიზმი, ამავე დროს აჯანყებით გამოწვეული მძვინვარება, ვერ გაბედეს ფაშასთან წასვლა, რადგან გრძნობდნენ, ცოცხლები ვერ დაბრუნდებოდნენ. ყველა მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილებას ცდილობდა და სურდათ თავის მაგივრად ვინმე მოხალისე - რწმუნებული გაეგზავნათ, რომელიც ურჯულოებს არ შეუშინდებოდა.

ამ დროს დიონისეს მონასტრის იღუმენმა სტეფანემ, ეშინოდა რა ფაშასთან მისვლისა, მამა ილარიონს სთხოვა მის მაგივრად გარჯილიყო. მამა ილარიონი ხალისით დათანხმდა და თქვა, თურქების არ მეშინიაო. მაგრამ იღუმენმა გააფრთხილა, ეს იოლი საქმე არ არისო, რადგან როცა ისინი ფაშასთან წავიდოდნენ, ბერებს წინასწარ მომზადებული ნავებით მთელი ძვირფასეულობა და სიწმიდეები თან უნდა წაეღოთ. ელჩების გამგზავრებისთანავე მონასტერს ყველა დატოვებდა. ეს თურქებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და ტყუილისთვის შურის საძიებლად ელჩებს დახოცავდნენ. ამიტომ მას აშკარა სიკვდილი ელოდა. მამა ილარიონი ყველაფრისათვის მზად იყო, რადგან ქრისტესათვის მარტვილობა და მოწამეობა მისი დიდი ხნის სურვილი იყო. იღუმენმა უთხრა: "აი ეხლა ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევაა. გამოიყენე საერთო სიკეთისათვის". მამა ილარიონთან ერთად კიდევ ორნი, მამა პანტელეიმონი და ერთი ბერი გაემგზავრნენ.

კუმიცას რომ მიაღწიეს, ფაშასთან გამოცხადდნენ და წმიდა კინოტის (ყველა მონასტრის წარმომადგენლის წმიდა შეკრება, ათონის მმართველობითი ორგანო) წერილი გადასცეს, რომელშიც მონასტრის რწმუნებულები იყვნენ ჩამოთვლილნი. ფაშამ კითხვა დაიწყო. როცა მამა ილარიონ ქართველის სახელამდე მივიდა, გაჩერდა. მამებს შეხედა და ჰკითხა, რომელი იყო მათ შორის ქართველი. მაშინ ფაშამ ქართულად ჰკითხა: "სადაური ხარ?".

- იმერელი. - მიუგო მამა ილარიონმა.

- მე კი აფხაზეთიდან.

- რომელი ქალაქიდან? - ჰკითხა ბერმა.

- მან ქალაქი დაასახელა.

ეს ქალაქი ჩემი კუთხის მეზობლად არის. რა გვარისა ხარ? ფაშამ თავისი ქართული გვარი წარმოთქვა.

- მაშ ასე. მე შენი სახლიც კარგად ვიცი.

ფაშა მართლმადიდებელი მღვდლის შვილი აღმოჩნდა. ბავშვობაში მოუტაციათ, თურქებისათვის მიუყიდიათ და მუსულმანურ სარწმუნოებაზე მოუქცევიათ.

ამგვარად, ჩვენ თანამემამულენი ვართ, თქვა ფაშამ. დიდი ხანია, რაც აქ ცხოვრობ, რამ მოგიყვანა?

- მე მოვედი, რათა ღმერთს ვევედრო და უკვე სამი წელია ვცხოვრობ აქ.

ამ ახსნა-განმარტების შემდეგ ფაშა მამა ილარიონს თურქულად დაელაპარაკა: "რატომ მოხვედი ამ ავაზაკებთან ერთად? რისთვის შეუერთდი ამ არამზადებს?". ფაშა უშვერად იხსენიებდა ათონსა და ათონელებს. თან მამა ილარიონს არწმუნებდა, დაეტოვებინა წმიდა მთა, მოჰყავდა ყოველნაირი მტკიცება, მათ შორის ისიც, რომ ათონელების ამოსაწყვეტად იყო მოსული. მაგრამ რადგან იცოდებდა მას, როგორც პატიოსან კაცსა და თანამემამულეს, არ სურდა სხვათა ხვედრი გაეზიარებინა, ცდილობდა რა ყოველნაირად დაეყოლიებინა, თავის სახლს სთავაზობდა სოლუნთან, სადაც მისი ცოლი ცხოვრობდა. ამბობდა, რომ მის შესახებ სულთანს მისწერდა და ყველა წყალობას პირდებოდა. სადაც უნდა გადასახლებულიყო, სამშობლოში თუ სოლუნში. უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამაზე მამა ილარიონმა მიუგო, რომ ათონზე თავისი სულის სახსნელად მოვიდა და ამის მეტი არაფერი სურდა. ფაშამ კვლავ სცადა დაემტკიცებინა მამა ილარიონისათვის, დაეტოვებინა ათონი: "ეს გარყვნილებისა და ავაზაკობის ბუდეა". იგი დაჰპირდა თავისი ხარჯით გაემგზავრებინა, სულთნის სახელით კი ყველანაირი მფარველობა აღუთქვა. მაგრამ მამა ილარიონმა უარყო ეს წინადადება, ხოლო ათონელებზე თქვა: "არა, ესენი პატიოსანი და ჰეშმარიტი ღვთის მსახურნი არიან". შემდეგ კი რწმენისა და მამულისაგან განდგომისათვის ფაშას მხილებას მოჰყვა. "აი, როგორ უპატიოსნოდ იქცევი", ამბობდა მამა ილარიონი. "ჰეშმარიტ ქრისტიანულ რწმენას განუდექი და ასეთი მწარე და დამღუპველი დაბნეულობის დასასრულ ქრისტეს მიმდევრებზე აღმართე შეიარაღებული ხელი. ძალადობით იპყრობ ქრისტიან ჰაბუკებს, რათა ღვთისაგან განდგომა და დაღუპვას აზიარო!". ფაშა კი ათონელებს თურქთა წინააღმდეგ აჯანყებასა და გარშემო მცხოვრებთა წაქეზებაში ადანაშაულებდა. რაც შეეხებოდა მანამდე ათონიდან წაყვანილ ბიჭებს, ამბობდა, მათ სახელმწიფოსთვის

სარგებლობის მოტანა შეუძლიათ და უდაბნოში დასამარება არ არის საჭიროო.

შემდეგ ფაშამ მკრეხელურად შეურაცხყო მართლმადიდებლური რწმენა და განაცხადა: "რა შეცდომაა, დაუჯერო ქრისტიანებს. რომ ქალწულმა შვა ღმერთი. თითქოს ადამიანის საშოს შეუძლია დაიტიოს ღმერთი და შობის შემდეგ ქალწული დარჩეს", ამაზე მამა ილარიონმა შეუტია: "შენ არ გესმის ღმერთის სიტყვის განცხადების საიდუმლოება. ამის შეგნება ღვთის დიდი ჯილდოა. ვისაც ეს გააჩნია. ესმის. როგორ შეძლო ქალწულმა ქვეყნიერების მხსნელის შობა. მაგრამ შენ მე აგიხსნი..." ამ სიტყვებზე ფაშა განრისხდა და კარავში ბოლთის ცემას მოჰყვა. მონასტრების დანარჩენი წარმომადგენლები მიხვდნენ. რომ ეს ლაპარაკი კარგს არაფერს უქადდათ. მამა ილარიონი შეუმჩნევლად უკან დასწიეს და უთხრეს" "ახლა ამ კამათის დრო არ არის. რადგან შეიძლება ფაშა გააბრაზო და იქამდე მიიყვანო, რომ მარტო შენ კი არა. ჩვენც. ათონზე დარჩენილებიც დაგვხოცოს ან გვაწამოსო. თუ შენი თავი არ გებრალება. ათონის წმიდა მამები მაინც შეიცოდე. რომლებსაც მწარე ხვედრი ეწევათ". დაარწმუნეს რა ამ სიტყვებით მამა ილარიონი. ფაშას ახსნა-განმარტება მისცეს და ჩამოტანილი საჩუქრებიც მიართვეს.

ფაშამ ნება დართო მამა ილარიონს წასულიყო სადაც სურდა. დანარჩენები კი სოლუნში დილეგში დაამწყვდია. ბიჭებიც სოლუნში გაგზავნა ისლამის მიღებისათვის მოსამზადებლად. ისინი სულ სამასნი იყვნენ. თვით ფაშა სოლუნის შემდეგ ნეგოშას გაემგზავრა. სადაც ცოტა ხნის წინ აჯანყება მოხდა. იქ მან მრავალი ქრისტიანი აწამა და სიცოცხლეს გამოასალმა.

ათონზე დაბრუნების შემდეგ მამა ილარიონი ბევრს წუხდა რომ ფაშას მკრეხელური სიტყვების უკუსაგდებად ვეღარაფრის თქმა მოახერხა და თითქოს ის გამარჯვებული დარჩა. განსაკუთრებით ძლიერ დამწუხრდა. როცა ნეგოშაში ფაშას მხეცობის ამბავი შეიტყო. უფლის სადიდებლად გულანთებულმა იღუმენ სტეფანეს სთხოვა ფაშასთან ახსნა-განმარტების დასასრულებლად სოლუნში წასვლის ნება დაერთო. უწინარეს ქრისტიანული სარწმუნოების საიდუმლოებებისა და მისი ცდომილების შესახებ დაუმთავრებელი საუბრის დასასრულებლად. შემდეგ კი მისი მხეცობისა და პირსისხლიანობის სამხილებლად. იღუმენმა ჰკითხა. ეუოფოდა კი ამდენი ვაუკაცობა და ძალა. შეეძლო აეტანა ხანგრძლივი წამება და თვით სიკვდილი. მამა ილარიონმა მიუგო. რომ მზად იყო ღვთის შემწეობის იმედით უველანაირი ტანჯვა-წამებისათვის. განა კუმიცაზე არ დაიწყო ფაშას მხილება. მაგრამ არ დაამთავრებინეს. მაშინ იღუმენმა სტეფანემ

უყოყმანოდ დალოცა და უფლისა და ღვთისმშობლის შემწეობა უსურვა. მამა ილარიონმა ძმებს დალოცვა სთხოვა, ქვეითად გაემართა სოლუნში და ზუსტად მუსულმანების დღესასწაულის, რამაზანის დროს ჩავიდა. ამ ზეიმისას თურქები დღისით მარხულობენ, მზის ჩასვლის შემდეგ კი ილხენენ.

ფაშას სახლის კართან მამა ილარიონი დაცვამ შეაჩერა და ჰკითხა, რა სურდა. მან აუხსნა, ფაშასთან აუცილებელ საქმეზე მაქვს სალაპარაკოო და სთხოვა ეცნობებინათ მისთვის იმ ქართველის მისვლა, რომელიც კუმიცაზე ნახა. ამ დროს ფაშასთან შეგროვდა ყველა მთავარი თურქი მოხელე და ინგლისელი, ფრანგი, სომეხი, ებრაელი წარჩინებულნი. საღამო ახლო იყო და ნადიმიც მალე დაიწყებოდა. როცა ფაშას ქართველი ილარიონის მოსვლა მოახსენეს, მან ყველას გასაგებად შესძახა: "აა, ეს ის მღვდელია, რომელსაც ფუჭ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აზრი შევაცვლევინე და იგი დიდი წინასწარმეტყველის რჯულის მისაღებად მოვიდა. აქ მომიხმეთ!". ძახილზე მამა ილარიონი შემოვიდა, დაინახა ტახტზე მჯდომი ფაშა მოხელეებთან ერთად და საკადრისი პატივი მიაგო. ფაშამ სიხარულით მიმართა მას: "აა, მამაო ილარიონ, კეთილი იყოს შენი მობრძანება! ნამდვილად სარწმუნოებაზე ჩვენი საუბრის შემდეგ მოხვედი".

"დიახ", - მიუგო მამა ილარიონმა, - "ზუსტად შენმა საუბარმა მაიძულა საგანგებოდ მოვსულიყავი და დაწვრილებით მელაპარაკა, რადგან მაშინ კუმიცაზე არ დამამთავრებინეს სათქმელი. ჩემთვის აგრეთვე ძლიერ სასიამოვნოა, რომ აქ სოლუნის მოწინავე მოქალაქეებს ვხედავ". "ჩემთვისაც სასიამოვნოა შენთან შეხვედრა და საუბარი ჩვენი დღესასწაულის დროს", - თქვა ფაშამ.

შემდეგ მამა ილარიონი თავის გვერდზე ტახტზე მოისვა. ყველა დანარჩენმა საპატიო მოქალაქემ კი ფეხზე დგომა განაგრძო. მიუჯდა რა ფაშას, მამა ილარიონმა ადრე შეწყვეტილი საუბარი განაგრძო: "შენ ინებე ეჰვი გამოგეთქვა, როგორ შეეძლო ქალწულს მაცხოვრის შობა და ქალწულად დარჩენა. ამიტომ აგიხსნი. თქვენი წინასწარმეტყველი მუჰამედიც ამბობს, რომ იესო ქრისტე ქალწულისაგან იშვა უთესლო ჩასახვით და ამიტომ შობა მისი, ჰეშმარიტი ღმერთისა მიუწვდომელია, ის არის ჰეშმარიტი ღმერთი, რომელმაც კაცობრიობის ხსნისათვის შეისხნა ხორცი, რათა ადამიანის დაცემული მოდგმა წყევლისა და სიკვდილისაგან ეხსნა". ფაშა მიხვდა, რომ ბერი მტკიცედ იდგა თავის რწმენაზე და კამათი გაბა, რომლის დროსაც მამა ილარიონი ნეგოშაში მის ტირანობას შეეხო და თქვა: "შენ ღმერთის არ გეშინია, რადგან ასე აწამებ უდანაშაულო ქრისტიანებს.

თვითონ ქრისტიანი მშობლების შვილი ხარ და ასე სასტიკად. ჭეშმარიტად მხეცურად იმიტომ იქცევი. რომ ჩაახშო ქრისტესაგან განდგომით გამოწვეული სინდისის ქეჯნა". ფაშამ გაიცინა და უპასუხა: "პირიქით. მე იმდენად მოხარული ვარ სასაცილო ქრისტიანული რწმენის თავიდან მოშორებით. რომ. როცა ჩემთან მოვიდა ის. ვინც მშობლებს მომტაცა და თურქებს მიმყიდა ბაქშიში (ჯილდო) ვუბოძე. ფაშა რომ გავხდი. ვმადლობდი გაწეული სამსახურისთვის. თქვენი რწმენა ჭეშმარიტი და ღვთის საამო რომ იყოს. ღმერთი მტრების ხელში არ ჩაგაგდებდათ და ისინი არ დაგჩაგრავდნენ უველგან და ყოველთვის". ამ ქედმაღლურ სიტყვებზე მამა ილარიონი შეეკამათა: "ფაშა. შენ უველაფერი მცდარად გესმის. განა მამა არ მოიმარჯვებს წკეპლას ცელქი შვილის დასასჯელად? მაგრამ ამას იმიტომ კი არ სჩადის. რომ გულიდან ამოიგდოს შვილი. არამედ გამოსასწორებლად. როცა გამოსწორებულს დაინახავს. გადატეხავს წკეპლას და ცეცხლს მისცემს. ამიტომაც მოგიშვათ ღმერთმა. მას ცოდვების გამო. ჩვენი გამოსწორება სურს. თქვენ წარმოადგენთ კვერთხს ღვთის ხელში. და როცა ღმერთი გამოსწორებულს გვიხილავს. ამ უსარგებლო ნივთს სანაგვეში მოისვრის". შემდეგ ფაშა ათონის მთიდან წაყვანილი ბიჭების გამო ამხილა. თუმცა. პირველ დღეს ბევრი ლაპარაკი ვერ შეძლო. რადგან უკვე მოსაღამოვდა და ფაშა კი მშვიდად ისმენდა მხილებას. მან მამა ილარიონს თავისთან ღამის გასათევად დარჩენა შესთავაზა. მაგრამ მოწამეობის მოსურნე ბერმა უკუაგდო ეს წინადადება და მთელი ღამე ეზოში გაატარა. თან მიზნის მიღწევის იმედით გათენებას ელოდა.

მეორე დღეს. როცა ფაშამ ღამის მოლხენის შემდეგ გამოიღვიძა. მამა ილარიონმა ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების შესახებ საუბარი და მტკიცება განაგრძო. ამავე დროს ფაშას ლანძღავდა. უღმერთოდ. არამზადად იხსენიებდა. ჯორსა და ღორს უწოდებდა. ყოველნაირად ცდილობდა გაეღიზიანებინა და სასიკვდილო განაჩენი გამოეტყუებინა. განსაკუთრებით იმ ბიჭების გულისთვის გალანძღა. რომლებიც თეთრებში ჩაცმულნი მოიყვანეს მათზე ბილწი წესის აღსასრულებლად. ფაშას მიერ სხვადასხვა ადგილებში შეგროვილი ოთხასი ბიჭიდან მხოლოდ ორი არ განუდგა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ისინი აწამეს. დანარჩენები გათურქდნენ.

ფაშა გულგრილად უსმენდა მხილებას. ხანდახან კი გადიოდა. რათა მამა ილარიონისთვის სიტყვის დამთავრების საშუალება არ მიეცა. სამდღე-ნახევარს მოდიოდა მამა ილარიონი და ამხილებდა ფაშას. იქ მყოფი თურქი მოხელეები და უცხოელები გაოცებულნი იყვნენ. როგორ უსმენდა ფაშა ვიღაც ღატაკი ბერის მხილებას. პირველი ღამის შემდგომ მამა ილარიონმა დანარჩენი დრო ღვთისმოყვარე ქრისტიანის სპანდონის ოჯახ-

ში გაატარა, რომელმაც გულითადი მასპინძლობა გაუწია. ერთ ღამეს, როცა იგი ლოცულობდა და მოწამის ღვაწლისათვის ემზადებოდა, ოთახში შეიარაღებული თურქი შემოვიდა. ამ დროს ნებადართული იყო ქრისტიანის მოკვლა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. ამიტომ, თურქმა მახვილი იძრო, და ბერის გაკვეთა მოისურვა. თან შესძახა: "მე შენ აგკუწავ". ხელი მოიქნია, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. მარჯვენა გაუხევდა. თითქოს ვიღაცამ ხელი სტაცაო და მანამდე ეჭირა ასე, სანამ ბერისათვის ზიანის მიუყენებლად მახვილის ქარქაშში ჩაგება არ გადაწყვიტა.

მეოთხე დღეს შეეცადა ძლიერ გაეღიზიანებინა ფაშა. მამა ილარიონმა მუსულმანობისა და თვით მისი დამაარსებლის მუჰამედის სიცრუეზე დაიწყო ლაპარაკი. ცრუპენტელად იხსენიებდა და ამბობდა, როგორც თვითონ დაიღუპა, ისე მიჰყვებიან თავისი მორწმუნენიცო.

- როგორ ფიქრობ, სად წავალთ ჩვენ? - სიცილით ჰკითხა ფაშამ.

- იქ, სადაც თქვენი მუჰამედია, - უპასუხა ბერმა.

- მუჰამედი სად მოხვდება?

- ჯოჯოხეთში, - მიუგო მამა ილარიონმა, - და თქვენც მასთან ერთად.

- შენი აზრით, ვინ გადარჩება და დამკვიდრდება სამოთხეში?

მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის წიაღში შობილი ჰეშმარიტი მორწმუნენი, ყველა დანარჩენი - ებრაელები, სომხები, კათოლიკები - განწირულნი არიან საწამებლად.

ყველა ოთახში მყოფმა მრისხანებით შესძახა: "სიკვდილი მაგას!" შეძახილზე ფაშას აღარ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო და მიუხედავად იმისა რომ არ სურდა ბერის სიკვდილი, მამა ილარიონისთვის თავის მოკვეთა ბრძანა. მუჰამედის კანონისგან განდგომილი არავის ვეგონოო. "აი, შენ თვითონ დაიტეხე თავს უბედურება. მე აღარ შემიძლია დაგიცვა. მამაცური სიტყვებისათვის თავს წაგაცლიან!". მამა ილარიონმა თავი მოიშიშვლა, დახარა და თქვა: "აჰა, მომკვეთე, ჰეშმარიტებისთვის სიკვდილის არ მეშინია". მანამ ეჭირა თავი ასე, სანამ სარდრები (ჩაფრები) არ მოვიდნენ და დასჯის ადგილისკენ წაიყვანეს იგი.

სანამ განაჩენის სისრულეში მოყვანის სამზადისი მიდიოდა ფაშასთან წარმომავლობით აბაზგი ორი მცველი მივიდა. ერთი - ხაზინადარი, მეორე კი განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე, რომლებიც ფაშას ერთგულებისა და თავდადებისთვის უყვარდა. მან ქართველი მღვდლის სიკვდილით დასჯის ბრძანება გააცნო. მცველებმა განცვიფრებით ხელი ხელს შემოჰკრეს და წამოიძახეს: "ეს არ მოხდება, არ მოხდება, ჩვენი თავის მოჭრაა.

ქალაქში გამოჩენასაც ვეღარ შევძლებთ, რადგან ხალხი იტყვის, ძლივს ამ მხარეში ერთი თანამემამულე გამოუჩნდათ და ისიც სიკვდილით დასაჯესო... ეს ჩვენი სამუდამო სირცხვილი იქნება".

გული რომ არ დაეწყვიტა, ფაშამ მამა ილარიონი მათ განკარგულებაში გადასცა.

დამსჯელ პროცესიას უამრავი ხალხი აედევნა - ქრისტიანები, თურქები, ებრაელები. ქუჩებში გასვლისას ბრბო თანდათან იზრდებოდა. თვით მოედანზე კი იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ გავლა შეუძლებელი შეიქნა. მამა ილარიონი მტკიცედ მიაბიჯებდა. არც სახეზე, არც მოძრაობაში შიშის ნატამალიც კი არ ეტყობოდა. ლოცვას ჩურჩულებდა და ისეთი მხიარული ჩანდა, თითქოს საქორწილო სუფრაზე მიიჩქარისო. მცველები, მიიღეს რა ფაშასგან ნებართვა, სწრაფად გაემართნენ მოედნისაკენ. ხელხი მისწი-მოსწიეს და მამა ილარიონს დასჯის ადგილას მიუსწრეს. ფაშას სახელით ჯალათს ხელიდან გამოსტაცეს და თან წაიყვანეს. ხალხი უკან გაჰყვა.

მამა ილარიონს ეგონა, დასჯის სახე შეცვალეს და ჩამოსახრჩობად მივყავარო. ამიტომ მორჩილად გაჰყვა გამცილებლებს, თან ლოცვას წარმოთქვამდა, რაც უფრო შორს მიჰყავდათ. მეტ გაუგებრობაში ვარდებოდა.უკვე საკმაოდ შორს წავიდნენ. მიდიოდნენ ქუჩებით, ეზოებით, და თითოეულ ეზოში ეგონა, რომ იქ დასჯიდნენ. მიჰყავდათ უფრო შორს, იმ გზის მიმართულებით, რომლითაც ათონიდან მოვიდა. ხალხი, რომელიც უკან მიჰყვებოდა, გუშაგებმა ქალაქის საბაჟოსთან შეაჩერეს. მოხელე აბაზგებმა მამა ილარიონი ქალაქიდან გაიყვანეს და როცა საკმაოდ მოშორებით აღმოჩდნენ, ერთ-ერთმა ისეთი ძალით უბიძგა კისერში, რომ კინაღამ მიწას სახით დაასკდა. თან უთხრა: "წადი, მღვდელო, შენს ათონზე და აქ აღარ გამოჩნდე!".

სულის მოთქმის შემდეგ მამა ილარიონი ნელა გაეცალა მათ და როცა საკმაოდ დაშორდა, უკან მოიხედა. ორივე მოხელე იმ ადგილზე იდგა და მუქარით ეძახდნენ, უკანმოუხედავად ევლო. უკვე შორიდან კიდევ მიიხედა. ორივე იქვე იდგა და მუშტებს უღერებდა. ჩქარა თვალს მიეფარნენ. მაშინ მამა ილარიონმა პირჯვარი გადაიწერა, ამოიოხრა და თქვა: "უღირსი ვარ, მე უბედური, რომ ღმერთმა ჩემი წამება შეიწიროს", და ჩუმად გაუყვა ათონის გზას, მაგრამ ის ქრისტიანი გაახსენდა, რომელმაც დაამშვიდა. გადაწყვიტა გულთბილობისათვის მადლობა გადაეხადა და უკან დაბრუნდა. სპანდონიმ კი, როცა იხილა ბერი, ათონზე ქვეითად აღარ გაუშვა. მისცა მას ცხენი და გამცილებელი გააყოლა.

ტუსაღთა სამსახურში

გამცილებელთან ერთად, ათონზე რომ ბრუნდებოდა, მამა ილარიონმა გზად სოლუნში შეიარა. გაიარეს მთელი ქალაქი და ბოლოს განაპირა ქუჩაზე ხმა მოესმათ: "პატერ, პატერ!". მამა ილარიონმა მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ შეამჩნია. ხმამ კვლავ დაუძახა. მეზობელი შენობის კედელში პატარა ფანჯარა შენიშნა, საიდანაც ხელი იყო გამოყოფილი და თავისკენ ეძახდა. როგორც შემდეგ შეიტყო, ამ შენობაში დამნაშავეებთან ერთად დატყვევებულნი ყოფილან ბერძნების აჯანყებაში მონაწილე ქრისტიანები. უმეტესად ათონელი ბერები. ტუსაღები შიმშილისა და წყურვილისაგან იტანჯებოდნენ. როცა მამა ილარიონი ფანჯარას მიუახლოვდა, ხელმა ჭიქა გამოყო და დილეგიდან ხმამ წყლის მოტანა სთხოვა. მამა ილარიონმა პატიმრის თხოვნა აღასრულა, მაგრამ იქვე მეორე ხელი გაჩნდა და იგივე გაისმა. შემდეგ კვლავ და კვლავ ჩნდებოდა ხელები. ბერმა სიხარულით შეასრულა ყველა თხოვნა. და როცა შეიტყო, ვინ იყვნენ საპყრობილეში, გადაწყვიტა ტუსაღთა მოსამსახურებლად დარჩენილიყო. გამცილებელი უკან გააბრუნა. განკვრიტა, რომ ამ უბედურების სამსახურებლად შეუნარჩუნა ღმერთმა სიცოცხლე. ყოველ დღე მიდიოდა საპყრობილესთან და პური, წყალი და სხვა სურსათი მიჰქონდა.

ერთხელ თურქმა მცველმა შეამჩნია ეს და მამა ილარიონის მოკვლა მოინდომა. მაგრამ ბერი უშიშრად გამძვინვარებული თურქის ხელით სასიკვდილოდ სიხარულით მოემზადა. ამ დროს მცველის მეგობარმა დროულად გაიღვიძა და ამ სიტყვებით შეაჩერა: "ხელი არ ახლო, დაე, უზიდოს პატიმრებს. პურს არც მე, არც შენ, არც ვინმე სხვა მიაწვდის. ჩვენ მათთვის შიმშილით სულის ამოსახდელად კი არა ვართ მიჩენილნი, არამედ საყარაულოდ. ამიტომ, თუ სურს, დაე, დააპუროს, ჩვენ კი ნუ შევეწინააღმდეგებით".

ამ დღიდან დაცვა აღარ უშლიდა ხელს მამა ილარიონს პატიმრების დახმარებაში. მაგრამ უსაფრთხოებისთვის ფაშას მოახსენეს. ვიღაც ქართველი მღვდელი, რომელიც ცოტა ხნის წინ თავხედურად ამხილებდა ფაშას, ახლა საპყრობილესთან არის და პატიმრებს ეხმარებაო. მან კი ბრძანა, ხელი არ შეუშალოთ, აკრძალული ნივთების გარდა, რაც სურს, მიუტანოსო. დაცვამ დახმარების ნებართვა დართო. მას შეეძლო ღვინის, რახისა და სხვა ძლიერი სასმელის გარდა მიეტანა ყველაფერი, ხოლო თუ პირობას დაარღვევდა თავის წაცლით დაემუქრნენ.

სარგებლობდა რა ფაშას ნებართვით. მამა ილარიონი დღე და ღამე დაუღალავად შრომობდა. იგი არა მარტო პურსა და ხილს ყიდულობდა,ასრულებდა მათ სხვადასხვა დავალებას და ამას ქრისტიანებისა და თურქებისათვის თანაბრად აკეთებდა. თეთრეულს თვითონ რეცხავდა და დღენიადაგ შრომობდა, რადგან პატიმარი ბევრი იყო. თვითონ კი ერთი. ერთხელ ერთმა ლავრის პროესტოსმა (ტაძრის ბერი) ავადმყოფობის გამო ცოტა რახის მიტანა სთხოვა. მამა ილარიონი დათანხმდა და ჩუმად მიუტანა. მაგრამ რახან ერთს გაუკეთა. სხვების თხოვნა წვიმასავით წამოვიდა. ზოგი ღვინოს ითხოვდა. ზოგი რახს. ბერი ასრულებდა მათ თხოვნას და მკაცრი აკრძალვის მიუხედავად მიჰქონდა. ერთხელ არც ღვინო. არც არაყი არ წაიღო. ჩვეულებრივ აავსო თოფრა პურით და ციხისკენ გაემართა. კედელთან დაცვამ შეაჩერა: "შესდექი, მღვდელო, ვნახოთ რა მიგაქვს, რამე აკრძალული ხომ არა გაქვს?". გადაათვალიერეს, გაუშვეს და თან მუქარა გაიმეორეს. ამის მიუხედავად მამა ილარიონმა მაინც განაგრძო პატიმრების თხოვნით ღვინისა და რახის ზიდვა. ხუთი დღის შემდეგ ტვირთის სიმძიმის გამო კვლავ არ წაიღო აკრძალული სასმელი და ხელმეორედ დაბრუნება სურდა. მაგრამ ამჯერადაც შეაჩერეს თურქებმა და გულდასმით გაჩხრიკეს მისი თოფრა. ჩხრეკის ამბავი რომ შეიტყეს, ტუსაღები ძლიერ დამწუხრდნენ. რადგან ის ხომ უსიტყვოდ ასრულებდა მათ თხოვნას. მაგრამ. საბედნიეროდ. დაცვამ ვერაფერი უპოვა და ბერი კვლავ შეუშვეს პატიმრებთან. მალე ტუსაღებს ფული გამოელიათ და მძიმე დღეში ჩაცვივდნენ. მამა ილარიონს ძონძების მეტი არაფერი გააჩნდა და ღრმა თანაგრძნობით განმსჭვალულმა სოლუნის ქრისტიანებში მოწყალების შეგროვება დაიწყო. ბერის მიერ სამოწყალოდ აღძრულებმა ერთი საცხობი იმ პირობით გამოისყიდეს, რომ უფასოდ მიეცათ პური ტუსაღებისთვის. სისწორისთვის ბერსა და ხაბაზს ერთნაირი ჯოხები მისცეს. რომლებზეც რამდენ პურსაც წაიღებდა მამა ილარიონი, იმდენი ნაჭდევი უნდა გაეკეთებინათ. შემდეგ კი ამის მიხედვით უსწორებდნენ ხაბაზს.

ასე გაატარა მამა ილარიონმა ექვსი თვე პატიმრების დახმარებაში. ამავე საპყრობილის ცალკე საკანში თოკზე ორი ტუსაღი ჩამოჰკიდეს: ერთი ქრისტიანი, მეორე კი ბანკის მფლობელი მდიდარი თურქი, რომელსაც ფაშა წამებითა და წვალებით სახელმწიფო საჭიროებისათვის ფულს სძალავდა. ფეხებითა და ხელებით ისე დაჰკიდეს, რომ პატარა მოძრაობაზე თოკი ტრიალს იწყებდა და აქეთ-იქით ქანაობდნენ. მათ მიუჩინეს განსაკუთრებული დაცვა, რომელსაც თოფები, გაშიშვლებული ხმლები მუდამ გამზადებული ჰქონდა და გაკარება არავის შეეძლო. უბედურებს არ აძლევდნენ

არც საჭმელს, არც სასმელს, რადგან ისინი ასეთ საშინელ ყოფაში შიმშილით სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი.

ცხელი დღე იყო. დაკიდულნი წყურვილისგან აუტანლად იტანჯებოდნენ. ტუჩები გაუშრათ და დაუსკდათ. საპყრობილეში ხშირად მყოფმა მამა ილარიონმა მთელი ყურადღება ამ ორი უბედურის დახმარებაზე გადაიტანა. მოიმარაგა ორი დიდი მსხალი. მათარა წყლით აავსო და მათთან მისასვლელად მოსახერხებელ მომენტს დაელოდა და აი, გაშიშვლებული ხმლებითა და თოკებით შეიარაღებულმა, კედელს მიყუდებულმა მცველებმა ჩათვლიმეს.

მამა ილარიონი ჩუმად გაძვრა მათ შორის და სივიწროვის მიუხედავად არ გააღვიძა. მიუახლოვდა ერთ დაკიდებულს. ჩაასხა პირში წყალი, შემდეგ მეორეს. ასე გაიმეორა სამჯერ და შემდეგ თითოეულს მსხალი ჩაუდო. დაინახა რა ბერის თავგანწირვა, თურქმა ამოილუღლუღა: "ალაჰი მიგიზღავს შენი კეთილი საქმეებისათვის, სწრაფად წადი, რათა მცველებმა არ აგკუწონ!" ყველა პატიმარი მღელვარებით ადევნებდა თვალს მამა ილარიონს. საქმეს რომ მორჩა, წასვლა დააპირა, მაგრამ დაბრუნებისას, სიფრთხილის მიუხედავად, მაინც წამოედო ერთ-ერთ მძინარე მეომარს და ორივემ გაიღვიძა. ღმერთმა საოცრად დაიფარა მამა ილარიონი. გაღვიძებულებმა დაინახეს ბერის საქციელი, მაგრამ მაინც საოცრად გაუნძრევლად იდგნენ და არაფერი ავნეს. ამ გმირობამ შეუნარჩუნა უბედურებს სასიცოცხლო ძალები და იხსნა სიკვდილისგან.

ამ დროს თურქ ბანკის მფლობელს ნათესავმა უშუამდგომლა ფაშასთან და გამოიხსნა, მაგრამ ეს მოხდა ბერის ათონზე წასვლის შემდეგ. ბანკის მფლობელი ყველას უამბობდა მამა ილარიონის გმირობის ამბავს და გაიძახოდა: "მაჩვენეთ, დამანახეთ ის, ოქროთი დავაჯილდოებ. მის სახეს ოქროთი ჩამოვასხამ და თაყვანს ვცემ, როგორც ჩემს მხსნელს!"

ამ ამბის შემდეგ მალე მამა ილარიონი საპყრობილეში შევიდა პატიმრებთან გამოსამშვიდობებლად და უთხრა, გასულ ღამეს ღვთისგან შეტყობინება მივიღე, რომ დავტოვო თქვენი მსახურება და ათონზე გავემგზავრო. თვითონ ამ საქმეს არასოდეს დავტოვებდი. მაგრამ ღვთის განგებას ვემორჩილები და უნდა წავიდეო. თავის მაგივრად იპოვა კაცი, რომელიც პატიმრებს მოემსახურებოდა. ღვთისმოყვარულმა სპანდონიმ ფულის გადახდა იკისრა. მამა ილარიონმა აუხსნა, რა და როგორ გაეკეთებინა, გამოემშვიდობა ყველას და გზას გაუდგა. მეორე დღეს ბერის გამგზავრების შემდეგ უცბად ყველამ გაიგო, რომ ფაშამ ჯალათს მისთვის

თავის მოკვეთა უბრძანა. მაშინ ყველამ ადიდა მფარველი ღმერთი და მათი მწუხარება სიხარულმა შეცვალა.

ათონზე დაბრუნება და მეუდაბნოეობა

მამა ილარიონი ათონზე ქვეითად დაბრუნდა, თან საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ვერ დაიმსახურა წამებულის გვირგვინი. იგი კვლავ დიონისეს მონასტერში დასახლდა, სადაც ცოტა ხნით იგივე მორჩილებას დაუბრუნდა და ამის გარდა თურქებს ემსახურებოდა. რომლებიც მაშინ მრავლად დასახლდნენ ათონზე. ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ ბერები თავისთვის ადგილს ძლივს პოულობდნენ. მარტო დიონისეს მონასტერში ორმოცდაათნი იყვნენ.

ამ გარემოებამ აიძულა მამა ილარიონი უდაბნოში გადასულიყო და მონასტრის ახლოს, მთის ქვეშ მდებარე გამოქვაბულში დასახლდა, სადაც ორწელიწადნახევარი დაჰყო.

მას იქ არანაირი საზრდო არ ჰქონდა. თავდაპირველად ვიღაცამ გოგრა მისცა. ყოველდღე პატარ-პატარა ნაჭრებს აჭრიდა და უმად მიირთმევდა. მალე წყალიც გაუთავდა. სამი დღის შემდეგ სათხოვნელად მონასტერში წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ როგორც კი გამოვიდა გამოქვაბულიდან, ერთი ტომარა ფქვილი იპოვნა. ვინ, როდის და როგორ მოიტანა, გაუგებარი დარჩა. მონასტერში წავიდა გასაგებად, მათ ხომ არ გამომიგზავნესო. მაგრამ იქ არავის უფიქრია ფქვილის მიტანა, რადგან თვითონაც არაფერი ჰქონდათ საჭმელი. მაშინ მამა ილარიონმა ფქვილის ნახევარი მონასტერს მისცა, ნახევარი თვითონ დაიტოვა. რომლისგანაც ცომს ზელდა და ხან უმად, ხან გამომცხვარს მიირთმევდა. შემდეგ მტრების გამო სასტიკი ბრძოლა გადახდა და ამ გამოქვაბულიდან კატუნაკზე გადავიდა. სადაც ბევრ გამოქვაბულში იცხოვრა და ყველაზე მძიმე ცდუნებანი გამოსცადა. გამოქვაბულებში სულ სამი წელი გაატარა. ამ დროის განმავლობაში არ უჭამია პური და არაფერი მოხარშული, საზრდოდ მხოლოდ ზოგიერთ ბალახს, ფესვებსა და წაბლს იყენებდა. ხორცის დათრგუვნით კი უხილავ მტერს ებრძოდა. მამა ილარიონი თითქმის ბაბილონის ღუმლის ალით იწვოდა. მისი ბრძოლა იმდენად ძლიერი იყო, რომ სამი წლის განმავლობაში არც დღით, არც ღამით არ მოუსვენია. ვინც მას იცნობდა, ამბობდა, რომ კატუნაკზე აუტანელი ბრძოლების დროს, როცა მის თავზე აღმართულ გველის თავს ჭოჭოხეთური ურდოებითურთ მუსრს ავლებდა, წმ. ანასა და წმ. ბასილის

სავანეებს შორის არც ერთი ადგილი, არც ერთი ქვა არ დარჩენია ცრემლით დაუნამავიო.

ამ დროს მდუმარებაში მყოფი თითქმის არავის ნახულობდა. შემთხვევით ვინმე მეუდაბნოე თუ შეხვდებოდა, თავს არიდებდა და მდუმარებას არ არღვევდა. ერთხელ, მტრის უძლიერესი თავდასხმის დროს, უკმელ-უსმელმა ორმოცი დღე ჯვარზე გაკრულმა გაატარა და შეუსვენებლად ებრძოდა მისი არსის წინააღმდეგ აღზევებულ მტერს, რომელიც ამ დროს ისე გაშმაგდა, რომ სულიერი ცეცხლის გარდა დასაწვავად ნივთიერი ცეცხლი შეუნთო, მაგრამ ამითაც ვერ სძლია გულად მებრძოლს.

გარდა ხორციელი ვნებებისა მტერი სხვადასხვაგვარად ცდილობდა მის ცდუნებას. თავს ესხმოდა ზანგების, მეომრებისა და ცხოველების სახით. ყველაფერს იმიტომ აკეთებდა, რომ ბერი ლოცვისთვის მოეწყვიტა. უკიდურესი სინესტისაგან მამა ილარიონს თითქმის მთელი თმა გასცვივდა. ეს გამოქვაბული ძლიერ განიერი იყო, მაგრამ ერთი მხრიდან დაუცველი, და წვიმით სველდებოდა. ნესტს შიმშილი და ავადმყოფობა ემატებოდა. მუდმივი გაციებით ძლიერ იტანჯებოდა. ფეხები გაუსივდა და ხშირად გამოქვაბულიდან გამოსვლაც კი არ შეეძლო.

ერთხელ, ავადმყოფობისას, წყალი გაუთავდა და რაკი ქვემოთ, წყაროსთან ჩასვლა არ შეეძლო, ლოცვა დაიწყო. ღმერთმა მაშინვე წვიმის ღრუბელი გამოუგზავნა, რომელიც ზუსტად გამოქვაბულის თავზე გაჩერდა. წვიმამ ყველა ჭურჭელი აავსო წყლით. სამი წლის შემდეგ კი უფალმა თავის ერთგულ მონას ყველაფერი ამგვარად გაუგზავნა: გამოქვაბულში მყოფი მამა ილარიონი ხშირად ხუთი, ათი, თხუთმეტი დღის განმავლობაში არაფერს ჭამდა. არ ჰქონდა პური, არც რაიმე სხვა. მთლიანად ღვთის განგებას მიენდო და ამბობდა, თუ უფალი ისურვებს, ყველაფერ აუცილებელს გამომიგზავნისო. და აი, გამოქვაბულში ცხოვრების მესამე წელს ერთმა ბერმა, რომელიც სილენგოზებს (ლოკოკინებს) აგროვებდა, მამა ილარიონის გამოქვაბულში შეიარა და ძლიერ ღონემიხდილი ნახა. როცა გაიგო, თხუთმეტ დღეს არაფერი ეჭამა, სილენგოზებით დააპურა. შემდეგ წავიდა და მისი ამბავი სავანეში ხალხს უამბო. როცა ხალხმა გაიგო, სად ცხოვრობდა, ყველა მხრიდან იწყეს სანოვაგის ზიდვა. თან იცოდნენ, რომ წმიდა ბერი იყო და რჩევა-დარიგებას ეკითხებოდნენ.

უფრო ადრე ასეთი რამ მოხდა. მან უკმელად ორი კვირა გაატარა და მარხვით ისე გამოიფიტა, რომ განძრევა არ შეეძლო. იწვა და სიკვდილს ელოდა. ღვთის განგებით ერთმა მეუდაბნოემ, რომელსაც სადღაც ორცხობილა ეყიდა, თავისი ბარგით ბერის გამოქვაბულს ჩაუარა (ამ ადგილის

ცოტა ზემოთ წმ. ანას სავანედან ლავრაში ბილიკი მიემართებოდა). გზად ძლიერ მოსწყურდა. წყაროზე რომ ჩავიდა, რომელიც ბერის გამოქვაბულის ქვემოთ იყო, მამა ილარიონთან შესვლა გადაწყვიტა. გამოქვაბულში ბერი მომაკვდავი იხილა. მიხვდა, რომ სრულიად გამოფიტული იყო. პირში წყალი ჩაასხა და დასველებული ორცხობილა ჩაუდო, რითაც სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ამის შემდეგ მამა ილარიონმა სულიერი რჩევისათვის ყველა მხრიდან მომავალი მნახველის გამო დატოვა გამოქვაბული. თავდაპირველად ცდილობდა, არავინ შეეშვა თავისთან, მაგრამ გადაწყვიტა მდუმარებისა და განუწყვეტელი ლოცვისათვის საერთოდ გაქცეოდა ადამიანებს.

დაყუდება

მნახველთა სიმრავლით შეეიწროებულმა მამა ილარიონმა გადაწყვიტა უფრო დიდ ღვაწლს შესდგომოდა მისცემოდა სრულ განდეგილობას, რაც აღასრულა და ახალი სავანის გოდოლში განმარტოვდა, კურთხევა კი წინასწარ გამოითხოვა. დაყუდებულმა წმ. პავლეს მონასტერში დაახლოებით სამი წელი გაატარა. მისი ცხოვრების წესი ასეთი იყო: საზრდოდ პურსა და ორცხობილას ხმარობდა. ჭამდა დღეში ერთხელ, პარასკეობით კი მარხულობდა. ათონზე ჩასვლისას იმდენს ჭამდა, რომ დღეში სამი გირვანქა პური არ ჰყოფნიდა. ხოლო როცა დაეყუდა, ღირსი მაკარი დიდის მსგავსად დანამცეცებულ ორცხობილას წვრილუელიან ხაპში ყრიდა, იქიდან იმდენს იღებდა, რამდენიც ერთ პეშვს ამოუვებოდა და მთელ დღეს ამით გადიოდა.

ლავრიდან მოსამსახურედ მამა გერასიმე დანიშნეს, რომელიც ყოველი თხუთმეტი დღის შემდეგ მოდიოდა და ორცხობილა მოჰქონდა. მამა ილარიონი წყალსაც ცოტას სვამდა, ერთ ჭიქას დღეში. როცა მეფის სასახლეში ცხოვრობდა, ღვინოს ძალზე ბევრს სვამდა. ათონზე ჩასულმა კი იმდენივე წყლის სმა დაიწყო და ისე ოფლიანობდა, რომ მაუდის პერანგის გამოცვლას ძლივს ასწრებდა. მღვიმეში ყოფნისას მისი მოძღვარი იყო ბერი ნეოფიტე კარამანლისი, რომელმაც ამდენი წყლის სმა აუკრძალა და მოკლე დროში დღიური ნორმა ერთ პატარა ჭიქაზე დაიყვანა, თან ამბობდა, თვითნებობა უსარგებლოა. წყლის უსაზღვრო გამოყენება კი აავადმყოფებსო. სასახლეში ცხოვრებისას ვერ იჩოქებდა, რადგან ვერ ახერხებდა. ათონზე შესძლო, დაყუდებისას კი მოუხშირა. დღეში ჯერ ორი საათი ეძინა, შემდეგ კი ერთი.

ასეთი გარეგნული ღვაწლით სულიერი ჰვრეტისა და გონიერი ლოცვის ზღვაში ჩაეშვა. ამას კი დაუნდობელი სულიერი ბრძოლა მოჰყვა. ხშირად დემონები, როგორც მეომარი ლეგიონები, ჯოგებად ეცხადებოდნენ. გოდოლთან მიდიოდნენ, უსაფრდებოდნენ, თავს ესხმოდნენ, გვირაბს თხრიდნენ, ათასგვარ სხვა ხრიკს მიმართავდნენ. მაგრამ ხელმოცარულები და შერცხვენილები მიდიოდნენ და იმუქრებოდნენ, მაინც აგაღებინებთო ხელს განდეგილობაზე. ზოგჯერ ეს ზღვად მომსკდარი ბოროტი სულები შესაშინებლად გაჰკიოდნენ: "სამი მხარე უკვე აღებულია, დარჩა ერთი და ამასაც ავიღებთო!" მამა ილარიონის დაუუდების შემდეგ მალე, როცა ჩვეულებისამებრ, მამა ნეოფიტე ეახლა და სურსათი მიუტანა, ასეთი რამ მოხდა. იგი შევიდა მამა ილარიონთან, დაჯდა კუთხეში და ორივე მოსაგრემ სულის საცხონებელ თემაზე იწყო ლაპარაკი. უცებ კიბეზე მომავალი ადამიანის ნაბიჯის ხმა მოესმათ. იგი ისე მძიმედ მოაბიჯებდა, რომ გოდოლის კედლები ზანზარებდა, თან ხმაზე ეტყობოდა, უზარმაზარ ხმალს მოათრევდა. მათ იცოდნენ, რომ კარი შიგნიდან იყო დაკეტილი. ამიტომ გაუკვირდათ, როგორ შეძლო ამ კაცმა შემოსვლა. ამ დროს ნაბიჯების ხმა მოახლოვდა, კარი გაიღო და თავით ფეხებამდე შეიარაღებული, ეპოლეტებიან მუნდირში გამოწყობილი მაღალი მეომარი შემოვიდა. ქარქაშიდან ხმალი იძრო და გაშმაგებულმა ყვირილით მამა ილარიონს მოუღერა: "ჩემს წინააღმდეგ იარაღდები?!" უეცარი გამოჩენისა და მეომრის საშინელი შესახედაობის გამო მამა ილარიონი გაიწია კედლისკენ, რომლის მახლობლად ჭილოფზე იჯდა. ღვთის განგებას სრულიად მინდობილმა ხელები აღაპყრო, უფალს მოუხმო და დემონი იმწამსვე გაქრა. ამის შემსწრე მამა ნეოფიტე შიშით გაშეშდა.

ერთხელ მას დემონების მთელი ურდო გამოეცხადა, მაგრამ ბერის ვაუკაცურ, შეურყეველ რწმენას რომ შეხვდნენ, ზიანი ვერ მიაყენეს და უთხრეს: "ფიქრიც ნუ გაქვს, აუცილებლად დაგცემთ, მთელ ხალხს შენს წინააღმდეგ ავამხედრებთ, თურქებს მოვიყვანთ, იმ ადგილს გადავთხრით ისე, რომ ქვა ქვაზე არ დარჩება". ამაზე მამა ილარიონმა მიუგო: "დიდება უფალს! თუკი ღვთის ნებაა, აჰა, შემჭამეთ!" ასეთი სიმტკიცის შემხედვარე დემონებმა შესძახეს: "იცი, ვის წინააღმდეგ იარაღდები, ვისთან გაქვს საქმე?!" ამ დროს გოდოლის ჭერი გაირღვა და მამა ილარიონის წინაშე იმოდენა ეშმაკი გაჩნდა, რომ თავით ვარსკვლავიან ცას ებჯინებოდა. მამა ილარიონმა ლოცვას მიმართა, ქრისტეს ძალით შერისხული დემონი გაქრა.

იყო დრო, როცა ღმერთი უშვებდა ეშმაკების მამა ილარიონზე თავდასხმას და ისინიც ბოროტი გაშმაგებით სიკვდილამდე სცემდნენ. გოდოლში გადასვლით მამა ილარიონი რჩევისათვის მოსულ ხალხს გაექცა. მამა

გერასიმესა და თავისი მოძღვრის ნეოფიტე კარამანლისის გარდა არავის ღებულობდა. მოძღვარიც ძლიერ იშვიათად ნახულობდა. გოდოლში გადასვლიდან გარკვეული დროის შემდეგ მოძღვარი მივიდა და ჰკითხა: "რატომ დატოვე გამოქვაბული და აქ გადმოსახლდი?" მამა ილარიონმა აუხსნა, მნახველებმა მაიძულესო.

მოძღვარმა კვლავ ჰკითხა: "კურთხევის გარეშე როგორ შეუდექი ესოდენ მაღალ ღვაწლს"? რადგან მოძღვარი იმ დროს შინ არ იყო (მამა ნეოფიტე ათონის გარშემო მყოფი ყველა მეუდაბნოის მოძღვარი გახლდათ. ხშირად დადიოდა მათთან უდაბნოში აღსარების მისაღებად და საზიარებლად), მივმართე ადრინდელ მოძღვარს, დიონისეს მონასტრის იღუმენ სტეფანეს და მისგან გამოვითხოვე ლოცვა-კურთხვაო. მიუგო მამა ილარიონმა, თან დაამატა, მე ყველა მადიდებს და იმ პირობით წამოვედი, რათა აქ აღვესრულოო.

ერთხელ მამა ილარიონმა უძილობის მიჩვევა ისურვა და თორმეტი დღე არ დაუძინია, რის გამოც ჯანმრთელობა ძლიერ შეერყა. მთელ სხეულში კანკალი დაეწყო, ხოლო თავბრუ ისე ეხვეოდა, რომ მის თვალწინ მთელი სამყარო ტრიალებდა. ამასთან ერთად გონებაც დაებინდა. ყოვლადცბიერი ეშმაკი, დაინახა რა ბერის ასეთი მდგომარეობა, მიეპარა და შთაგონება დაუწყო: "აი, შენ უკვე ხიბლში ხარ, უბრძანე, კისერზე თოკი შემოგახვიონ და კედელზე მიგაბან. მოწაფეს უთხარი, მოგკლას, რადგან ჭკუა სრულიად გამოგეცალა და არაფრისთვის აღარ ვარგიხარ. როცა მამა გერასიმე მოვიდა, მამა ილარიონმა ამ შეგონების ამბავი უამბო. მამა გერასიმემ რაკი არ იცოდა, რა ღვაწლი იდო თავს, უთხრა ავადმყოფობის ბრალი იქნებაო. მაგრამ როცა დაწვრილებით გამოჰკითხა, გაიგო, თორმეტი დღე არ უძინია, ძილი საერთოდ გაუტყდა და ვეღარ იძინებსო. ცოტა წყალი დაალევინა და ურჩია დამშვიდებულიყო. ბერმა წყალი დალია და რამდენიმე წამით ჩათვლიმა. შემდეგ მამა გერასიმემ კიდევ ცოტა წყალი და დამბალი ორცხობილის ნაჭერი მისცა. ამან ისე კარგად იმოქმედა, რომ ბერმა კიდევ რამდენიმე წუთით ჩათვლიმა. წყლითა და საჭმლის ცოტ-ცოტა მიღებით საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.

როგორც ითქვა, მამა გერასიმე მამა ილარიონს ყოველი თხუთმეტი დღის შემდეგ უზიდავდა საჭმელს და შესასვლელში ტოვებდა. შემდეგ ბერი თვითონ იღებდა. ერთხელ მამა გერასიმეს დაავიწყდა ულუფის მიტანა. როცა დრო მოვიდა, მამა ილარიონი ჩვეულებისამებრ გამოვიდა ორცხობილის ასაღებად. მაგრამ ვერაფერი იპოვა და თავისთვის თქვა: "ალბათ, ღმერთი მცდის". მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო გამვლელთათვის დაეძახა, არ ისურვა და თავი ღვთის განგებას მიანდო. ცხრა დღე

უკმელმა ჩვეულ ღვაწლში გაატარა. მაგრამ როცა ცხრა დღე გავიდა, დასუსტდა და თავისი ლოცვის წესის აღსრულება ველარ შეძლო. ხელები გადაიკდო. ჭილოფზე დაკდა და ამ მდგომარეობაში ექვს დღეს დაჰყო. გავიდა თხუთმეტი დღე და მამა გერასიმეც მოვიდა. თავისდა გასაოცრად ბერი ძლიერ მისუსტებული, ცოცხალ-მკვდარი იხილა. კანმრთელობის ამბავი გამოჰკითხა. მამა ილარიონმა თვინიერად უპასუხა, კანმრთელი ვარ, მაგრამ ძლიერ დავსუსტდიო. მამა გერასიმეს უცებ გაახსენდა, რომ მისთვის არც წყალი და არც საკმელი არ მოუტანია. ძლიერ შეწუხდა, გულმავიწყებლობისათვის საკუთარი თავი გაკიცხა და ბერის დაწყნარება სცადა. მაგრამ ვერ შეძლო, რადგან ტუჩები ძლიერ დამსკდარი ჰქონდა. მაშინ წყალი გააცხელა, ორცხობილა დაალბო და პირში ჩაუდო.

ბერს ნელ-ნელა ძალ-ღონე დაუბრუნდა. ასეთი რამ რომ არ განმეორებულიყო, შეთანხმდნენ, საკიროების შემთხვევაში მამა ილარიონს ფანკარაში ცხვირსახოცი უნდა გამოეფინა.

ერთხელ იმდენი ეშმაკი გამოეცხადა, რომ გოდოლს თოვლივით აცვიოდნენ და ჰკიოდნენ, გადავაგდოთ, გადავაგდოთო. უშიშარმა ბერმა კი უპასუხა, თუ ღვთის ნებაა, გადამაგდეთო, და ეშმაკებიც გაქრნენ. შემდეგ გოდოლში თოვლში ჩაჩუმქრით დაემუქრნენ, და მართლაც, ზამთრის ერთ საშინელ ქარბუქიან დღეს ჭერი ჩამოინგრა და იმდენი თოვლი ჩამოიყარა, რომ ბერი ჩამარხა და სამი დღე გაატარა თოვლის ქვეშ. სანამ სავანის ძმობამ არ ამოთხარა, ნახეს რა თითქმის მკვდარი, არქონდარიკში წაიყვანეს და ძლივს მოიყვანეს გონს. ძლიერ ემუდარებოდნენ, განდეგილობისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. ამის შემდეგ მთელი ცხოვრება რევმატიზმით იტანკებოდა. ავადმყოფობა, რომელიც არა მარტო თოვლში სამი დღის ყოფნით იყო გამოწვეული, არამედ ცივი შენობის სინესტითაც (გოდოლში სახურავიდან დიდძალი წყალი ჩამოდიოდა), მთელ სხეულში გაეშალა და მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის გამო არ ამოხდა სული სამწლიან განდეგილობაში.

ერთხელ ანატოლიიდან გემით მიმავალ მლოცველებს, რომლებსაც მამა ილარიონის ამბავი სმენოდათ, გზაში ძლიერმა ღელვამ მიუსწრო და გადარჩენის იმედი გადაეწურათ. ღმერთს შესთხოვეს, ბერის წმიდა ლოცვით შეგვიწყალეო, და უფალმა შეიწყალა. ქარი ჩადგა. ნაპირს რომ მიადგნენ, თავიანთ კეთილისმყოფელს მიაშურეს მადლობის სათქმელად. მაგრამ გოდოლი დაკეტილი დახვდათ. მამა გერასიმეს სთხოვეს კარი გაეღო და ნება მიეცა ბერისათვის თაყვანი ეცათ. მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ ორნი ქვემო სარკმლიდან შეძვრნენ გოდოლში და კარი შიგნიდან გააღეს. ყველანი შევიდნენ და კიბეს აუყვნენ. მამა ილარიონს ეშმაკები

ეგონა და ჩვეულებრივ უშიში ძლიერ შეშინდა. უფალი ამით გვიჩვენებს, რომ უმისოდ არაფერი ძალგვიძს. მლოცველებმა ბერის შიში შენიშნეს. და რომ დაერწმუნებინათ, ეშმაკები კი არა, ადამიანები ვართო, შენობის გვერდზე ეკლესიაში ლოცვითა და პირჯვრის წერით შევიდნენ. შემდეგ ბერთან მივიდნენ, დაუჩოქეს, ფეხებზე ეხვეოდნენ და დახრჩობისაგან გადარჩენისთვის მადლობდნენ.

ამ სტუმრობამ მამა ილარიონში იმდენად დიდი სულიერი ბრძოლა გამოიწვია, რომ გადაწყვიტა განდეგილობაზე ხელი აეღო. ეშმაკები მოსვენებას არ აძლევდნენ და განუწყვეტლად ჩასჩინებდნენ: "აი, შენ წმიდანი ხარ, უკვე სასწაულმოქმედი ხარ..." აღძრული ზრახვების დასამშვიდებლად მამა ილარიონმა მამა გერასიმეს სთხოვა, ყველა მამისთვის გამოეცხადებინა, რომ ის ხიბლშია და მის მაგივრად ფსკვნილით ელოცათ. ეს შეასრულეს, მაგრამ რაკი ბრძოლა არ დამთავრდა, მამა ილარიონმა მამა გერასიმეს სთხოვა, მისთვის ხელები შეეკრათ, სენაკებში შეშლილივით ჩამოეტარებინათ და მამებისთვის ლოცვა გამოეთხოვათ. ამ უკანასკნელის შესრულებაზე მამა გერასიმე არ დათანხმდა.

ერთხელ სავანეში მლოცველთა ჯგუფი მოვიდა. მათ დიდი წყალობა გაიღეს, და დაუუდებულის ამბავი რომ შეიტყეს, ნახვა ისურვეს. მაგრამ რახან ბერი არავის იკარებდა, ისინიც არ შეუშვეს. მლოცველებმა ცოცხალი კიბის გაკეთება გადაწყვიტეს. ერთმანეთზე შედგნენ, რომ როგორმე სარკმელს მიწვდომოდნენ და კურთხევა გამოეთხოვათ. მამა ილარიონმა დაინახა და შეძრწუნდა, რადგან სარკმელი ძალიან მაღლა იყო და ეს ამბავი შეიძლება ცუდად დამთავრებულიყო. ბერს ძლიერი სულიერი ბრძოლა დაეწყო. ერთი აზრი ეუბნებოდა, კარი გაეღო, უგუნურთა სიკვდილის მიზეზი რომ არ გამხდარიყო. მეორე კი პირიქით, უკრძალავდა ერთხელ მიღებული წესის დარღვევას და ამართლებდა. მათ ჩანაფიქრში ბრალი არ მიგიძღვისო. რამდენიმე წუთის განმავლობაში სული უშფოთავდა, არ იცოდა, საით გადახრილიყო. საბოლოოდ, მოუვასის სიყვარულით დამარცხებულს შეეშინდა მათი სიკვდილის მიზეზი არ გამხდარიყო. მსწრაფლ გააღო კარი, გამოვიდა და მიიმალა.

მიღებული წესის დარღვევა აიძულებდა უკან აღარ დაბრუნებულიყო. ამ ეჭვის გასაფანტავად სავანის მოძღვარს, მამა ლეონტის მიმართა და აზრები გაანდო. მან დაამშვიდა და დაითანხმა დაუუდებიდან ეს გამოსვლა ცხოვრების წესის დიდ დარღვევად არ ჩაეთვალა. ურჩია დაბრუნებულიყო. რაც ბერმა აღასრულა და ცოტა ხნით კიდევ დარჩა გოდოლში. დემონებმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და ჩაუსაფრდნენ. მლოცველთა სახით ერთმანეთის მიყოლებით ძვრებოდნენ სარკმელში. ბერს ეუბნებოდნენ, ამას

იმიტომ ვშვრებით, რომ შიგნით არავის უშვებ. ჩვენ კი თანამემამულის ნახვა ძალიან გვწადიან. მამა ილარიონს ნამდვილი მლოცველები ეგონა და საუბარი გაუბა. დემონებსაც ეს უნდოდათ. ხალხისა და ეკლესიის უბედურებაზე გრძელი საუბარი წამოიწყეს. ბოლოს კი ისე სცემეს, რომ ორი თვე ხმის ამოუღებლად იწვა. ამავე დროს ხიბლში ჩასაგდებად წარმოსახვა მოუვლინეს. თითქოს ეზოში ბოლო სარკმელამდე თოვლი მოვიდა და მნახველები თავისუფლად შედიოდნენ გოდოლში. ხმა ჩასძახოდა: "გადი, გადი აქედან ჩქარა!" მაგრამ მამა ილარიონმა ხმამაღლა უპასუხა, მოვკვდები და აქედან არ წავალო, და ეშმაკები ამ სიტყვების გაგონებაზე გაქრნენ.

განდეგილობის მესამე წელს. საიდანღაც მღვდელმთავარი მოვიდა და სულიერ სარგებელზე მოისურვა საუბარი. ბერების დიდი ხვეწნის მიუხედავად მამა ილარიონმა არ მიიღო იგი. ამით შეურაცხყოფილმა ეპისკოპოსმა ხმამაღლა თქვა: "ფრთხილად, მესვეტეე. ამგვარი დაყუდებით ამპარტავნებაში არ ჩავარდე. შენ არაფრად ჩააგდე მღვდელმთავარი, რომელიც ცნობისმოყვარეობამ კი არა, სულიერმა სარგებელმა მოიყვანა შენთან. ამისთვის ღმერთი დაგსჯის!" მღვდელმთავრის წასვლის შემდეგ, წესის შესრულებისას, ციდან ცეცხლი გარდამოვიდა და დაწვა მამა ილარიონი. ამასთან თითქოს ჰკუაზე აღარ იყო. ასეთი ძლიერი იყო მღვდელმთავრის სიტყვა. ღმერთმა ეს მამა ილარიონისა და მის გამოცდილ სიტყვას მოწყურებულთა სასარგებლოდ მოიმოქმედა, რადგან ძველი ავადმყოფობის გამო გოდოლში დარჩენა, სულ ერთია, აღარ შეეძლო.

განდეგილობაში ყოფნის სულ ბოლო ხანს მან ეშმაკების ურიცხვი ურდო იხილა, რომლებიც წმიდა პავლეს ქვიშებიდან ნახევარი საათის სავალზე უწყვეტ ნაკადად მისკენ მიედინებოდნენ. ღვთის დაშვებით, ანტონი დიდის, აბრაამისა და სხვათა მსგავსად ბერსაც ისე სცემეს, რომ სიკვდილს ძლივს გადაურჩა. სამი დღის შემდეგ მამა გერასიმემ საჭმელი მიუტანა და ცოცხალ-მკვდარი რომ იხილა, სხვებსაც დაუძახა. ბერი უახლოეს სენაკში გადაიყვანეს და საერთო ძალით გონს მოიყვანეს. როცა მამა ილარიონმა თვალი გაახილა, ცდუნების ამბავი უამბო და სთხოვა კვლავ გოდოლში დაებრუნებინათ. მაგრამ სავანის ძმებმა აუკრძალეს. მეგობარ მამა ბენედიქტეს დაუძახეს და სთხოვეს, მამა ილარიონის მდგომარეობაში გარკვეულიყო. საუბრის შემდეგ მამა ბენედიქტემ გამოაცხადა, მისთვის განდეგილობაში ცხოვრება აღარ შეიძლებაო და ყველა ერთსულოვანად დაეთანხმა. მამა ილარიონმა გაითვალისწინა საერთო აზრი და დამორჩილება გადაწყვიტა. იგი წმ. ხარლამპის სენაკში მოათავ-

სეს, სადაც თვალყურს მამა ბენედიქტე ადევნებდა. და მალე გამოჯანმრთელებაც იწყო. ზურგი დემონების ნაგვემი ჰქონდა. ლოგინში ორი თვე იწვა და მთელი სხეულით იტანჯებოდა. მისი სულიერი მდგომარეობაც საფრთხეში იყო.

მოსაგრეობაში გამოცდილმა მამა ბენედიქტემ სენაკში გადაადგილების გარდა მკაცრად იწყო მამა ილარიონის ნების დათრგუნვა ყველაფერში. აიძულა ეჭამა კარაქი, თევზი და ყველი. მამა ილარიონი იმდენად ბრძენი და მორჩილი იყო, რომ მეგობრის კეთილგონიერების რწმენით ყველაფერს უსიტყვოდ ასრულებდა.

გამოჯანმრთელებული მამა ილარიონი დიონისეს მონასტერში წმ. იაკობ მოციქულის სენაკში გადაიყვანეს, სადაც ცოტა ხანს დაჰყო. გოდოლიდან გამოყოლილი რევმატიზმი თავს ახსენებდა, რაც ძლიერ სტანჯავდა. გარდა ამისა, ძმათა შორის ზიარების საიდუმლოს თაობაზე აზრთა სხვაობა ზნეობრივ ტკივილს აყენებდა. ერთნი ამტიკიცებდნენ, ძმებმა კვირაში ერთხელ მიიღონ წმიდა ზიარებაო, მეორენი - თვეში ერთხელ ამბობდნენ, სხვები კი სხვანაირად. ამის გამო განხეთქილება იშვა და ყველა ცდილობდა მამა ილარიონი თავის მხარეს გადაებირებინა. ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ბერის მშვიდობისმოყვარე სულზე და ორი თვის შემდეგ ივერიის მონასტერში გადავიდა.

ივერში დასახლება და მოწაფეთა მიღება

ივერში მამა ილარიონი ავადმყოფი დასახლდა. მაგრამ, როგორც კი ოდნავ მომჯობინდა, იქაურ ქართულ წიგნთსაცავს მიხედა. შეადგინა კატალოგი. შემდეგ წიგნებიდან და ხელნაწერებიდან ამონაწერები გააკეთა, რაც თორმეტ ტომად მოამზადა, სათაურით "ყვავილნარი". წიგნებში, ძირითადად, წმიდანთა ცხოვრება იყო აღწერილი. ეს კრებული გადაეცა ზოგრაფის იღუმენს, რომელიც რუსეთში მიემგზავრებოდა. მან გამოსცა თორმეტივე ტომი ქართულ ენაზე "ყვავილნარის" შემდგენლის მიუთითებლად.

ივერში მამა ილარიონმა ექვს თვეს დაჰყო და მთელი ეს დრო მდუმარეში გაატარა. მომჯობინებული წმიდა ნათლისმცემლის სავანეში გადავიდა, სადაც მისი თანამემამულე ქართველი ბერები აქ ჯერ კიდევ VIII საუკუნიდან ცხოვრობდნენ და ტაძრის ახლოს პატარა ქოხში დასახლდა. კითხვაზე, თუ რატომ მიატოვა გოდოლი და სავანეში გადავიდა, ბერი პასუხობდა: "აქ ჭეშმარიტი მყუდროება ვპოვე, რადგან ყველა მომსვლელს

ლავრის მოძღვართან ვგზავნი. აქ ჩემი ცოდვების მოსანანიებლად მოვედი და არა მოძღვრად". ასე უფრთხილდებოდა მუუდროებას, გონებრივი მუშაობით დაკავებულთა აუცილებელ თანამგზავრს.

იმის მიუხედავად, რომ ბერი არავის უშვებდა თავისთან და სენაკის კარი მუდამ ჩარაზული ჰქონდა, ხალხი ძველებურად მიდიოდა მასთან. შემდეგ გადაწყვიტა დაეტოვებინა ეს ადგილი და წმ. მთავარანგელოზთა სენაკში გადასულიყო, რომელიც მონასტერმა საკუთრივ მას აუშენა.

აქ მამა ილარიონთან ორი ძმა მოვიდა და სთხოვა მიეღო. ათონზე დასახლების შემდეგ ისინი მოწაფეებად დაუდგნენ ერთ ბერს, რომელიც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა და მათ დიდი სანაკი დაუტოვა მიწის ნაკვეთითურთ. უმოძღვროდ დარჩენილები მიხვდნენ, რომ სულიერი ხელმძღვანელობის გარეშე ცხოვრება არ შეიძლებოდა. მაშინ უფროსი ძმა მაკარი ივერიის მონასტერში დასახლდა, სადაც იგი მიიწვიეს, როგორც კარგი კალიგრაფი. უმცროსი, საბა, კი სენაკში მარტო დარჩა და თავისთვის გამოცდილი ბერის ძებნას შეუდგა. რაკი მამა ილარიონის დიდების ამბავი მთელ ათონს მოედო, საბამ მასთან მისვლა გადაწყვიტა.

საბამ ბერი დაკონკილ, ჭუჭყიან სამოსელში იხილა. კუნკულიც ასეთივე ჰქონდა, ხოლო თმა და წვერი აბურძგნილი. მიღებაზე მტკიცე უარი განუცხადა და უთხრა, შენთან ცხოვრება არ შემიძლიაო, მაგრამ დიდი მუდარის შემდეგ მიუგო: "თუ ჩემთან დარჩენა გსურს, ასეთი წესები უნდა დაიცვა: არავის არაფერი გამოართვა, ფული არ იქონიო, სიცოცხლის ბოლომდე მშრალი საჭმლით უნდა იმარხულო, დღისითა და ღამით ილოცო". საბა ყველაფერს დათანხმდა და მასთან დასახლდა.

მალე მაკარმაც გამოთქვა ბერთან ცხოვრების სურვილი. ივერის პროესტოსები მის დატოვებას ცდილობდნენ. სასწავლებლად აკადემიაში გაგზავნას ჰპირდებოდნენ, მაგრამ ვერ მოხიბლეს. მაკარს გადარჩენისათვის ღვთის სამსახური სურდა. ექვსი თვის შემდეგ მამა ილარიონმა ისიც მიიღო.

მაკარი ძალზე მტკიცე ნებისყოფისა იყო. მამა ილარიონის მითითებით ყველანაირ ღვაწლს აღასრულებდა, თან ბევრისთვის მიუღწეველი თავდადებით გამოირჩეოდა. სრულ მორჩილებას მინდობილი, თავის ნებას ყველაფერში თრგუნავდა. განუწყვეტელი ღვაწლით ძალზე მალე, რვა წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი აღსასრული მამა ილარიონის ღრმა სიბრძნეზე მეტყველებდა, რომელმაც ასე სწრაფად აზიარა მაღალ სულიერ მწვერვალებს. საბა ბევრ რამეს საკუთარი ნებით აკეთებდა. რახან მიიღო, მამა ილარიონს მისი გაგდება არ სურდა, მამობრივი რჩევითა და მოთმი-

ნებით ცდილობდა გამოუცდელი ახალგაზრდის სულიერ სრულყოფას. ცდუნებებით გართულმა საბამ რამდენჯერმე ისურვა კერასაზე ბერ ჰაჯი-გიორგისთან გადასვლა. ერთხელ მივიდა კიდეც. მიუხვდა რა სურვილსა და ცდუნებებს, ბერმა ჰკითხა: "შეასრულებ, რასაც გიბრძანებენ?". გართობისა და თავისუფალი ცხოვრების იმედით საბა დათანხმდა და ბერს მიებარა. მაგრამ ჰაჯი-გიორგიმ თავისი სენაკის გვერდით დიდი ქვის ქვეშ წარმოქმნილ გამოქვაბულში დაასახლა და კითხვა გაუმეორა, დაუჯერებდა თუ არა ყველაფერში. მან მტკიცედ დაუდასტურა. შემდეგ ბერმა წესი გააცნო, უთხრა, რომ საჭმელს თავად მიუტანდა და კერძოდ იმას, რასაც თვითონ ჭამდა.

რაღაც დროის განმავლობაში საბა სიტყვაზე იდგა და იღებდა საჭმელს, რომელსაც ბერი უზიდავდა, მაგრამ ასეთ აკრძალვებს დიდხანს ვერ ვაუძლო, რადგან მამა ჰაჯი-გიორგი მხოლოდ ერთი სახის უხეშ და მწარე ბალახს აძლევდა საჭმელად. საბამ უნებართვოდ იწყო წმ. ანას მონასტერში გაპარვა, სადაც პურსა და ორცხობილას იპარავდა, ხოლო ბერის არყოფნისას საერთოდ გამოდიოდა გამოქვაბულიდან და, პატიმრობიდან განთავისუფლებული ტუსაღივით ზოგიერთ ახალგაზრდა ძმასთან ერთად ბავშვური თამაშებით ერთობოდა.

ეს რომ შეიტყო, ჰაჯი-გიორგიმ ურჩობისა და თავქარიანობისათვის დატუქსა, თან დასძინა, აუტანელი საჭმელი იგივეა, რასაც მე თვითონ ვჭამ ყოველდღეო. თვითნებობისათვის დასასჯელად უთხრა, თუ ჩემთან ცხოვრება გსურს, დიდ კასრში უნდა ჩაჯდე და მანამდე იყო, სანამ შენს გულწრფელ მორჩილებაში არ დავრწმუნდებიო, თუ არ დამთანხმდები, აქ აღარ გაგაჩერებ.

საბამ დანაშაული იგრძნო, დათანხმდა და იმ კასრში ჩაჯდა, რომელზეც ბერმა მიუთითა. კასრი ძლიერ დიდი და ფართო იყო. აქ მას შეეძლო თავისი წესის შესრულება, მუხლმოდრეკა და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა. ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჭრილი იყო გაკეთებული.

მამა ჰაჯი-გიორგის მიზანი საბას გამოსწორება იყო. სურდა დაუუდებისათვის ვერ გაეძლო და მამა ილარიონს დაბრუნებოდა. ერთხელ ბერი საბასთან მივიდა და უთხრა, მამა ილარიონის სიკვდილის ამბავი შევიტყეო. საბა ატირდა, სახეში იცემდა, წამოსვლის გამო თავს მწარედ ტუქსავდა და ამბობდა, არ გავალ ამ კასრიდან. აქ მოვკვდებიო. შემდეგ ბერს თხოვნა დაუწყო, ელოცა, რათა ღმერთს მკვდრეთით აღედგინა მამა ილარიონი. როცა ჰაჯი-გიორგიმ საბას სინანული შენიშნა, ჰკითხა, დაუ-

ჯერებდა მამა ილარიონს, თუ ის გაცოცხლდებოდა. საბამ ტირილით წარმოთქვა. კუბოს ფიცრამდე ერთგული ვიქნები, ოღონდ ის გაცოცხლდეს. ვის წინაშეც ასე დამნაშავედ ვგრძნობ თავსო. ბერი დაპირდა, ვილოცებო.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა ილარიონთან ერთად წავიდნენ. საბას სწრაფად სურდა გაეგო. ცოცხალი იყო თუ არა მამა ილარიონი. მოუთმენლობით სულ წინ გარბოდა და ბოლოს თვალს მიეფარა. მოსაღამოვდა. საბამ შორიდან ბერის სენაკში ცეცხლი შენიშნა. მიხვდა. ცოცხალი იყო. სირბილით გაექანა სენაკისკენ და კარზე კაკუნი დაიწყო. მამა ილარიონმა იკითხა, ვინ არისო. საბამ კი უპასუხა: "ძაღლი". მოწაფის ხმის გაგონებაზე ბერმა თქვა: "მე ძაღლის მეშინია, მეშინია არ დამკბინოს". "მე შენი მოწაფე ვარ", საცოდავად წარმოთქვა საბამ. "მოწაფე ძაღლი მე არა მყავს". უპასუხა მამა ილარიონმა და დადუმდა. საბამ ხვეწნა დაუწყო კარი გაეღო და უძღები შვილივით მიეღო. რადგან უველაფერს ინანიებდა და პატიებას ითხოვდა. ბერმა გასძახა: "სანამ ჰაჯი-გიორგი არ მოვა, ვერ შემოგიშვებ".

როცა ჰაჯი-გიორგიც გამოჩნდა. მამა ილარიონი გამოვიდა, თაყვანი სცა, ანაფორა გაიხადა, მიაწოდა. თვითონ მისი ანაფორა ჩაიცვა და ორივე სენაკში შეიყვანა. ბერ გიორგის მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ასეთი მოქმედების მიზეზი ჰკითხა. მამა ილარიონმა უპასუხა, რაკი მოწაფის გამოსწორება და ხიბლისგან ხსნა ვერ შევძელი, შენ კი კარგად გაუძეხ ამ საქმეს, ჩემს ანაფორას გაძლევ და მოძღვრად გღებულობო. "დიდ მადლობას გიხდი, რადგან საბა სრულებით არ მიჯერებდა. ვერ შევძელი მისი ხსნის გზაზე დაყენება და თავი მივანებე, სადაც სურდა იქ წასულიყო. მაგრამ შენ ის ღმერთს შესძინე. მოათვინიერე და ახლა ვხედავ, რა დიდი მადლის პატრონი ხარ". ამ სიტყვებზე ისინი დასხდნენ. საბამ მორჩილებისა და სინანულის ნიშნად მათთვის ფეხების დაბანა განიზრახა. მაგრამ ჰაჯი-გიორგიმ ნება არ დართო. შემდეგ მამა ილარიონი საბას მიუბრუნდა და ჰკითხა: "რა გინდა ჩემგან? მე ჯერ არ მოვმკვდარვარ". "მხოლოდ ერთი რამ. შენი მორჩილი ვიყო უველგან და უველაფერში". უპასუხა მან. ბერმა შეხედა და ჰკითხა: "რასაც გეტყვი შეასრულებ?". საბამ კვერი დაუკრა. მამა ილარიონმა განაგრძო: "შენს სიტყვებს აღარ ვენდობი. მომიყვანე თავდები, რომ დამიჯერო". "ქრისტეა მოწამე". შესძახა საბამ და ხატზე მიუთითა. "რაკი ქრისტე გეყავს მოწმედ, - შენიშნა ბერმა, - წახვალ და კვლავ მამა გიორგისთან იმუშავებ". საბაც ხვეწნა დაუწყო, არ გამაგდოო, თან ამბობდა, იქ ცხოვრება აღარ შემიძლია, ჰაჯი-გიორგი კვლავ კასრში ჩამსვამს და მაშინ რაღა უნდა ვქნაო. მაგრამ მამა ილარიონი შეუვალი იყო. მამა გიორგის უთხრა, საბა უკან წაეყვანა. მამა გიორგი

ბერის პატივისცემით დათანხმდა. მაგრამ იმ პირობით, რომ საბა იგივეს შეჭამდა, ორცხობილას არ მოიპარავდა და მისი არყოფნისას ახალგაზრდა ბერებთან თავს თამაშის უფლებას არ მისცემდა. ბერმა ილარიონმა საბას უთხრა: "არა გრცხვენია? მამა გიორგი ნიადაგ იღვწის. მძიმე სამუშაოს ასრულებს და ამ საჭმელს ჭამს. შენ კი არაფერს აკეთებ, თან არ გსურს იგივე მიირთვა. ხომ იცი თავისუფალ მოპყრობას ადამიანი უტიფრობამდე მიჰყავს, უტიფრობა კი ყოველნაირი სიბილწის დედაა". მისცა შეგონება, ყველაფერი მამა გიორგისათვის დაეჭერებინა, და გაისტუმრა.

ჰაჯი-გიორგიმ წინანდელ გამოქვაბულში მოათავსა და ლოცვის წესის გასასწორებლად მითითება მისცა. საჭმელს ძველებურად უზიდავდა, იმას, რასაც თვითონ ჭამდა - მწარე ბალახს.

ამჯერად საბას დიდხანს აღარ უცხოვრია ჰაჯი-გიორგისთან, რადგან მისი ძმა მაკარი მეტისმეტი ღვაწლით სწრაფი ჭლექით დაავადდა და ძლიერ იტანჯებოდა. მამა ილარიონმა მამა გიორგის მისწერა, ავადმყოფის მოსავლელად ვინმე გამოგზავნეო. წერილში საბას არ ახსენებდა. მაგრამ სწორედ საბა გაუგზავნეს. ჰაჯი-გიორგისთან ბოლოს გატარებული დროის განმავლობაში იმდენი რამ გადაიტანა, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდა.

მამა ილარიონთან საბას მისვლის მეათე დღეს მაკარი გარდაიცვალა. აღსასრული ნეტარი ჰქონდა. სიკვდილის წინ სახე საოცარი სინათლით გაუბრწყინდა, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობდა. მარტო სენაკი კი არა, მთელი არემარე გაანათა და ყველამ დაინახა. ვინც კი მამა ილარიონის სენაკთან იყრიდა თავს. სიხარულით გაბრწყინებული მომაკვდავი მაკარი ამბობდა: "ანგელოზები მოვიდნენ. შემდეგ ღირსნი მამანი, მოწამენი, აღმსარებელნი, განმანათლებელნი, და წინასწარმეტყველნი. აი, თვით ღვთისმშობელიც!" ყველა ცახცახებდა. ისეთი შუქი იყო, რომ თვალი მის სიკაშკაშეს ვერ უძლებდა, როცა მომაკვდავმა თქვა: "აი თვით ჩვენი მეუფე იესო ქრისტე!". ყველანი მოწიწებული შიშით ძირს დაემხნენ. მაკარმა ბერს უთხრა: "შემოდი და დამლოცე, მამაო, მე მივყავარ აქედან". ამ სიტყვებით მისი სული ცაში აიჭრა და შუქი, რომელიც მთელ უდაბნოს ანათებდა, თანდათან ჩაქრა. ყველას უკვირდა. ღმერთს ადიდებდნენ, რადგან ასეთი წყალობა მოჰმადლა მონასა თვისსა, რომელმაც ჭეშმარიტი მორჩილებითა და თავისი ნების დათრგუნვით ღვთის გული მოიგო.

მამა მაკარის დამარხვის შემდეგ მამა ილარიონმა საბას მოუხმო და უთხრა, შენი დატოვება არ შემიძლია და სადაც გინდა იქ წადიო. საბას თხოვნის მიუხედავად, მტკიცედ დარჩა თავის ნათქვამზე. საბა ჰაჯი-გიორგის მიუბრუნდა, მაგრამ მან უთხრა, შენს დაუდევრობასა და სისუსტეს

ველარ შევეგუებიო, და მამა ილარიონთან ურჩია წასვლა. დიდი ხვეწნისა და მამა გიორგის მტკიცე უარის შემდეგ საბა კვლავ მამა ილარიონთან მივიდა. გზად ჯორს აღვირი მოხსნა და ზედ ჩამოიცვა. ასე აკაზმული მიადგა ბერს. მისი პირველი სიტყვები იყო: "როგორც გსურს ისე მმართე, ჩემი თავი ჯორივით შენს განკარგულებაშია". ბერმა მიიღო. მალე ჰაჯი-გიორგიც მოვიდა, საბაზე მიუთითა და იკითხა: "დასჯილია?". მამა ილარიონი თითქოს იცავსო, შეეკამათა: "არა, ახლა ლაგამი აქვს ამოდებული, მე ვმართავ, ის კი მიჯერებს". ამის შემდეგ ჭირთა დათმენისათვის საბას ქებას მიჰყვა და თქვა: "მას ახლა დიაკვნობას ვუბოძებთ". "არა, - შეედავა მამა გიორგი, ჯერ ადრეა, ადრე. ჯერ კიდევ დიდი სულელია, დიდი". ბევრი საუბრის შემდეგ, მესამე დღეს იეროდიაკვნად აკურთხეს. ცოტა ხანში კი მღვდელმონაზვნად დაასხეს ხელი. აღნიშნული ხარისხის მინიჭება ბერს მაკარისათვის სურდა, მაგრამ მისი სიკვდილისა და საბას გულწრფელი სინანულის გამო გადაწყვიტა უკანასკნელისათვის ებოძებინა, თანაც შემდეგი ვალდებულებები დააკისრა: ყოველდღე წირვა ჩაეტარებინა და მთელი სამყაროსათვის ელოცა.

ივერსა და დიონისეს მონასტერში ცხოვრება

დავუბრუნდეთ იმ დროს, როცა მამა ილარიონი ივერის მონასტრის მახლობლად წმიდა მთავარანგელოზთა სენაკში დასახლდა. აქ მას განსასვენებლის პოვნა სურდა, მაგრამ მნახველებმა აქაც არ მოასვენეს. მამა ილარიონი მათ გაურბოდა და მამა ბენედიქტეს ესტუმრებოდა ხოლმე, რომელიც წმიდა წინასწარმეტყველ ელიას სენაკში ცხოვრობდა. აქ იღებდა წმიდა ზიარებას და ხუთი-ათი დღე ყოვნდებოდა. სამუდამოდ დარჩენა არ სურდა და ეუბნებოდა, შენც ქართველი ხარ და მეც, ამიტომ ფუჭსიტყვაობას მივეცემითო. ეს სტუმრობანი მამა ბენედიქტესაც ავიწროებდა, რადგან მამა ილარიონს თავისთან რომ ვერ პოულობდნენ მნახველები, მას აკითხავდნენ, რის გამოც მამა ილარიონი დიონისეს მონასტერში წმ. მოციქულ იაკობის სენაკში გადავიდა. საამისოდ სხვა მიზეზიც იყო: როცა მასთან მაკარი და საბა დასახლდნენ, ბერი ყოველდღე წირავდა. სეფისკვერებს კი მონასტერში იღებდა. სეფისკვერში მამა ილარიონი ხშირად პოულობდა თაგვის ცურცლს. სიწმიდეთა წაბილწვის გამო პროესტოსებს სამჯერ უსაყვედურა, მით უმეტეს, რომ საჭმელად ისინი ყოველთვის წმინდა პურს იყენებდნენ. მაგრამ, დაინახა რა რომ მის შეგონებას ყური არ ათხოვეს, კიდევ ერთხელ მკაცრად ამხილა ისინი, დატოვა წმ. მთავარანგელოზთა სენაკი და დიონისეს მონასტრის ახლოს წმ. მოციქულ

იაკობის სენაკში გადასახლდა. ეს მოხდა 1843 წელს და აქ მოწაფესთან ერთად 1857 წლამდე დაჰყო. აქვე აღესრულა მისი მოწაფე მაკარი.

ახალ სენაკში მცხოვრებმა ბერმა, დიდი თხოვნის მიუხედავად მოძღვრის წოდებაზე უარი თქვა, მაგრამ აქ დაიწყო სულიერი რჩევისათვის მომსვლელთა მიღება. კითხვაზე მათი პასუხი რჩევას ჰგავდა, თუმც ყველა მომსვლელი მოძღვარივით მიმართავდა, მაგრამ ხუთი კაცის გარდა შენდობის ლოცვებს არავის უკითხავდა. ამ ხუთ კაცსაც მნიშვნელოვანი მიზეზების გამო სხვადასხვა დროს წაუკითხა ლოცვები.

სულიერი რჩევისათვის ყველა მხრიდან მოედინებოდნენ და მას მოძღვართა მოძღვარს უწოდებდნენ. ამქვეყნიური დიდებით აღსავსე ადრინდელ ცხოვრებასთან შედარებით, ჭეშმარიტი აღმსარებლობით, უდაბნოსა და განდეგილობაში დიდი ღვაწლით გაცისკროვნებული ახლანდელი ცხოვრების გამო, წმიდა მთის მამებმა ისეთ მაღალ სულიერ საფეხურზე დააყენეს, რომ ერთ-ერთ უხუცესს ეძახდნენ და ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისი სიტყვა ძლიერი და მიუკერძოებელი იყო. ხანდახან მომავალზე წინასწარმეტყველურად საუბრობდა და მისი სიტყვები ყოველთვის მართლდებოდა. საბოლოოდ ქალაქზე მცხოვრები, ათონზე სახელგანთქმული მოღვაწე ევსტათი ამბობდა. მამა ილარიონმა ნეტარი თეოფანეს "ფილოკალიაში" (მშვენიერის, ამაღლებულის სიყვარული) აღწერილი ნეტარების ათივე საფეხური გაიარაო.

დიონისეს მონასტერში ყოფნისას ბერი უპირატესად წმიდა მოციქულ იაკობის სენაკში ცხოვრობდა, რომელიც მონასტრიდან ნახევარი საათის სავალზე, მთის ფერდობზე იყო. აქ მას გაციება გაურთულდა. არცთუ იშვიათად მოშორებით მდებარე წმ. ონოფრეს სენაკში განმარტოვდებოდა ხოლმე.

1849 წელს მამა ილარიონი რუსმა მწერალმა და წმიდა ადგილებში მოგზაურმა ანდრია მურავიოვმა მოინახულა. ამ შეხვედრის გამო იგი წერდა: "ბერი ძნელი მოსახელთებელია. მაგრამ მეორე ქართველმა მოღვაწემ, ბენედიქტემ, რომელიც ივერიის მონასტერში ვინახულე, დამავალა მისი თვისტომისა და მეგობრის სახელით დამეკაკუნებინა განდეგილის კარზე". შემდეგ ასე განაგრძობს მოგზაური თხრობას: "ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, მამა ილარიონი ძლიერ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. სახით ფეროვანი იყო, მაგრამ თმისა და წვერის სიყვითლე

ამზეურებდა წლებს. თითქოს თავის ამაღლებულ ბუდეში არწივის სიხალისით განახლებულაო. როცა გაიგო საიდან ვიყავი, რუსეთის ამბები გამომკითხა. რისთვის მოხვედით ჩემს უდაბნოშიო. ოხვრით წარმოთქვა ბერმა. ჩემი ცოდვებისათვის. თუ ცოტაა ქვეყნად ჩემნაირი უსაქმური? რაც მე მინახავს და ვიცი. დიდი ხანია დავიწყებულიაო. ვცხოვრობ ამ მიყრუებულ ადგილას. სანამ ღმერთი მიტანს. თუმცა თქვენი მორჩილებისთვის სასარგებლოა წმიდა სავანეების მონახულება, რადგან კეთილი მიზნებით საქმიანობა ყოველთვის სასარგებლოაო.

მე მსურდა შეხვედრის სამახსოვროდ მისი დალოცვის რაიმე თვალსაჩინო ნიშანი მიმეღო. მამა ილარიონი თავის ეკლესიაში შევიდა და იქიდან ეგრეთ წოდებული იმერული შავი ქარვის ფსკვნილი გამოიტანა.თუ ჩემი, ულიოსის ლოცვა-კურთხევა გსურს, დაე, ეს მუდამ თან გდევდესო. მითხრა ბერმა და მშვიდობით გამომისტუმრა".

დიონისეს მონასტერში ერთი მებოსტნე ბერი ცხოვრობდა, რომელსაც ხსნის იმედი დაჰკარგოდა და სასოწარკვეთაში ჩავარდნილიყო. ერთხელ მამა ილარიონმა საბა გაგზავნა მონასტერში რაღაც საქმეზე. გზად მებოსტნესთან შეიარა. მებოსტნე კი გასამგზავრებლად ემზადებოდა. სურდა საერთოდ დაეტოვებინა ათონი. მამა საბას კითხვაზე, რა მიზეზით მიდიოდა, უპასუხა, ხსნის იმედდაკარგული ტყუილად ვეწევი ბერობის უღელსო. ამიტომ სჯობს ამ ცხოვრებაში მაინც ვიცხოვრო უდრტვინველად, და ერში დაბრუნება გადავწყვიტეო.

მამა საბამ ნუგეში სცა, ურჩია, ღვთის ნებას მინდობოდა და სასოწარკვეთას არ მისცემოდა. მებოსტნეს თავიდან გაგონებაც არ სურდა. მაგრამ შემდეგ იმ აზრისკენ გადაიხარა, რომ საბა მართალი იყო და ბოლოს სამუდამოდ დარჩენაზე იმ პირობით დათანხმდა, თუ საბა იტვირთებდა მის ცოდვებს. საბა დათანხმდა და ბელი ხელს დაჰკრეს.

დაბრუნებისას მამა საბას ეშმაკმა დაუწყო ცდუნება. რომ მას საკუთარი ძალებით არ უტვირთია ძმის ცოდვები. და სასოწარკვეთამდე მიიყვანა. გული ეუბნებოდა. ბერი აღარ ენახა და სადმე სხვაგან წასულიყო. ამ დროს მამა ილარიონმა სულით იგრძნო. მოწაფე საფრთხეშიაო. და ეშმაკის საწინააღმდეგო ლოცვით შეიჭურვა. მამა საბას იმწამსვე გონება მოუბრუნდა და ბერთან დაბრუნება გადაწყვიტა. თუმცა გულში სევდით. მამა ილარიონი გზაზე შემოხვდა: "რა მოგივიდა, ასეთი მხიარული წახვედი და დაღვრემილი ბრუნდები? ნუ გეშინია, უფალმა მთელი ამა სოფლის ცოდვა იტვირთა, ერთი კაცის გადარჩენას როგორ არ ინებებს?". ამ სიტყვებმა საბა საბოლოოდ დაამშვიდა.

სევასტოპოლის ომის დროინდელი ამბები

მამა საბას წერილი რუსიკის ბერს მამა დენასიოს:

"...1853 წელს ღვთისმოსავი იმპერატორის ნიკოლოზის დროს, აცხონოს ღმერთმა მისი სული უველა წმიდანთან ერთად ცათა სასუფეველში, საცა არს სამკვიდრო უფლის ჩვენის იესო ქრისტეს სახის ნათლისა და უველა დალხენილისა, ჩემს ნეტარ ბერთან, მღვდელსქიმმონაზონ ილარიონთან ერთად, დიონისეს მონასტრის ფარგლებში, გორაკზე მდუმარებაში ვიმყოფებოდით და წმ. იაკობ მოციქულის, ღვთის ძმის წმიდა ტაძარში ვასრულებდით ღვთისმსახურებას. მაშინ გაიმართა სევასტოპოლთან რუსებისა და თურქების, თავის მოკავშირე ერეტიკოსებთან ერთად, საშინელი ომი. როცა ამის შესახებ შევიტყეთ, გულითადად დავნაღვლიანდით, რადგან ჩემს მოხუცს ძლიერ უყვარდა რუსები და ბევრჯერ მსმენია, როგორ მადლობდა ღმერთს იმისთვის, რომ მისი ერი თურქებს ან ერეტიკოსებს კი არ დაუკავშირდა, არამედ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხელში მოხვდა.

როგორც კი გავიგეთ ამ საშინელი ომის შესახებ, ჩემმა ბერმა თქვა: "შვილო ჩემო, რადგან ჩვენი ძმები, ქრისტიანი რუსები ამჟამად ცეცხლსა და სისხლში იმყოფებიან, ჩვენ მსურვალედ, ცრემლით უნდა შევთხოვოთ ღმერთს, დააძლევინოს და დააშოშმინებინოს მტერი, რათა ამით განდიდდეს ყოვლადწმიდა სახელი უფლისა და რუსი ხალხი, კუთვნილება მისი. შენ კი, შვილო ჩემო, საბა, წირვის გარდა, რომელსაც ყოველ დღე ასრულებ და ღმერთს რუსთა შემწეობას სთხოვ, გაბარებ, დამატებით წაიკითხო მეფისა და წინასწარმეტყველი დავითის მთელი ფსალმუნი და აღასრულო მეტანია ჩვენი ძმების დასახმარებლად". მე ვუპასუხე: "შენი გულისათვის რასაც შევძლებ გავაკეთებ".

როცა წირვა დავიწყეთ, წარმოვთქვი: "კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა..." მან მიპასუხა: "ამინ" და დავიწყე მშვიდობიანი კვერექსი: "მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ". ბერმა ქართულად მიპასუხა: "უფალო შეგვიწყალენ". უფრო ნელა და დიდი სევდით.

მამა ილარიონმა დიდი ურვითა და ცრემლით, აპყრობილი ხელებით, ნელა წაიმღერა: "უფალო შეგვიწყალენ". მარჯვენას მკერდში იცემდა, იატაკს სამჯერ დაჰკრა თავი, თან ცრემლით ალტობდა. შემდეგ: "უკეთილშობილესი და ღვთისმოყვარე იმპერატორისა ჩვენისა ნიკოლოზისა და მეუღლისა, შთამომავალთა, სასუფეველისა და მხედრობისა მისისა"...

ბერმა მიპასუხა: "უფალო შეგვიწყალენ". მკერდში იცემდა, იატაკზე სახით ეცემოდა და თავს სამჯერ ურყამდა დიდი მოთქმით. "უწმიდესი სინოდისა და მთელი ღვთივდაცული რუსული სამეუფოსათვის..." ბერი ურვითა და ცრემლით მპასუხობდა: "უფალო შეგვიწყალენ".

როცა ამას ვწერ, გული მეკუმშება, ვტირივარ და წერა არ შემიძლია. იგივე მომდიოდა მრჩობლ კვერექსზე.

ამგვარად, ჩვენ ვასრულებდით წირვას ყოველ დღე. რაღაც დრო რომ გავიდა,ბერმა მითხრა: "წავიდეთ მონასტერში, ვკითხოთ აღუმენს, რა იციან ომის შესახებ, რუსები ამარცხებენ თუ არა მტერს?". როცა მონასტრში მივედით,იღუმენმა პროესტოსებთან ერთად ქაღალდი გვანახა, რომელიც კონსტანტინეპოლიდან პატრიარქს მღვდელმთავრისათვის გამოეტანებინა მღვდელმონაზვნებისათვის დასარიგებლად. პატრიარქი წერდა, რომ საღვთო წირვის დიდი გამოსვლისას შევედრებოდნენ უფალს, მიეცა თურქებისათვის ძალა, რათა დაემორჩილებინა რუსთა ჯარი ქვეშე ფერხთა მათთა. ამას თან ერთვოდა განსაკუთრებული ლოცვა, რომელიც ხმამაღლა უნდა წაეკითხათ.

იღუმენმა, ბერმა ევლოგიმ წაგვიკითხა ჩვენ ეს წერილი და თქვა: "გაიგე, რას გვწერს ჩვენი თავი, მამა ჩვენი?". ჩვენმა ბერმა შეძრწუნებულმა თქვა: "ის ქრისტიანი არ არის", და ნაღვლიანად ჰკითხა: "თქვენ წაიკითხეთ ეს მონასტერში წირვისას?". მაგრამ მათ უპასუხეს: "არა, ეს არ მოხდება". პატრიარქი კი სიგელში იმუქრებოდა, რომ მონასტერი, რომელიც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, მკაცრად დაისჯებოდა.

მეორე დღეს ჩვენს სენაკში დავბრუნდით, კიდევ ერთი კვირა გავიდა. გრიგოლის მონასტრიდან ზრახვების გასაზიარებლად ერთი ბერი მოვიდა. ჩემმა ბერმა ჰკითხა, მონასტერში გამოგზავნილი ლოცვა თუ წაიკითხეთო. მან უპასუხა, დიახ, წავიკითხეთ ლიტურგიის შემდეგ. მამა ილარიონმა უთხრა: "არ მოქცეულხართ კარგად, რომ წაგიკითხავთ. ამით წმიდა ნათლობის მადლი დაკარგეთ და თქვენს მონასტერსაც დაუკარგეთ ღვთის მადლი, ბრალი თქვენზეა".

დაბრუნდა ბერი და უთხრა თავის ბერებსა და იღუმენს, ჩვენ დავუკარგეთ მონასტერს მადლი და თავად წმიდა ნათლობის მადლი დავკარგეთ, ასე ამბობს მამა ილარიონიო.

ამავე დღეს წუალდიდობამ წისქვილი წაიღო და ბერებმა იღუმენს ბუზღუნი დაუწყეს. მონასტერი შენ დაანგრიეო. იღუმენმა დიდი სევდით სამჯერ დაიჩოქა მაცხოვრის ხატის წინ და შეჰღაღადა: "ღმერთო ჩვენო, იესო ქრისტე, მივდივარ მოძღვარ ილარიონთან ჩადენილის გამო აღსარე-

ბის სათქმელად და რა სასჯელსაც დამაკისრებს, შევასრულებ, რათა დარდით დამბლა არ დამეცეს".

წაიყვანა ერთი იეროდიაკონი, ერთი ბერი და წმ. მოციქულ იაკობის სენაკისაკენ გაემართა, სადაც მაშინ ვცხოვრობდით. როცა მოვიდნენ, ჩემი ბერი სენაკში არ დახვდათ. იღუმენმა და მგზავრებმა ბერი რომ დაინახეს, ძირს დაეცნენ და თქვეს: "დაგვლოცე წმიდა მოძღვარო". მაგრამ ჩემმა ბერმა იყვირა: "შორს, შორს ჩემგან, მე ერეტიკოსებს არ ვიღებ!". იღუმენმა შესთხოვა: "შეგცოდე, მოვედი, რათა სასჯელი დამადო". ბერი კი ამბობდა: "როგორ გაბედე, უბედურო, მუჰამედი ქრისტეზე მაღლა დაგეყენებინა? ღმერთი და მამა ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტესი ძეს ეუბნება: "დასჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქვეშე ფერხთა შენთა" (ფს. 109.1). შენ კი სთხოვ მას, ძე თვისი დაუმორჩილოს ქვეშე ფერხთა მტერთა მისთა?! მომწყდი თავიდან, არ მიგიღებ!". იღუმენი ცრემლის ღვრით შესთხოვდა აღსარებისათვის მიეღო და სასჯელი დაედო, მაგრამ ჩემმა ბერმა თქვა: "მე შენი მოძღვარი არა ვარ, წადი, იპოვე შენთვის მოძღვარი და იმან დაგადოს სასჯელი". დატოვა მტირალნი გარეთ, თვითონ სენაკში შევიდა და კარი ურდულით ჩაკეტა.

რა უნდა გვექნა? შევედით ჩემს სენაკში, მთელი ღამე ლოცვაში გავატარეთ, ღმერთს შევთხოვდით, მამა ილარიონს რისხვა წყალობით შეეცვალა და იღუმენისათვის სასჯელი დაედო. დილას ბერი ლიტურგიაზე ეკლესიაში მოვიდა. მოსულთათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს და წირვის დამთავრების შემდეგ თავის სენაკს მიაშურა. მათ მოუსვენრობა დაეტყოთ იმის შიშით, რომ იღუმენს დამბლა არ დასცემოდა. მთხოვეს, შევსულიყავი და მეთხოვა, იქნებ ჩემთვის დაეჯერებინა.

მივედი, ფეხებში ჩავუვარდი და ვთხოვე: "გაიღე მოწყალება და სასჯელი დაადე, იღუმენს შეიძლება დამბლამ დაჰკრას და სული ამოხდეს". მაშინ ბერმა მკითხა: "რა სასჯელი დავადო, მაღალი ღმერთი განრისხებულია მათზე, რით დავსაჯო, რომ ღმერთმა შეიწყალოს?".

მაშინ მე ვუთხარი ჩემს ბერს: "მამაო, მე ვკითხულობ ყოველდღე მეფე წინასწარმეტყველის დავითის ყველა ფსალმუნს. იქ ერთი ფსალმუნია ამ შემთხვევის შესაბამისი, 82-ე: "ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ? ნუ დასდუმდები, ნუცა დამშვიდნები, ღმერთო..." უბრძანე, წაიკითხონ ეს ფსალმუნი ლიტურგიისას, როცა ქერუბიმთა საგალობელი იგალობება დიდი გამოსვლისას, ის ბერმონაზონი, რომელიც პატრიაქის ლოცვას კითხულობდა, დადგეს ქორანდელის ქვეშ, როცა მღვდელი დიდი გამოსვლისას ბარძიმითა და ფეშხუმით ხელში საკურთხევლიდან გამოვა, წინ ერთი ბერი

წაუძღვეს ქარტიაზე დაწერილი 82-ე ფსალმუნით. ქორკანდელის ქვეშ მდგომმა ბერმონაზონმა წაიკითხოს მთელი ფსალმუნი, ხოლო მთელმა ძმობამ მეორიდან მეცხრე მუხლამდე მრავალჯერ გაიმეოროს "უფალო შეგვიწყალენ". სხვა მუხლების კითხვისას ყველამ თქვას: "ამინ". და მაშინ დაუბრუნდება მონასტერს მადლი.

ბერი ჩემს რჩევას დათანხმდა და მთხოვა, დამეძახა მათთვის, როცა მხიარულები შემოვიდნენ. ბერმა უთხრა: "ეს კანონი შეასრულეთ და ღვთის წყალობა დაგიბრუნდებათ!". როცა ეს მოისმინეს, შეწუხდნენ. პატრიარქის მიერ გამოგზავნილ ეგზარქოსს, რომელიც კარეაში (პატარა ქალაქია ათონზე, სადაც ყველა მონატრის წარმომადგენლობა და სამმართველო არის მოთავსებული) თვალყურს ადევნებდა პატრიარქის ბრძანების შესრულებას, ან თურქებს არ გაეგოთ და უბედურება არ დაეტეხათ მონასტრისათვის, არ იცოდნენ რა ექნათ.

ბერმა უთხრა: "თუ თქვენ ასე გეშინიათ, მიმყავს ჩემი მღვდელმონაზონი და მივდივარ მონასტერში. და თუ ეგზარქოსი ან თურქები შეიტყობენ, უთხარით მათ: "ერთმა ბერმა, ილარიონ ქართველმა დაგვიბარა და ჩვენც ასე მოვიქეცითო. გულს დარდი აღარ გექნებათ". მაშინ იღუმენმა თქვა: "მაძღვარო, თქვენთვის გული შეგვტკივა და ვდარდობთ, რადგან როცა ამას თურქები შეიტყობენ, მოვლენ, წაგიყვანენ, ტომარაში ჩაგსვამენ და ზღვაში დაგახრჩობენ". ჩემმა ბერმა უპასუხა: "ჩვენ მზად ვართ, დაე დაგვახრჩონ". შემდეგ ყველანი ნავით გრიგოლის მონასტრისკენ გავემართეთ. როცა მონასტრის ძმობამ დაგვინახა ძლიერ გაიხარა.

დილას იმ მღვდელმონაზონმა, რომელმაც პატრიარქის ლოცვა წაიკითხა, თვითონ წირა. ქერუბიმთა საგალობლის დროს აანთეს დიდი ქორკანდელი და როცა ყველა მამა მოგროვდა, საკურთხევლიდან მსახური გამოვიდა, წინ სანთელი და საცეცხლური მოუძღოდა, ხელში ბარძიმი და ფეშხუმი ეჭირა და წარმოთქვა: "ყველანი, ყველანი მოგიხსენოთ უფალმა ღმერთმა სასუფეველსა თვისსა". და დიდი ქორკანდელის ქვეშ გაჩერდა. მაშინ ერთი ბერი ქარტიით ხელში, რომელზეც 82-ე ფსალმუნი ეწერა, მღვდლის წინ გაჩერდა და მღვდელმა კითხვა დაიწყო: "სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა! ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ..." და ბოლომდე. მამები კი მეათე მუხლამდე ევედრებოდნენ "კირიე ელეისონ" შემდეგ კი ყველა ბევრჯერ იმეორებდა: "ამინ". და ყველამ იგრძნო, რომ კვლავ გარდამოვიდა მადლი ღვთისა. ბერები სიხარულით მეხვეოდნენ და მმადლობდნენ სიკეთისათვის. ყველა ადიდებდა და მადლობდა ღმერთს".

ამით მამა საბას წერილი მთავრდება.

ეს უველაფერი პატრიარქ ანთიმიზ VI-ის დროს მოხდა. ომის შემდეგ ის ხელმეორედ ჩამოაგდეს ტახტიდან (20.IX 1855). ამის შემდეგ ჩავიდა ათონზე და ისთიგმენის მონასტერში დასახლდა. სადაც ბერად აკურთხეს.

ერთხელ, 1856 წელს, რომელიღაც დღესასწაულზე პანტელეიმონის მონასტრის დათვალიერება მოისურვა. სადაც ამ დროს მამა ილარიონი იმყოფებოდა. წირვისას პატრიარქი საფარის ტაძარში მღვდელმთავრის კათედრაზე იდგა. მამა ილარიონმა მამა საბასთან ერთად ისე ჩაუარა გვერდით, რომ მხცოვანი პატრიარქისათვის ზედ არც კი შეუხედავს. ამ უკანასკნელმა კი ამაზე უცებ გაამახვილა ყურადღება. პატრიარქს გადასცეს გრიგოლის მონასტერში ლოცვის ამბავი. ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ წესისამებრ ყველა მიიპატიჟეს ორქონდარიკში. პატრიარქს სურდა რა თურქებისა და მამა ილარიონის წინაშე უხერხული მდგომარეობიდან თავი გამოეყვანა. გასული მოვლენების შესახებ დაიწყო ლაპარაკი და შეეცადა ის აზრი გაეტარებინა, რომ არის შემთხვევები, როცა ეკლესიისათვის ზრუნვა მთავრობის არც იმდენად უკანონო მოთხოვნებზე დათმობას მოითხოვს, თუ ეს ეკლესიის კეთილდღეობას ეხება. ასე, რომ ჩვენ ვლოცულობდით ზეგარდამო სულთნისთვის დახმარების მისაღებად და ამით განვაწყვეთ ჩვენი ეკლესიისა და მის შვილთა - მართლმადიდებელ ქრისტიანთა სამოწყალოდო.

როცა პატრიარქი ანთიმოზი, რომლის დროსაც ბულგარელებთან სქიზმა მოხდა, ათონზე ჩამოვიდა და ჩამოქვეითებულმა ფეხი შედგა ნაპირზე, წმიდა მთა ძლიერ შეაზანზარა მიწისქვეშა ბიძგმა და რამდენჯერმე შექანდა. მთაწმიდელებმა ყველაფერი პატრიარქის დანაშაულს მიაწერეს და კინოტმა მთელ მთას უბრძანა გულმოდგინედ შევედრებოდნენ ღმერთს, რათა თავისი სამართლიანი რისხვა არ დაეტეხა წმიდა მთის მაცხოვრებლებისათვის და წყალობა მოემადლა მათთვის.

მთარგმნელისაგან: მომდევნო თავში აღწერილი ამბები შესანიშნავი გაფრთხილებაა მათთვის, რომლებიც არას დაგიდევენ სჯულის კანონსა და საწმიდეებს. ერთობლივ ლოცვას აღავლენენ ერეტიკოსებთან ერთად და აზიარებენ კიდეც მათ.

ცდუნება დიონისეს მონასტერში

ამონაწერი რუსიკის იღუმენის არქიმანდრიტ მაკარის დღიურიდან. "1857 წლის იანვრის მერვე დღეს ჩვენთან მცხოვრები ქართველი ბერი მამა იოსაფე აღსარებისათვის დიონისეს ტაძარში წავიდა ჩვენი დროის გამოჩენილ მოღვაწესთან, მღვდელსქიმმონაზონ ილარიონთან. წასვლისას ჩვენს ბერს ვთხოვე, მამა ილარიონს ელოცა, რათა ღმერთს ჩემთვის მოთმინება მოემადლა, თუ ჩემი ცხოვრება უფლის სადიდებლად იქნებოდა. გაეგრძელებინა იგი, და თუ საზიანოდ - შეეწყვიტა. ბერი ილარიონის პასუხი: "მოთმინება ღვთის სასოებითა და საკუთარი თავის ყველაზე უღირსად შეცნობით მოიპოვება. ხალხი, რომელთაც ღმერთი მსახურებისათვის ეძახის, მორჩილების გამო თავს როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად ღვთის წინაშე უძლურად აღიქვამს. ასეთი ადამიანები საკუთარ განდიდებას კი არ ეძებენ, არამედ ღვთის დიდებას. რაც შეეხება დიდების მოყვარე ადამიანებს, ისინი ყველაფერს სწირავენ, რათა მიაღწიონ მიზანს - იბატონონ".

და დაპირდა ელოცა ჩემთვის.

მაგრამ ჩვენი გადარჩენის მოშურნემ არ დააყენა მამა ილარიონი დიონისეს მონასტერში. იღუმენ ევლოგის მხრიდან დიდი დევნა მოუვლინა, რომელმაც აიძულა ბერი წასულიყო მონასტრიდან და პატარა ანას სავანეში გადასახლებულიყო. საქმე ასე წარიმართა:

ცნობილი გახდა, რომ იმ ფქვილში, რომლითაც სეფისკვერს ამზადებდნენ, კატებს ეძინათ. გობზე მოთავსებულ ცომზე კი ჩანდა კატის სიბინძურე. მესეფისკვერეს ძმებმა არაერთხელ მიუთითეს, მაგრამ თავის კატებზე შეყვარებულმა უკმაყოფილომ უპასუხა, რომ ოცი წელი მუშაობდა ფურნეში და თავისი საქმე იცოდა. რამდენიმე ძმამ, რომელთაც უყვარდათ მამა ილარიონი და მისი რჩევით სარგებლობდნენ, ფურნეში უწესრიგობა ბერს შესჩივლეს. ბერი არ გაჩუმებულა, მივიდა იღუმენთან და მკაცრად მიუთითა, ასეთი უწესრიგობა შეუწყნარებელია, ბნელსა და ვიწრო შენობაში არ არის საჭირო პირობებიო და დასძინა: "შენ გქონდა სენაკი, სადაც სიკვდილამდე მშვიდი ცხოვრება შეგეძლო, მაგრამ სივრცე მოინდომე და ახალი ააშენე, პირველზე უკეთესი. ასეთი რამ ფურნისათვის სანახევროდაც რომ გაგეკეთებინა, საკმარისი იქნებოდა".

იღუმენს არ მოეწონა ასეთი პირდაპირი და მკაცრი მხილება. იგი არაფერში არ დაეთანხმა მამა ილარიონს, მკაცრად გაკიცხა და უთხრა:

"იღუმენობა ხომ არ გსურს?". მამა ილარიონი შეურაცხყოფილი და თითქოს გამოგდებული გამოვიდა იღუმენისაგან.

ამის შემდეგ იღუმენი ძმებს მამა ილარიონის წინააღმდეგ აქეზებდა. მის ლანძღვასაც კი არ უარობდა: "მაგას რა, იღუმენობა ხომ არ სურს? ერთი კარგად უნდა მოვაჭკვიანოთ, სხვის საქმეში რომ არ ჩაერიოს. ეს უნამუსო აქედან უნდა გავაგდოთ!"

ეს სიტყვები და იღუმენის მიზნები მამა ილარიონს გადასცეს, რომელმაც თქვა, ეჰ, ასეთ ხალხთან ცხოვრება მე არ შემიძლიაო, და პატარა ანას სავანეში გადავიდა. იქ მას კარგად იცნობდნენ, რადგან ეს ადგილი იმ გამოქვაბულთან იყო ახლოს, სადაც ადრე ცხოვრობდა ბერი, იგი დიდი სიხარულით მიიღეს და ერთმა ვაჭარმა ღირსი ონოფრეს სენაკი უყიდა, სადაც 1862 წლამდე დაჰყო.

მალე სავანეში მამა ილარიონთან მისი ყოფილი მოძღვრის, მამა ნეოფიტე კარამანლისის მოწაფე ბერი პაჭი-გიორგი მივიდა, რომელმაც ქრისტეს სიყვარულით შენიშნა: "მე მასწავლიდი მოთმინებას, შენ კი წამოხვედი!". "არა, მორჩილად უპასუხა ბერმა, მე სახარებისეულად მოვიქეცი, სადაც ნათქვამია: თუ ერთ ქალაქში გდევნიან, მეორეში გაიქეცი".

მამა ილარიონის პატარა ანას სავანეში ყოფნისას დასამახსოვრებელი ამბავი მოხდა. მისი სენაკის ეკლესია ღირს ონოფრეს ჰქონდა მიძღვნილი. საკურთხეველი დიდ შეკეთებას მოითხოვდა. მაგრამ ბერმა დახმარებისათვის მონასტრის თხოვნით შეწუხება არ ისურვა. ამასთან მისი მოწაფე ხშირად ეუბნებოდა, მონასტრისთვის დასახმარებლად მიემართა. მაშინ ბერმა თქვა: "ჩემი ცხოვრების განმავლობაში საკუთარი თავისთვის არავის არაფრით შეწუხება არ მსურს. აქ კი ტრაპეზის მოწყობისათვის მღვდელმთავრის, მასთან ერთად მის მსახურთა და მგალობელთა დაძახება მოგვიხდება, რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული. სჯობს მოვითმინოთ და ყველაფერი ეს ღვთის განგებას მივანდოთ!".

ჭეშმარიტად, ვინც მთავარზე, საუკუნო ცხოვრებაზე ზრუნავს, ის მიიღებს, შეიძლება უცბად არა, მაგრამ ყველაფერს საჭიროს, როგორც ნათქვამია: "ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ".

ამ დროს გალახიაში ლავრის ბერ-მეზვერე იმყოფებოდა. ქუჩაში ერთი ქალი შემოხვდა, რომელმაც ოცი თუმანი მისცა და სთხოვა, ათონზე მამა ილარიონისათვის მიეცა ღირსი ონოფრეს სენაკის შესაკეთებლად. თან დასძინა, ახლა სჭირდებაო და ოვალს მიეფარა.

როცა მეზვერე საქმეს მორჩა, ათონზე დაბრუნდა, მაშინვე მივიდა მამა ილარიონთან და ფული გადასცა. თან შენიშნა, ალბათ თქვენი ნაცნობი იყოო. გაკვირვებულმა მამა ილარიონმა თქვა, გალახიაში არასდროს არ ვყოფილვარ და არც არავის ვიცნობ. მგონი გეშლება და ფული სხვას ეკუთვნისო. მაგრამ ბერმა აუხსნა, ქალმა არა მარტო შენ გახსენა, არამედ ის ეკლესიაც, რომელსაც ეს ფული შესწირაო. ამიტომ შენს გარდა სხვას ვერავის მივცემო.

ნათელი მითითების მიუხედავად, ბერმა მტკიცე უარი განაცხადა ფულის მიღებაზე და სთხოვა მეზვერეს, თუ მის სეხნიას სხვას ვერავის ნახავდა, ფული გლახაკთათვის დაერიგებინა.

მეზვერემ ეს ლავრას შეატყობინა, და რაკი უველამ იცოდა, რომ ბერის ეკლესია გადაკეთებას მოითხოვდა, მონასტრის ძმობამ გადაწყვიტა, ბერ-მეზვარეს თავად დაექირავებინა ხელოსნები, მოეწყო უველაფერი, რო-გორც საჭირო იყო. შემდეგ მიეწვია მღვდელმთავარი კრებულითურთ და კურთხევის შემდეგ სტუმრებს გამასპინძლებოდა. მეზვერემ უველაფერი შეასრულა. მამა ილარიონის სურვილით ახლად ნაკურთხი ტაძარი ქრისტეს აღდგომას მიეძღვნა.

პატარა ანას სავანეში გადასვლიდან ორი წლის შემდეგ ასეთი ცდუნება მოევლინა. სავანეში მცხოვრები მოძღვარი მამა გიორგი კოტლომუშის მონასტრის იღუმენს დაეთანხმა, ინგლისის მოქალაქეობა და პასპორტი მიეღო. ეს რომ შეიტყო მამა ილარიონმა პირველ შეხვედრაზე, რადგან მეგობრები იყვნენ, გაკიცხა და უველა იმ ბოროტებაზე მიუთითა, საიდანაც ეს წამოწყება მოდიოდა. მამა გრიგოლმა შეინანა, მუხლებში ჩაუვარდა და სასჯელის დადება სთხოვა. მაგრამ მამა ილარიონმა სასჯელის დადება იუარა და თქვა: "მე ეს საქმე მხოლოდ წმიდა კანონებით შემიძლია განვსაჯო, მით უმეტეს, რომ საქმე წმიდა ეკლესიას ეხება.იმ სასჯელს შენ ვერ აიტან და მეგობარს მტრად გაქცევს. ამიტომ წადი შენს მოძღვართან, იმას უამბე შენი ცოდვები და რა სასჯელსაც დაგადებს, მიიღე და შეასრულე".

მაგრამ მამა გრიგოლი დიდხანს და გაძლიერებით სთხოვდა თვით მამა ილარიონს დაედო სასჯელი. ამტკიცებდა, რომ მისგან უველაფერს მიიღებ-და და აიტანდა. დიდი თხოვნის შემდეგ მამა ილარიონმა, უპირველეს უოვლისა, მამა გრიგოლს მთელი თავისი დანაშაულის სამძიმე გადაუშალა, შემდეგ კი მოიყვანა საეკლესიო კანონი და მისი ძალით ორმოცი დღე განუყენა წირვას. ორმოცი დღის შემდეგ ცნობილი გახდებოდა: თუ მათი

ურთიერთობის შედეგად ფაშა ჩამოვიდოდა ინგლისელებთან ერთად. მაშინ სამუდამოდ აეკრძალებოდა წირვა,თუ არ ჩამოვიდოდა. თავიდან განიხილავდა და მონანიების ხარისხის გათვალისწინებით ეტყოდა. რა უნდა გაეკეთებინა შემდეგში.

მამა გრიგოლმა სიხარულით მიიღო კანონი და რამდენიმე დღე არ უმსახურია. მაგრამ კოტლომუშის იღუმენთან შეხვედრის შემდეგ სულ შეიცვალა. მან დაარწმუნა, თავის გადაწყვეტილებაზე მტკიცედ მდგარიყო. არავისთვის არ დაეჯერებინა. რა სისულელე იყო ასეთი საქმისათვის სასჯელის დადება და იმ ადამიანის დაჯერება, რომელსაც თავისი ველური უდაბნოს გარდა არაფერი ენახა. მოკლედ. მამა გრიგოლმა უარყო მამა ილარიონის სასჯელი. დაიწყო წირვა. სინდისის დასამშვიდებლად კი მამა ილარიონის ლანძღვასა და ცილისწამებას შეუდგა.

ამის შემდეგ წმიდა პავლეს მონასტერში ინგლისელი ელჩი ჩამოვიდა. უნდა ითქვას, რომ ამ მონასტრის ყველა ბერი წარმოშობით იონიის კუნძულებიდან იყო. რომლებიც ჯერ კიდევ ინგლისელების სამფლობელოში შედიოდა. ელჩმა ლოცვებში მოხსენიება ითხოვა და მღვდელმონაზონმა, რომელიც წირვას ატარებდა, მოიხსენია არა მარტო კვერექსში. არამედ კვეთაშიც. მაგრამ შემდეგ დაეჭვდა და მოძღვართან მივიდა ამ ეჭვების გასამხელად. მან შენიშვნა მისცა ერეტიკოსების მოხსენიებისათვის და უთხრა, სამი წლის განმავლობაში აღარ ეწირა. მღვდელმონაზონმა არ დაუჯერა და მამა ილარიონთან წავიდა, მაგრამ გაგონილით აღშფოთებულმა მამა ილარიონმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში აუკრძალა წირვა.

მონასტერში დაბრუნების შემდეგ მღვდელმონაზონი აღარ წირავდა. იღუმენმა ჰკითხა, რა მოხდაო. და როცა გაიგო. წირვა ორივე მოძღვარმა აუკრძალაო. მოჰყვა მათ ლანძღვას. განსჯის უნარმოკლებულებს უწოდებდა ამისთანა წვრილმანისათვის. როგორც პროტესტანტის მოხსენიებისათვის წირვისაგან განყენება იყო.

მაგრამ ღვთის შეურაცხყოფა არავის ეპატიება. წირვის შემდეგ მღვდელმონაზონს ცხვირიდან სისხლი წასკდა და ვერაფრით ვერ შეუჩერეს. ბევრის ჭკუის სასწავლებლად იგი დაიღუპა. ეს ამბავი ათონზე ყველამ გაიგო.

ამის შემდეგ. მალე 1862 წელს. მამა ილარიონი საბასთან ერთად რუსიკში გადავიდა.

გადასვლა და ცხოვრება რუსიკში

ზემოხსენებული შემთხვევების გამო ბერი რუსიკში გადასახლდა. პირველად მამა ილარიონი მონასტერში იყო 1810 წელს ათონზე ჩამოსვლისას, მეორედ - 1850 წელს, ბერ-მოძღვარ იერონიმესთან შესახვედრად და გასაცნობად. მესამედ კი, როცა სამუდამოდ გადავიდა რუსიკში საცხოვრებლად.

ზოგიერთი ბერის რჩევით და თხოვნით გადაწყვიტა მამა იერონიმეს გასცნობოდა. პირველივე შეხვედრისას ისინი დაახლოვდნენ და სულიერმა მეგობრულმა კავშირმა მამა ილარიონის სიკვდილამდე გასტანა. როცა მამა ილარიონი პატარა ანას სავანეში ცხოვრობდა, მამა იერონიმე ყოველწლიურად მიემგზავრებოდა ათონის გარეუბნებში სულიერი მეგობრის მოსანახულებლად და უწინარესად მას ეწვეოდა ხოლმე.

1862 წელს მამა ილარიონი ჩავიდა რუსიკში და გამოაცხადა, რომ სამუდამოდ სურდა იქ დარჩენა. მონასტრის ბერებმა სიხარულით მიიღეს მოწაფესთან ერთად და სთხოვეს, სანამ მისთვის არ ააშენებდნენ წმიდა დიდმოწამე გიორგის სენაკს, მანამდე თვითონ ამოერჩია მყუდრო სენაკი. ბერი დროებით პეჩორის ღირს მამათა სენაკში დასახლდა, რომელიც კიევ-პეჩორის ლავრის მოსაყდრემ, ამბროსიმ აღაშენა. შემდეგ წელს, მშენებლობის დამთავრების მერე, გადავიდა წმიდა დიდმოწამე გიორგის სენაკში, რომელიც მამა ილარიონის თაყვანისმცემლის ე.გ. ხაბაროვის ხარჯით აშენდა.

ეს სენაკი მონასტრიდან ნახევარი საათის სავალზე, ზეთისხილის ბაღში იყო. მისი საყდარი იმავე წლის ოქტომბერში აკურთხეს. აქ ბერმა ცოტა ხანს იცხოვრა. შემდეგ წლამდე თავის აღსასრულამდე.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ბერი განუკურნებულმა სენმა შეიპყრო. მას ნაწლავების გადახლართვა დაემართა. ისე, რომ არც ჭამა შეეძლო, არც - სმა. ყველაფერი უკან ამოსდიოდა. ექიმმა თქვა, ბერი მეორე დღეს აუცილებლად გარდაიცვლებაო, და საათიც ზუსტად დაასახელა. ავადმყოფი გაუნძრევლად იწვა და გმინავდა. მასთან ბერები და ძმები მოდიოდნენ გამოსამშვიდობებლად. თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრების ძაფი მალე გაწყდებოდა. მაგრამ მეორე დღეს ზუსტად იმ საათზე, რომელზეც ექიმმა მისი სიკვდილი იწინასწარმეტყველა, ფეხით, სრულიად ჯანმრთელი მივიდა მონასტერში ავადმყოფი მამა მაკარის სანახავად.

ბერის გადარჩენა ასე მოხდა: როცა უკანასკნელ დღეში იყო და ლოცულობდა, მაცხოვრის ხატიდან ხმა მოესმა: "გსურს ცოცხალი დარჩე და ჯანმრთელი იყო?". მუდამ ღვთის მორჩილმა უპასუხა, რატომ ემორჩილებოდა მის განზრახვას. მაშინ პასუხად გაიგო, რომ მას ებოძა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მამა ილარიონი სრულიად განკურნებული წამოდგა საწოლიდან და დილით, მამა მაკარის ავადმყოფობა რომ შეიტყო, მის სანახავად გაემართა.

ამ შემთხვევის შემდეგ ცოტა ხანში ათონზე სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი გრაფი ტოლსტოი ჩავიდა, რომელიც აღმასავლეთში მოგზაურობდა საეკლესიო საქმეებზე. სხვადასხვა ადგილას და განსაკუთრებით ალექსანდრიაში ათონის მთის შესახებ ბევრი უამბეს. საგანგებოდ კი რუსიკისა და მისი ბერების შესახებ. ამიტომ ათონის მთაზე წინასწარი განზრახვით ჩავიდა.

ერთადერთი, ვისაც მასზე კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა შეეძლო მამა ილარიონი იყო. მას დაუსწრებლად იცნობდა თავისი ცოლის, ქართველი მეფის ასულისგან, რომელმაც მამა ილარიონთან მოკითხვა დააბარა. ბერთან საუბრის შემდეგ გრაფი მიხვდა, რომ მთაწმიდელებზე მონაყოლი სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მამა ილარიონის შესახებ მას გაგონილი ჰქონდა წმიდა სინოდის კანცელარიის მმართველისაგან, პ.ი. სოლომონისა და განსაკუთრებულ საქმეთა მოხელის კ.კ. ზედერჰოლმისგან, რომლებმაც 1859 წელს იმოგზაურეს ათონზე. ისინი საგანგებოდ მივიდნენ მამა ილარიონთან სულიერი და საეკლესიო საქმეების გადასაჭრელად. შედეგად პ.ი. სოლომონმა წერილი მისწერა მამა ილარიონს, ხოლო საპასუხო წერილი გამოაქვეყნა "ტამბოვსკიე ეპარქიალნიე ვედომოსტი"-ში (იხილეთ დამატება).

თავის მოწაფეს, მამა საბას, მამა ილარიონმა დაუბარა: "არ ეჭამა კარაქი, არ დაელია ღვინო, ყოველდღე ეწირა და მთელი სამყაროსთვის ელოცა. სანამ ერთად ცხოვრობდნენ, ყველაფერს უცილობლად ასრულებდნენ. ამის გარდა ყველა ღამეს ლოცვაში ატარებდნენ. როცა ორივე მოღვაწე რუსიკში გადავიდა, მათ ასეთი თანმიმდევრობა შეამჩნიეს: საღამოდან მოუოლებული არ ეძინათ, ხოლო როცა სიჩუმე დგებოდა, ბერი გამოვიდოდა, ან ოდნავ ჩაახველებდა, ან მტკიცედ ჩაუვლიდა თავისი მოწაფის სენაკს, ან დააკაკუნებდა სამჯერ, ხანდახან კი ვითომ საქმეზე დაუძახებდა, ამას იმიტომ აკეთებდა, რომ საბას ღამის ლოცვების დროს არ ჩასძინებოდა.

შუაღამის დადგომისას ბერი სენაკიდან გამოვიდოდა და ხმაურით სიარულს იწყებოდა, რომ მისი ნაბიჯების ხმა იქ მცხოვრებ ძმებს გაეგო-

ნათ და ცისკრის ლოცვისთვის ამდგარიყვნენ. ძახილით კი არავის აღვიძებდა. პეჩორის სენაკში ძმები ასრულებდნენ წესს, რომელიც რვა საათამდე გრძელდებოდა. შემდეგ კი წირვა იწყებოდა. ბერი თვითონ აღარ წირავდა, მაგრამ ყოველთვის ეზიარებოდა.

უქმად რომ არ ყოფილიყო, ხშირად დღისით გამოდიოდა სამუშაოდ, ხუმრობა უყვარდა, მისი ნამუშევრებიდან კიბე, სკამები და მაგიდა შემორჩა. ეს ყველაფერი პატარა ცულითა და ლურსმნებით იყო გაკეთებული, სალაშინისა და წებოს გარეშე.

წმ. გიორგის სენაკში რუსი მსახური მოავლინეს, რომელიც უნებლიედ თვალს ადევნებდა მათ ყოველდღიურ საქმიანობას, ღამის თევასა და მკაცრ მარხვას. ეს რომ დაეფარათ, თავისთან დიდხანს არ ტოვებდნენ და პეჩორის მამების სენაკში გზავნიდნენ. საჭმელს შაბათსა და კვირას ამზადებდნენ, ისიც მოსაჩვენებლად. მაგრამ როცა მამა ილარიონი სტუმრად იყო, თავისი გამჭრიახობით უარს არ ამბობდა გამასპინძლებოდნენ და მიირთმევდა, რასაც შესთავაზებდნენ. მოწაფე კი არასდროს და არსად არ არღვევდა მარხვას. ასე რომ აღდგომის დღესაც სამარხოს მხოლოდ მას უდგამდნენ. ბერი კი სენაკში დაბრუნების შემდეგ იცავდა მარხვას.

მამა ილარიონს მხოლოდ ორი საათი ეძინა დღეში ერთ ფეხზე მდგომს, კვერთხზე დაყრდნობილს, მეორე კი იატაკზე მჯდომს და ზურგით კედელზე მიყრდნობილს. ღამისთევით ლოცვას ყოველთვის სენაკებში ასრულებდნენ. გონებრივი ლოცვით დაკავებულ ბერს საკიდარი ჰქონდა გაკეთებული. ჭერზე მიმაგრებულ ოთხ რკინის რგოლში ორი მხრიდან პირსახოცები იყო გაყრილი და ძლიერი დაქანცვისას ზედ ეკიდებოდა. მომსვლელებს რომ არ გაეგოთ, რისთვის იყო საკიდარი, ბერი დღისით თეთრეულს ფენდა გასაშრობად.

მამა ილარიონი ყოველთვის თურქულად საუბრობდა, მოწაფე კი ბერძნულად თარგმნიდა, რადგან ბერმა ცუდად იცოდა ბერძნული, რუსეთში ყოფნისას რუსულიც ისწავლა. მაგრამ ორმოცი წლის განმავლობაში სრულიად დაავიწყდა. იყო შემთხვევები, როცა რუსულად და ბერძნულად ძალიან კარგად იწყებდა ლაპარაკს. მაგრამ ენის ცოდნის გამო კი არა, არამედ ზეციური შთაგონებით, მნიშვნელოვანი სულიერი საჭიროების შემთხვევაში.

მაგალითად, როცა პეჩორის მამათა სენაკში ცხოვრობდა,იქ იყო რუსი ბერი მამა თეონა, რომელიც დურგალიც იყო და მნათეც. მორჩილებას დიდი თავგამოდებით ეწეოდა. ერთ ღამეს მასთან დემონი მივიდა ადამიანის სახით და უთხრა: "რისთვის ინახავ ღვინოს სენაკში?". მან უპასუხა,

რომ ღვინო საეკლესიო საჭიროებისთვის ჰქონდა განკუთვნილი და არა თავისთვის. დემონმა ღვინო მოითხოვა. და ის იყო უნდა აეღო. რომ მამა თეონამ ჭურჭელს ხელი ჩასჭიდა და დავა გაიმართა. იქამდე გაცხარდა, უვირილი დაიწყო, ღვინოს არ მოგცემო. ხმაურზე ყველამ გაიღვიძა და მამებმა მის კარზე დააკაკუნეს. მამა თეონას კი არ ესმოდა და გაჰყვიროდა. ღვინოს არ მოგცემო. ბოლოს გონს მოეგო და კარი გააღო. ყველა ძლიერ აღელვებული დახვდა.

მამა ილარიონმა თავისთან წაიყვანა და დამშვიდება დაუწყო. აუხსნა რაში იყო საქმე, რომ ეს უკეთურმა შურით გააკეთა. რადგან ეზიზღებოდა მისი ასეთი გულმოდგინე მსახურება. ბერი იქამდე ესაუბრა, სანამ მამა თეონა სრულიად არ დააწყნარა.

მხოლოდ დილას მიხვდა, რომ რუსულად საუბრობდნენ. წირვის შემდეგ მამა თეონა ისევ მივიდა ბერთან. მაგრამ მამა ილარიონმა მტკიცედ უთხრა არაფერი მესმისო: "როგორ, ღამით ხომ დიდხანს ვსაუბრობდით?". ამაზე ბერმა მამა საბას დახმარებით უპასუხა: "არ ვიცი, როგორ ვლაპარაკობდით. მაგრამ ღმერთმა დაინახა რა საჭიროება, ისე მოგაწოდა ჩემი საუბარი. გეგონა რუსულად ვლაპარაკობდი. სინამდვილეში კი რუსულის არაფერი გამეგება".

ჩანაწერები მამა ილარიონზე

იმ დროს, როცა მამა ილარიონი უდაბნოში ცხოვრობდა, მასთან ერთი მეუდაბნოე შევიდა და სულიერ საკითხებზე საუბრის შემდეგ მეუდაბნოეს მიერ მოტანილ რბილ პურს შეექცნენ. იგი დაჰპირდა, რომ მალე დაბრუნდებოდა მამა ილარიონთან. მაგრამ ბერის ნახვა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ შესძლო. ამიტომ მოსვლისას დაგვიანებისთვის მიტევება ითხოვა. მამა ილარიონი შეედავა: "რას ამბობ? რისი ერთი თვე? გუშინ არ იყავი ჩემთან და რაღაცაზე ვლაპარაკობდით?". ბერები რამდენიმე წუთის განმავლობაში დაობდნენ, თითოეული თავისას ამტკიცებდა. მამა ილარიონს პური გაახსენდა, რომელსაც ჰამდნენ და მოსატანად წავიდა. პური გამხმარი დახვდა. გაქვავებული. მაშინ დარწმუნდა, რომ მეუდაბნოე მართალი იყო. ამან ჩააფიქრა, რადგან მთელი ეს დრო სულიერ აღფრთოვანებაში გაეტარებინა და ყველაფერი მიწიერი დავიწყნოდა.

ერთხელ მამა ილარიონმა თავს გადამხდარი შემთხვევა გვიამბო. მაგრამ ვითომ სხვა ადამიანზე. ერთი ბერი დაეუდებული იყო. ერთხელ, თავისი თავშესაფრიდან რომ გამოვიდა, დემონი დაინახა ბერის სახით, რომელიც

იჯდა და ისე ტიროდა, რომ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ძალუძს ასეთ გლოვას ჭეშმარიტად მიეცეს. დაუუდებული ადამიანივით დიდი თანაგრძნობით მიუდგა და ცხარე ცრემლით ტირილის მიზეზი ჰკითხა. ეშმაკმა უპასუხა, უკვე ოცდაათი წელია ღმერთს ვეუდრები ერთი ცოდვის შენდობას, მაგრამ არ მპატიობსო. ესა თქვა და მოთქმა-ტირილი განაგრძო. ბერმა, როგორც შეეძლო, დაამშვიდა მტირალი, მაგრამ დაბრუნებისას იმავე უკეთურისგან ჩანერგილი აზრი აეკვიატა: აი ადამიანი, ერთი ცოდვის გამო ტირის, ღმერთს შენდობას სთხოვს და ღმერთი არ პატიობს. შენ კი ბავშვობიდან სცოდავდი, და ანრისხებდი ღმერთს. რაღას ელი? აქ რატომ ცხოვრობ და ტყუილად ფლანგავ დროს?

მაგრამ გულმოწყალე ღმერთმა არ დაუშვა თავისი ერთგული მონის ეშმაკის ბადეში მოხვედრა და განდეგილმა იქვე გაიგო ხმა: "არ დაუჯერო მაცდუნებელ ეშმაკს. გადი და უთხარი, რომ მარტო ერთ ცოდვაზე ოცდაათწლიანი ტირილი კი არ მოულბობს გულს ღმერთს, არამედ ადამიანს მთელი სამყაროს ცოდვა რომ ედოს და მთელი გულით სინანული ჰყოს, ღმერთი სამსაათიანი აღსარებითაც კი შეუნდობს მომნანიებელს. შენ, ეშმაკსაც კი მიგიღებდა ღმერთი, რომ შეგენანებინა!" როცა ბერი გავიდა და ეს სიტყვები ეშმაკს გადასცა, მან ხარხარით თქვა: "ა! მიცანი მოხუცო?" და იმწამსვე გაქრა.

ერთხელ ათონზე ძაღლი გაცოფდა. გუშაგებმა ვერაფრით ვერ დაიჭირეს. იგი თავს ესხმოდა საქონელსა და ადამიანებს. მამა ილარიონის სენაკთან მიირბინა. ბერმა მამა საბას გასძახა თოფი მოეტანა. მაგრამ რადგან სიტყვა "თოფი" და "ძაღლი" თურქულად ერთნაირად ჟღერს, საბამ იფიქრა, ძაღლის მიყვანას მთხოვსო. არ დაფიქრებულა, გაიქცა, დაიჭირა ძაღლი ყურით და ბერთან მიყვანა სცადა, მაგრამ როცა მამა ილარიონმა ძაღლს ტუჩებზე დუჟი და მოელვარე თვალები შეამჩნია, შეძრწუნდა და გაშვება უბრძანა. თან გაკიცხა მოწაფე. ძაღლი ისე გაიქცა, რომ მამა საბას არ შეხებია. მალე სარდრებმა დაიჭირეს და მოკლეს.

კარეაში მცხოვრები მღვდელმთავრის მიერ ბერად აღკვეცილ ბერ კირილეს ღვიძლი ძმა ჰყავდა, რომელიც ერში გაემგზავრა საქმეების დასამთავრებლად და შემდეგ ათონზე აპირებდა სამუდამოდ დაბრუნებას. მაგრამ ისე დაეხლართა საქმეები, რომ ათონზე მალე დაბრუნებაში უშლიდა ხელს. იმის შიშით, საერთოდ არ დარჩენილიყო ერში, ძმას წერილი მისწერა, დახმარებოდა. მამა კირილე თავის ბერ-მღვდელმთავართან მივიდა კურთხევის სათხოვნელად. მაგრამ მან არ აკურთხა. მოძღვრები სხვადასხვა რამეს ეუბნებოდნენ. ასე რომ, ვერ გაიგო რა ექნა. საბოლოოდ მამა ილარიონთან მივიდა. ბერმა ყურადღებით მოუსმინა და

მიხვდა რა სულით, რითი დამთავრდებოდა ეს საქმე, თქვა: "მიდი შენს მოძღვართან, კიდევ უამბე თავიდან მთელი საქმე, და თუ ახლა გაკურთხებს, წადი დაუფიქრებლად".

მამა ილარიონის სიტყვით მამა კირილე წავიდა თავის ბერთან და დაიწყო თუ არა თავის საქმეზე ლაპარაკი მღვდელმთავარმა თანხმობა მისცა. მიუხედავად იმისა, რომ ადრე მტკიცედ ეუბნებოდა უარს. მაშინ მამა კირილე დაფნიში წავიდა. იქიდან აპირებდა ერში წასვლას.მაგრამ ამ დროს ზღვა ძლიერ აღელდა და შეშინდა. იფიქრა, ჩემს მოგზაურობაზე ღვთის კურთხევა არ არისო. მღვდელმთავართან დაბრუნდა და თავისი აზრი გაანდო. მაგრამ მღვდელმთავარი ამბის ასეთ ახსნას ვერ დაეთანხმა და მამა კირილე კვლავ გაემგზავრა ერში. წასვლისას მამა ილარიონთან შეიარა. მაგრამ შინ ვერ ნახა. მაშინ კარზე ორცხობილის ასხმა დაკიდა და გზას გაუდგა. დაბრუნებულმა მამა ილარიონმა ასხმა ნახა და მამა საბას უთხრა: "ეს ორცხობილა მამა კირილეს მოტანილია. გზად შემოუვლია. ახლა კი გაემგზავრა და კარგიც ქნა, რადგან ყველაფერს კარგად დაასრულებს. ქალსაც მონაზვნად აღკვეცავს და ძმას ათონზე ჩამოიყვანს". ასეც მოხდა. მართლაც შინ ჩასულმა ყველაფერი წარმატებით დაასრულა. როცა ძმასთან ერთად ათონზე დაბრუნდა, პირდაპირ მამა ილარიონს ეახლნენ კურთხევისთვის. ძმა სენაკამდე მთელ გზაზე აუწერელ კეთილსურნელებას გრძნობდა. მამა კირილე ამბობდა, რომ მამა ილარიონმა კიდევ ბევრი რამ უწინასწარმეტყველა, რაც შემდგომში გადახდა თავს.

მამა ილარიონის სიკვდილის დღეს მამა ნიკოდიმეს ასეთმა აზრმა გაჰკრა: ამდენი ხანი დადიოდა ბერთან და არც ერთხელ არ უთხოვია შენდობის ლოცვის წაკითხვა. ამიტომ გადაწყვიტა, როცა შემდეგში წავიდოდა, მისთვის აუცილებლად ეთხოვა ეს. მეორე დღეს რომ მივიდა, მამა ილარიონი გარდაცვლილი დახვდა და ძლიერ დამწუხრდა.

სამი დღის შემდეგ, გარდაცვლილზე მხურვალე ლოცვისას, ცისკრამდე ერთი საათით ადრე ჩასთვლიმა და მამა ილარიონი გამოეცხადა მშვენიერი, ნათელი, მხიარული და უთხრა: "ნუ დარდობ, ლოცვა რომ არ წაგიკითხე, მიდი მამა საბასთან და ჩემს მაგივრად ის წაგიკითხავს". იმ წამსვე წამოდგა მამა ნიკოდიმე და ნაცნობი ბილიკებით წმ. გიორგის სენაკს მიაშურა. მისულმა ეკლესიაში ოლარით მჯდომი მამა საბა იხილა, რომელსაც ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა. მამა საბა მიუბრუნდა და უთხრა: "მე შენ გელოდები, ბერმა მიბრძანა შენდობის ლოცვები წაგიკითხო". წამოდგა და კურთხევანის კითხვა დაიწყო, ლოცვასთან ერთად გამოცხადებაც დამთავრდა.

მამა ნიკოდიმეს სხვა შემთხვევაც ჰქონდა. ერთხელ წმ. იაკობის სენაკში მამა ილარიონი იყო რომელიღაც მღვდელმონაზონთან ერთად. დიდხანს ისაუბრეს სხვადასხვა სულიერ საკითხებზე. ასე რომ, საუბარი გვიანობამდე გაგრძელდა. საუბრის დამთავრების შემდეგ ბერმა თქვა: "ახლა კი წადით და ღმერთმა მშვიდობით გატაროთ!". ისინი შეიშმუშნენ. სად უნდა წასულიყვნენ ასეთ სიბნელეში, თანაც ღამე უმთვარო იყო, მაგრამ ბერს მოწიწების გამო ველარ შეეპასუხნენ და წავიდნენ. სენაკის კარს რომ გასცდნენ, ხელის ცეცებით გაუყვნენ ციცაბო და დაკლაკნილ ბილიკს. უცბად განათდა, როგორც დღისით და იოლად შეძლეს დიონისეს მონასტერში მისვლა.

ქოლერის დროს როცა ათონის შემოგარენში ყველგან კარანტინი დაწესდა, ქარიშხალმა დიონისეს მონასტერთან ერის ხალხით სავსე ნავი მიაგდო ნაპირს. ისინი ცდილობდნენ ნავი წყლიდან ამოეწიათ და ნავსაყუდელში მოეცადათ გამოდარებამდე. მაგრამ ეპიდემიის მიზეზით იღუმენის კურთხევის გარეშე ნაპირზე არ გადმოუშვეს და ურჩიეს, დაფნაში კარანტინის ზონისკენ გაუცურათ. ნავში მსხდომებმა აუხსნეს, ქარიშხლისა და დაღამების გამო წასვლა შეუძლებელიაო, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს და ნავი წყალში შეაგდეს. ისინი ძლივს მიცურდნენ მეზობელ მონასტერთან.

ზოგიერთმა ძმამ უკმაყოფილება გამოთქვა იღუმენის საქციელის გამო და მამა ილარიონთან წავიდნენ მომხდარის საამბობლად. ბერმა დაამშვიდა ძმები და დასძინა, რომ იღუმენს ღმერთი ორგვარად დასჯიდა თავისსავე სასარგებლოდ: ისეთი სენი შეეყრებოდა, რომ სამი დღე ძროხასავით აბღავლებდა და რაკი ამ საქმეში სხვა ძმებიც მონაწილეობდნენ, ყველას ჰკუის სასწავლებლად სხვა უბედურებაც მოჰყვებოდა. სამი დღის შემდეგ იღუმენს ყელი ისე ასტკივდა, რომ ძროხასავით ბღაოდა ზუსტად სამი დღის განმავლობაში. მისი გამოჯანმრთელების შემდეგ რამდენიმე ძმა ნავით თევზის საჭერად გაემართა, თან მონასტრის ყველა ბადე წაიღეს. დღე წყნარი იყო, მაგრამ უცბად ისეთი ქარი ამოვარდა, ყველანი ნავში ჩაწვნენ, და არაქათგამოცლილებივით ეყარნენ. დამსხვრეული ნავი ნაპირზე გამოირიყა. ყველა ბადე დაიკარგა, თვით მებადურები კი ძლივს გადარჩნენ. მეორე ნავი, რომელიც მათ საშველად გაემართა, ქარმა გადაბრუნა და ჩაიძირა.

როცა დიონისეს მონასტერში მღელვარება დაიწყო სეფისკვერების საცხობში უსუფთაობის გამო, მამა ამბერკი, როგორც არეულობის მოთავე, იღუმენმა ძლიერ შეავიწროვა და მისი სავანიდან გაგდება მოისურვა. მამა ამბრეკი მამა ილარიონთან მივიდა და თავისი უბედურება უამბო.

ბერმა უპასუხა: "შენ ღვთის საქმეს იცავდი, ამიტომ დევნისა ნუ შეგეშინ-დება. და თუ მაინც გაგაგდებენ, ღმერთი შენი ღვაწლისთვის ყველაფერ აუცილებელს მოგმადლებს". მამა ილარიონის სიტყვით დარწმუნებული მამა ამბერკი დამშვიდდა, და მართლაც, როცა მონასტრიდან გააგდეს, მამა ილარიონის ნათქვამი ასრულდა. მამა ამბერკი კოტლომუშში წმ. პანტელე-იმონის სავანეში მივიდა, სადაც სენაკიც უბოძეს. პურიც და ყველაფერი აუცილებელი.

ცოტა ხნის შემდეგ შეხვედრისას მამა ილარიონმა უთხრა, გაგდების გამო გული არ გაიტეხო, რადგან სიმართლისთვის დევნილთ ღმერთი წყალობს, მოთმინებისთვის კი მეფის შესაფერ დარბაზებს მიიღებ სა-ცხოვრებლად, რადგან თავი არ დაგიზოგავს და სიმართლეს იცავდიო. და აი რა მოხდა შემდეგ მასთან კოსტამონიტის ბერები მივიდნენ და მონასტრის იღუმენობა სთხოვეს.

როცა იღუმენის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ისურვა მამა ილარიონს დაელოცა მისი ახალი ცხოვრება და ძმებისთვის სახელმძღვა-ნელოდ ახალი წესი მიეცა. ბერთან მამა ნიკოდიმე ბულგარელი გაგზავნეს. როცა მონასტერში დაბრუნდნენ, იღუმენი დიდი სიხარულით შეხვდა. მაგრამ ბერი, განჭვრიტა რა სულით მომავალი, შეჩერდა და სანამ წინამ-ძღვარი სიტყვას იტყოდა, წინასწარმეტყველ სამოელის ცხოვრებიდან იგავით დაიწყო საუბარი: "როცა ებრაელები ეგვიპტიდან აღთქმულ ქვე-ყანაში მიდიოდნენ, ღმერთმა ებრაელების მეფე საულს ამალეკის წინააღ-მდეგ გალაშქრება უბრძანა, რომელიც ებრაელებს ხშირად წინ ეღობებო-დათ, და სამოელ წინასწარმეტყველის საშუალებით ბრძანა, არ დაენდოთ არავინ, არც მცხოვრებნი, არც მეფე, თან მათი არანაირი ძღვენი არ მიეღოთ. სამოელ წინასწარმეტყველის სიტყვით მეფე საულმა სასტიკად დაამარცხა მეფე ამალეკ აგაგი, მაგრამ ღვთის სიტყვა არ შეასრულა-არ მოკლა მეფე. პირმოთნეობის გამო არ გაწყვიტა საქონელი და ებრაელებს ნება დართო ყველაფერი საუკეთესო აეღოთ თავისთვის. როცა დაბრუნდა და მსხვერ-პლის შეწირვა მოინდომა, ღმერთმა სამოელს უბრძანა, მის სამხილებლად წასულიყო და ეთქვა, რომ ჩამორთმეოდა სამეფო და სხვა ღირსეულს გადასცემოდა. ასე დაგემართება შენც". უთხრა მამა ილარიონმა და ეკლესიისკენ გაემართა. შემდეგ გამოემშვიდობა და წინ წავიდა. რაღაც დროის შემდეგ იღუმენ ამბერკს აზრი მოუვიდა, წასულიყო დიონისეს მონასტერში და იქაურ წინამძღვარს შერიგებოდა. საქმის არსით მას შენდობა მათთვის მიყენებული შეურაცხყოფისთვის უნდა ეთხოვა, მაგ-რამ პირმოთნეობის გამო სეფისკვერებთან დაკავშირებული მთელი დანა-შაული დაიბრალა და მლიქვნელურად ამტკიცებდა იღუმენის სისწორეს.

მამა ამბერკის ასეთი საქციელი მთელი ათონისათვის გახდა ცნობილი. კაცთმოთნეობისთვის ღმერთმა წინასწარ განზრახულ ცდუნებაში ჩააგდო და როგორც მეფე საულმა დაკარგა მეფობა. იღუმენმაც იღუმენობა დაკარგა. ცოტა ხნის შემდეგ მონასტრის ძმობამ მამა ამბერკი რაღაც დანაშაულისთვის სავანიდან გააგდო.

ერთი რუსი ბერი, მამა ბარსანოფი, როდესაც ბერ ექვთიმესთან იყო წმ. ანას სავანეში, ლაპარაკში რომელიღაც ბერის სიკვდილს შეეხო. მამა ექვთიმეს ცრემლები წასკდა და თქვა: "მამა ილარიონი მეუბნებოდა, როცა ვინმეს სიკვდილის შესახებ გაიგებ, მიატოვე ყველაფერი და საკუთარ სულზე ზრუნვა, იტირე და ილოცე სულზე, რომელიც იტანჯება. ჩვენ ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ და ძალგვიძს ვყოთ სინანული. გარდაცვლილის სულს კი თავისთვის არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია და ძლიერ ესაჭიროება ლოცვით დახმარება".

ბერი ილარიონის აღსასრული

მამა ილარიონს ბავშვობიდანვე წმიდა დიდმოწამე გიორგის უდიდესი სიყვარული დაჰყვა, რომელიც როგორც მოწმობდა მამა საბა, ეცხადებოდა და იფარავდა მას მთელი ცხოვრების განმავლობაში. მამა ილარიონი ამ წმიდანის ეკლესიაში იყო მონათლული. თავისი ბავშვობა და ყრმობა წმ. გიორგის ტაბაკინისა და ჯრუჯის მონასტრებში ჰქონდა გატარებული. აღსასრულმაც წმიდანის მფარველობის ქვეშ წმიდა დიდმოწამის სენაკში უწია.

სიკვდილის წინ ტანჯვისას ბერი ამბობდა: "დიდება უფალს! მსურდა მოწამეობა, მაგრამ ღმერთმა არ მაღირსა. ახლა კი ავადმყოფობა მომივლინა. ეს მოწამეობის ტოლია, თუ მოთმინებითა და ღვთის ნების ერთგულებით გადაიტან". სიკვდილამდე ერთი დღით ადრე მამა ილარიონმა მამა საბა წირვის შეასრულებლად გაუშვა. ამ დროს ცუდად გახდა და ლოცვა დაიწყო. მამა საბამ გაიგო ბერის ხმა, რომელიც უხმობდა: "საბა, საბა, საბა!" როცა უკან დაბრუნდა, ბერი სრულიად ღონემიხდილი იხილა. მეორე დღეს კი მამა ილარიონი გარდაიცვალა. ეს მოხდა 1864 წლის თებერვლის მეთორმეტე დღეს. სხვა წვრილმანები ბერის აღსასრულისა მამა საბას ჩანაწერებში არ მოიძებნება.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მამა ილარიონს, იცოდა რა რუსების მხრიდან მისი უდიდესი პატივისცემა, შეეშინდა თავისი ძვლები წმიდა ნაწილების გვერდით არ მოეთავსებინათ და ამიტომ მამა საბას დაუბარა, მალულად

წაეღო და ისეთ ადგილას დაემარხა, რომელიც რუსებმა არ იცოდნენ. სად არის მამა ილარიონის პატიოსანი ნეშტი დაკრძალული, არავინ იცის. მაგრამ სხვადასხვა შესაძლო ადგილიდან ყველაზე საგულისხმოა ნათლისმცემელში, ივერიის სავანეში, სადაც ადრე ცხოვრობდა ბერი. ნეშტი იქვე დარჩებოდა, ასეთი რამ რომ არ მომხდარიყო: მამა საბამ მგონი ეს საიდუმლო გაუმხილა მამა ილარიონის უკვე გარდაცვლილი მეგობრის მამა ბენედიქტეს მოწაფეს, ბერ ბესარიონ ქართველს და შეიძლება ბერთან დაახლოებულ სხვა პირებსაც. მამა ილარიონის სიკვდილის შემდეგ მამა ბესარიონმა მის საფლავთან მისვლა და ლოცვა მოინდომა. ღამე ძილში თავისი ბერი მამა ბენედიქტე გამოეცხადა და ჰკითხა: "სად აპირებ წასვლას?" "მამა ილარიონის საფლავზე, რომლის დაკარგვის გამო განუწყვეტლად ვტირი". - მიუგო მან. მამა ბენედიქტე შეეკამათა, რომ მამა ილარიონი არ მომკვდარა და რატომ უნდა მიხვიდე საფლავზეო. მამა ბესარიონმა დავა დაუწყო და ამტკიცებდა მამა ილარიონი მოკვდა. ეს გაგებული მაქვს მისი მოწაფისგან და სხვა მისი აღსასრულის მომსწრეთაგანო. მამა ბენედიქტე ამტკიცებდა, რომ ბერი არ მომკვდარა, ცოცხალია და ჭორებს ნუ უჯერებო. მამა ბესარიონი კი თავისაზე იდგა და სიმწრით აღმოხდა: "დამცინი?". მაშინ მამა ბენედიქტემ მტკიცედ უთხრა: "მამა ილარიონი ცოცხალია და ღირს ათანასე ათონელთან ერთად იმყოფება". ამ დროს მამა ბესარიონს გამოეღვიძა და სასიხარულო გრძნობების მოზღვავება იგრძნო. მამა ილარიონის დაკრძალვის ადგილზე მივიდა და ძილში ნანახი მამა საბას უამბო.

სიკვდილის წინ მამა ილარიონმა რუსიკის ბერებს უთხრა: "მამა საბას სახელზე არ ჩაწეროთ სენაკი. იგი აქ ცხოვრებას არ მოისურვებს, პატარა ანას მონასტერში მიეჩვია ცხოვრებას და მე ვუშვებ იქ!" მამა საბა ასეც მოიქცა. ბერის სიკვდილის შემდეგ მალე "ქრისტეს აღდგომის" სენაკში დაბრუნდა, სადაც თავისი სიცოცხლის ბოლომდე, 1908 წლამდე იცხოვრა.

ხელნაწერებში 1867 წლის 16 ივნისით დათარიღებული საბუთი მოიძებნა: "ვინ არის ღმერთ დიდ, ვითარ ღმერთი ჩუენი? შენ ხარ ღმერთი, რომელმაც ჰყავი საკუირველი". აი ჩვენი მოლოდინიც სრულდება. რამდენი არ მალა მამა ილარიონის ნაწილები მისმა მოწაფემ, მაგრამ ღმერთმა გამოაჩინა და ადიდებს. აღმოჩენის მიზეზი ის იყო, რომ ბერძნებში ხმა გავარდა, მამა ილარიონის სხეული არ გახრწნილა (ათონზე ასეთი წესია: გარდაცვალებიდან სამი წლის თავზე საფლავს ხსნიან, თუ ნეშტი გაუხრწნელი აღმოჩნდება, თვლიან, რომ იგი მიწამ არ მიიღო და წმიდანად არ რაცხენ) და მოწაფე არ თხრისო. ამის გამგონე სავანის მამებმა მამა საბას ურჩიეს, ამოეთხარა ნაწილები და ეჩვენებინა ყველასთვის, რათა მისი

ბერის გაკილვა აღარ გაგრძელებულიყო. თუ ამას არ იზამდა, ძაგების ცოდვა მას უნდა ეკისრა. მაშინ მამა საბამ ამოთხრა გადაწყვიტა, საფლავის გასახსნელად და ნაწილების გადასატანად ოთხი კაცი მოიწვია, თვითონ კი სენაკში დარჩა სალოცავად.

ამაღლების წინა ღამისთევის ლოცვისას ბერებმა მამა ილარიონის ძვლები ამოთხარეს. საფლავის თხრისას საოცარი კეთილსურნელება იგრძნეს, რომელიც პატარა ანას სავანემდე გაჰყვა. მოწაფის სენაკში კი ისეთი სურნელი დატრიალდა, რომ ოთხი რუსი და სამოცდაათამდე ბერძენი სახტად დარჩნენ.

წმიდა ნაწილების გადატანისას ერთმა მეუდაბნოემ ასეთი რამ იხილა: დღისით მზისით, ბიზანტიის დროით ხუთ საათზე მან მზის მსგავსი მანათობელი ბურთი იხილა მამა საბას სენაკის თავზე. ბურთი სხივებს გამოსცემდა და სენაკისგან მოშორებით ჰაერში მიმოდიოდა. ეს დაახლოებით ერთ საათს გრძელდებოდა. ამის შემხედვარე ბერმა ხილვის ამბის სხვებისათვის მოყოლა განიზრახა თუ არა, ბურთი გაქრა და უხილავი შეიქნა. მან დაასკვნა, ალბათ მამა ილარიონის საფლავი გახსნესო. გარდაცვლილისადმი სიყვარულით ანთებული და ნანახით გაოცებული მამა საბას ეახლა და უამბო, როგორ იხილა მისი სენაკის თავზე მზის მაგვარი მანათობელი ბურთი. მამა საბამ კი თავის მხრივ უამბო, როგორ ამოიღეს ბერის წმიდა ნაწილები და ანახა მას.

დასასრული და დიდება ჩვენსა ღმერთსა!

დანართი

წმ. სინოდის კანცელარიის მმართველის პ.ი. სოლომონის მამა ილარიონისთვის მიწერილი წერილი

მღვდლებსა და სულიერ მოძღვართა შორის უღირსესსა და უპატივცემულეს ბატონ ილარიონ ქართველს ათონის მთაზე წმ. პანტარა ანას სავანეში

უპატიოსნესო ბატონო ილარიონ!

კოსტამონიტის მონასტრის უპატივცემულესმა არქიმანდრიტმა სვიმონმა გადმომცა თქვენი უღირსებულესობის სანუკვარი წერილი. მე უდიდესი სიხარულით მივემთხვიე თქვენი მარჯვენით შესრულებულ ხელმოწერას და ძლიერ გავიხარე. გავიგე რა, რომ ჯანმრთელად ბრძანდებით, მთელი გულით გმადლობთ, თქვენო უღირსებულესობავ, რომ არ დამივიწყეთ მე, თქვენი ხსოვნისთვის შეუფერებელი.

დაე, იცოდეთ, რომ თქვენი ყველა სიტყვა ბრძანებაა ჩემთვის და დიდი სიამოვნებით შევასრულებ ყველაფერს, რითაც შემიძლია ბატონ სვიმონს დავეხმარო. ვსარგებლობ ამ გარემოებით, რათა ვაუწყო თქვენს სიყვარულს, რომ 1860 წელს, თქვენი წმიდა ლოცვებით, თაყვანი ვეცი წმიდა კუბოს ღვთის წყალობითა და თანადგომით და სხვადასხვა გარემოებებში საოცრად წარმატებული ბედნიერად დავბრუნდი რუსეთში.

აქვე უსაზღვრო და განუზომელმა სევდამ შემიპყრო: ჩემს არ ყოფნაში გარდაიცვალა ცნობილი მოძღვარი და ბერი ჩემი ღირსი მაკარი ოპტინელი, მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ მიგვატოვა. განსვენებულმა თავისი სულიერი ნიჭის ღირსეული მემკვიდრე მამა ამბროსი დაგვიტოვა, რომელიც ჩემი, ცოდვილის სულიერი მოძღვარია.

წმიდა მამაო, ჩემს სისუსტეში უნდა გამოგიტყდეთ, რომ თუმცა თქვენი ღირსების ბრძნულ რჩევა-დარიგებას არ ვივიწყებ, სიზარმაცის გამო ხშირად არ ვასრულებ. თქვენო ღირსებაო, გთხოვთ მომიტეოთ და ჩემთვისა და ჩემი მეუღლისათვის, რომელიც შეუძლოდ არის და თავისი ავადმყოფობით ძლიერ სევდასა და შეშფოთებას მგვრის, ილოცოთ.

თქვენს ღირსებას კიდევ გთხოვთ არ შეწუვიტოთ ლოცვა ჩვენი მეფისა და რუსეთისათვის. საუბედუროდ, ჩვენს სამშობლოში დასავლური და პროტესტანტთა იდეები აღწევენ, რომლებიც იპყრობენ გარკვეულ ნაწილს, არ ვიცი რამდენად დიდს. ჩემი მართლმადიდებელი თანამემამულეებისას.

რა ნაყოფს გამოიღებს ეს იდეები ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის, არც ერთმა ქრისტიანმა არ იცის. თანამგზავრი ჩემი, კონსტანტინე (ოპტინას მომავალი მღვდელმონაზონი კლიმენტ ზედერპოლმი) შესანიშნავ სავანეში მოხვდა. ექვსი თვის წინ მონასტერში დასახლდა და ახლა ცხოვრებას მამა ამბროსის ფერხთით ატარებს. მომიკითხეთ ჩემი მხრიდან მღვდელმონაზვნობაში უღირსესი ბატონი საბა. გთხოვთ თქვენს ღირსებას ყოველდღიურ წმიდა და ღვთივშთაგონებულ ლოცვებს, რომლებმაც, დაე, უვნებელმყონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

თქვენი ღირსების სამსახურებლად მზადმყოფი
მონა პეტრე სოლომონი. 1862 წ.

ბატონ სოლომონს მამა საბას მიერ ბერძნულად დაწერილი ბერი ილარიონის პასუხი

თქვენო აღმატებულებავ, ქრისტესმიერო საყვარელო ძმაო, ბატონო პეტრე, მთელი სულითა და გულით გისურვებთ ყველა სიკეთეს.

მივიღე თქვენი ძვირფასი წერილი და ჩემთვის სასიამოვნო ორი ამბის გამო ძლიერ გავიხარე. პირველი, თქვენი ჯანმრთელობის ამბავი რომ შევიტყე. მეორე კი, პირველზე მეტად, ჩემთვის და ყველა მართლმადიდებლისთვის სასურველი, რადგან თქვენი წერილით, როგორც სარკეში, გაამყღავნეთ ის თამამი და გულწრფელი სიყვარული, რომელსაც სულის სიღრმეში განიცდით ქრისტესა და მისდამი უბიწო რწმენის, ჩვენი დედის აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიის მართლმადიდებლური დოგმატების მიმართ. ამან ძლიერ დიდი სიხარული მომგვარა, საყვარელო ძმაო ჩემო, რადგან სევდა-წუხილი ეშმაკის მოგზავნილ ასეთ ხრწნად დამღუპველებზე, რომლებიც მოციქულთა და სხვა ეკლესიის მამათა ჭეშმარიტ სწავლებაზე უბრალო, მერყევ გულებში ეჭვს თესავენ, არის უტყუარი თვისება და ნიშანი ჩვენი ღმერთის ჭეშმარიტი რწმენისა და სიყვარულისა.

მაგრამ ჩვენ ვემყარებით ქრისტეს უტყუარ სიტყვებს, რომ თუ ჭეშმარიტი რწმენა და კანონი მისი იქნება ლოდი თავკიდეთა და ქვა ხიბლისა, მაშინ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. მაგრამ არა ყველასთვის, მორწმუნეთათვის ეს არის კეთილსურნელება ცხოვრებისა. ურწმუნოთათვის კი სურნელება სიკვდილისა სიკვდილში, რადგან "ჰსცნა უფალმან ცხოვარნი თვისი". "ცხოვართა ჩემთა ხმისა ჩემისაი ისმინონ და მე ვიცნა იგინი, და მომდევდნენ მე. და მე ცხოვრებაი საუკუნოდ მივსცე მათ და არა წარწყმდენ უკუნისამდე. და არავინ მიმტაცნეს იგინი ხელთაგან ჩემთა. მამაი ჩემი, რომელმან მომცნა იგინი უფროის ყოველთასა არს და არავის ხელ-ეწიფების მიტაცებად მათი ხელისაგან

მამისა ჩემისა" ამბობს უფალი. ასე რომ, ამაო იქნება უღმერთოთა ჩანაფიქრი, როცა ეკლესიას მოეფინება ღვთიური მადლი, წმიდა მოძღვართა საღვთო შური, გულმოდგინება და ძლევაშემოსილი ცოცხალი სიტყვა სული წმიდისა, სირცხვილი დაუფარავს მათ სახეებს, რადგან ყოველი დაცემული ქვაზე შეიმუსრება: "რომელსა ზედა დაეცეს" ამბობს უფალი - "განაქარვოს იგი".

მოძღვართა აუცილებელი მოვალეობაა გვიყურადონ, ვითარცა "ჩვენ მძინარეთა", რათა არ ვიძლიოენით ამ აზრობრივ მგელთაგან, საყვარელნო.

არსებობს სწავლება ქრისტესი. "ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაი კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისსა, და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლისა მას და წარვიდა". ჰხედავ, როგორ იქმნება ჩვენი დაუდევრობა საბაბი მინდორზე მტრის მოსვლისა და ღუარძლის თესვისა შორის იფქლსა. ხოლო თუ ვიღვწით დიდის საღვთო შურით, ვერ გაუძლებს ხმას ჩვენსას და მიიქცევა სირცხვილნაკამი სიკვდილის ძესთან.

ნეტარი და უნეტარესი მღვდელნი, ღვთაებრივი მოძღვარნი და დანარჩენი წარმომადგენელნი ქრისტეს სიტყვიერ ცხოვართა, რომელნიც არ იკარებენ რულს თვალზე და გონებრივ მთვლემარებას. ჰპოვებენ ცათა სასუფეველს. მათ ექნებათ პატივი და დიდება გონიერი მმართველობისა. რომელნიც ღმერთმა თავის სამსახურებლად დაადგინა. ისინი მიეთვლებიან განათლებულ ქრისტეს მოციქულებს.

მთხოვთ, აღვავლინო მხურვალე ლოცვები ჩვენი იმპერატორისთვის, რომელიც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, ერთმა ჭეშმარიტმა ღმერთმა, მეფემ მეფეთა და ხელმწიფემ ხელმწიფეთა, მღაღადებელმა "მეფენი ჩემით მეფობენ", აირჩია და დაადგინა მწყსად მისთა მემკვიდრეთა. თვით უფალმა დაიფაროს თვალის გუგასავით, ააშოროს ყველა ცდუნება და დაუმორჩილოს ყოველნი მტერნი მისნი ქვეშე ფერხთა მისთა.

ამ ჩვენს ძმაზე არ არის საჭიროება ვინმემ მთხოვოს, ე.ი. ვილოცოთ მეფისთვის, რუსეთისთვის და მთელი საქრისტიანოსთვის. თუმცა კი ცოდვილი ვარ და არა მაქვს წმიდანის კადნიერება, ხალისით მივილტვი ამისაკენ, რადგან სხვა რა მნიშვნელოვანი საზრუნავი, გულითადი სურვილი ან გასართობი შეიძლება გამაჩნდეს მე.

მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ღვთის ჭეშმარიტი სიყვარულის ნიშნად ყველა ღვთისმოსავი ქრისტიანისთვის არის ლოცვა. ჩვენი ვალია, გული და აზრები მუდმივად მიმართული გვქონდეს ღმერთისკენ, იმპერატორისა და მთელი მართლმადიდებელი ეკლესიისაკენ. ეს არის ჩვენი უპირველესი მოვალეობა და საამო, როგორც ღვთისთვის, ასევე ხალხისთვის, თუმცა კი ცოდ-

ვილნი ვართ. ვის შეუძლია ძმანო წარმოიდგინოს ქრისტიანი, რომელიც მეფისთვის არ ლოცულობს, რომელიც მხოლოდ ერთია და არა ბევრი. ვინ არ არის ვალდებული უყვარდეს იგი იმიტომ, რომ მხოლოდ ის, ქრისტესავით კურთხეული და არსობრივად მსგავსი მისი. ღირსია იწოდებოდეს მეფედ და ღვთივკურთხეულად, რადგან თავისში ატარებს მაკურთხეველ მამას.. კურთხეულ ძეს და მათივე კურთხეულ სულიწმიდას.

სხვა ხალხის მეფენი, არცთუ იშვიათად წარმოსახავენ საკუთარ თავს რაღაც უდიდესად. მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის მეფე სინამდვილეში. მხოლოდ ირთვებიან და ამაოდ განიდიდებენ თავს მაღალი სახელით. მაგრამ არ სცნობს და არ სწყალობს მათ ღმერთი, მეფობენ ნახევრად. ღვთის შემწყნარებლობის გამო. ამიტომ, ვისაც თავისი ღმერთის მიერ დანიშნული მეფე არ უყვარს, ის ღირსი არ არის იწოდებოდეს ქრისტიანად და ეს ჭეშმარიტად ასეა.

მივესალმებით ასევე ქრისტეში საყვარელ ძმას, ბატონ კონსტანტინეს, რადგან ძლიერ გამახარა მისმა ღვთისთვის საამო საქმემ და ნეტარმა ცხოვრებამ, რომელსაც ღვთის კურთხევით მიჰყო ხელი. დაე, მიანიჭოს მას ღმერთმა მოთმინება.

მოგესალმებით თქვენ ორივეს მეც მორჩილი საბა. მღვდელმონაზონი ქრისტეში. ძმანო ჩემნო, იყავით მშვიდობით, სამყაროსა და სიყვარულის ღმერთი დაე, იყოს თქვენთანა.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა ყველა თქვენგანს. მომლოდნელთა ნეტარი მოვლინებისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მასვე დიდება და მეუფება თანა მამით და სული წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თქვენი აღმატებულების მოყვარული და ქრისტეში მორჩილი ძმა მორჩილი

ილარიონ ქართველი

1863 წელი. თებერვლის 4.

საქართველოს
მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმიდეთა
დაცვის საქველმოქმედო საზოგადოება
"ჯვარი"

რედაქტორი	გ. გაგაშვილი
მხატვრული რედაქტორი	გ.დადიანი
ტექნიკური რედაქტორი	კ.იმნაიშვილი
კორექტორი	ლ.თოლორდავა

ტირაჟი 300 ფასი სახელშეკრულებო

შეკვ. №241